

**შესავალი
ენის
სპეციალობაში**

(ენობრივ-თეორიული ასპექტი)

შეორე გამოცემა

**უმაღლესი სასწავლებლების
ინგლისური განყოფილების სტუდენტებისათვის**



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2000

81.2 (Англ.)
802.0
შ 52

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სალექციო კურსი „შესავალი ვნის სპეციალობაში“, რომელიც იკითხება ივ. ჭავჭავაძის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური განყოფილების .I კურსზე. სალექციო კურსის შედგენაში მონაწილეობდნენ ინგლისური ფილოლოგიის კათედრის მასწავლებლები: დოც. ლ. გამსახურდია, პროფ. ლ. გოჭიაძე, პროფ. რ. ენუქიძე, დოც. ქ. კანდელაკი, დოც. ც. მათურელი, დოც. თ. მარგალიტაძე, პროფ. მ. ნათაძე, პროფ. ნ. საყვარელიძე და პროფ. ი. ფხაკაძე (ფრანგული ფილოლოგიის კათედრა).

რედაქტორი პროფ. რ. ენუქიძე

რეცენზენტები: პროფ. მ. გვენცაძე
დოც. ლ. გორგაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000

შ $\frac{4602020102}{608(06)-00}$

ISBN 99928-77-51-0

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა (რ. ენუქიძე)	4
ენათმეცნიერების შესავალი (ი. ფხაკაძე)	5
თეორიული ფონეტიკა (ლ. გამსახურდია)	18
თეორიული გრამატიკა (ლ. გოჭსაძე)	32
ლექსიკოლოგია (ქ. კანდელაკი)	40
გერმანიკული ფილოლოგიის შესავალი (თ. მარგალიტაძე)	52
ინგლისური ენის ისტორია (თ. მარგალიტაძე)	60
ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია (ც. მათურელი)	66
სტილისტიკა (მ. ნათაძე)	74
მხატვრული თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ნ. საყვარელიძე)	89
ტექსტის ლინგვისტიკა (რ. ენუქიძე)	100

წიხასიბჟვარობა

სალექციო კურსი „შესავალი ენის სპეციალობაში“. მისი შინაარსი და მიზანდასახულება, ერთი შესყდვით, თითქოს არ უნდა იყოს აზოთა სხვადასხვაობისა და კარბეკნაბტრობის საფუძვალე იგი უნდა მოიკვედეს მოცემული სპეციალობის ცნებათა აბარაკისა თუ ფუნქციონალური ენის, მასში შესავალი მეცნიერული დოკუმენტების განთოორების სტადიებისა თუ სხვადასხვა სამეცნიერო თეორიების მოკლე მოთხილვას. მაგრამ, მიკვდავად ამისა, ეს კურსი თსუ დასავლეთი ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სსვადასხვა სპეციალობებზე გასსხვადებულად იკითხება. თქმეა ყველა განყოფილებაზე ამ კურსის სპეციალაცა განასახიერება ენისა და ლიტერატურის სპეციალიზაციების არსებობით. ინგლისური ფილოლოგიის კათედრის კომპეტენციაში რჩება მისადგრი სპეციალობის („ფილოლოგი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი“) ენიბრიე-თეორიული და მეოოლური ასპექტები ამიტომ ჩვენი მიზანია სალექციო კურსი „სპეციალობის შესავალი“ სწორედ ამ ასპექტებს შვეფტარდით.

ზეითთქმულის ვათვალისწინებით გადაწყდა (ინგლისური ფილოლოგიის კათედრის მეთოდკომისიის მსარდაპერით), რომ „შესავალი ენის სპეციალობაში“ წარმოგედგინა ისეთ სალექციო კურსად, რომელშიც ერთი ან ორი ზოგადი ხასიათის ლექციის შემდეგ (ბირითადად უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სტრუქტურების შესახებ) თიოო ლექცია მიებღვნებოდა იმ თეორიულ საგნებს, რომლებსაც ინგლისურ განყოფილებაზე სწავლისას გაივლის სტუდენტი.

ეს კურსი შეიძლება წაიკითხოს ერთმა პედაგოგმა (უმჯობესია კათედრის გამგემ — სარგლოკურსელთა ვაცნობის მიზნით), მაგრამ ჩვენ მიზანშეწონილად მივიხინეთ, შესავალი ლექციების შემდეგ თიოო ლექცია წაიკითხოს ცალკეული თეორიული საგნის წამყანმა მასწავლებელმა. კათედრის გამგე ყველა ლექციას ესწრება და სწავლების ბოლოს ჩათვლიასაც ის იღებს.

თიო თეული თეორიული საგნისაღში მიძღვნილი ლექციის სატარებას ამ საგნის წამყანი მასწავლებლის მიერ გარკვეული მიზანი გააჩნია: პირველიკურსელები ეცნობიან არა მარტო იმ თეორიულ მამოფილებელ საგნებს, რომლებსაც ისინი უნივერსიტეტში სწავლისას გაივლიან, არამედ იმ პედაგოგებსაც, რომლებიც ზედა კურსებზე ამ საგნებს წაუკითხავს. ამ კურსის მოსმენის საფუძველზე სტუდენტმა, შესავალი სპეციალობაში მისი მიმავალი ინტერესის სდეროც განსახიეროს.

რუსულად ენუქიბე

ენათმეცნიერების უნსახალწო

ენათმეცნიერება (ლინგვისტიკა) არის მეცნიერება ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების ზოგადი კანონების შესახებ. მეცნიერული ლინგვისტიკა შეიქმნა მე-19 ს. დასაწყისში ზოგადი (ვ. ჰუმბოლდტი) და შედარებ-ათისტორიული (ფ. ზოპი, ი. გრომი) ენათმეცნიერების საფუძველზე. თუქცა ჩანასახის სახით იგი ძველ ინდოეთში და ძველ საბერძნეთში (პანინი, არისტოტელე) არსებობდა. ენათმეცნიერების ისტორიას შემდეგი ძირითადი მიმართულებები ქმნიან: ლოგიკური (მე-19 ს. შუა წლები), ფსიქოლოგიური, მლაღაგრამატიკული (მე-19 ს. II ნახევარი), სოციოლოგიური (მე-19 ს. ბოლო - მე-20 ს. დასაწყისი), სტრუქტურული (მე-20 ს. I ნახევარი).

XX საუკუნის სამეცნიერო აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას სტრუქტურული ენათმეცნიერების წარმოქმნა და დაფუძნება წარმოადგენს. ეს მოვლენა მართლაც რევოლუციის ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს ენის შესახებ მეცნიერებათა რიგში. დიდი შვეიცარიელი მეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის ლექციები, შეკრებილი და რედაქტირებული მისი მოწაფეების მიერ, გამოვიდა 1915 წ. „ზოგადი ენათმეცნიერების კურსის“ სახელწოდებით და დაედო საფუძვლად თანამედროვე ენათმეცნიერებას. დღეს უამრავი სკოლა და მიმდინარეობა მისდევს და ეყარება ამ თუ იმ ლინგვისტურ კონცეფციას, მაგრამ ყოველი მათგანი, უშუალოდ თუ არაპირდაპირ დასაბამს ფ. დე სოსიურის მოძღვრებაში იღებს.

ვერასოდეს ვერ ჩაეწყვდებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მიმდინარე წინსვლას. თუ არ დავეყრდნობით სტრუქტურის კარდინალურ ცნებას და არ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც ენობრივ ანალიზს დაეკისრა ამ მეცნიერებათა წარმოქმნისა და ჩამოყალიბების მსვლელობისას.

ჩვენ შევისწავლით ენის ზოგად თეორიას ისე, როც არ მივსდევთ ამ თუ იმ კერძო ლინგვისტური სკოლის თვალსაზრისს. თითქმის ყველამ მიმდინარეობიდან ავიღებთ მხოლოდ იმას. რაც ყველაზე ლოგიკურად და მომარჯვებულად მიგვაჩნია ერთიანი მთლიანი ენობრივი თეორიის ჩამოყალიბებლად, რათა მოვ-

ვეცეს საშუალება თანამიმდევრულად და სინამდვილის შესაბამისად აღწეროთ ნებისმიერი თანამედროვე ენა. მაგრამ ამისათვის უპირველეს ყოვლისა:

1) დაშვებულ უნდა იქნეს განსაზღვრული რაოდენობის ძირითადი ცნებები და აქსიომები;

2) შემოიფარგლოს კვლევის არე;

3) განისაზღვროს გარკვეული თვალსაზრისი, კვლევის მეთოდი, ტერმინები.

ყველა ლინგვისტური სკოლა აღიარებს ამ სამივე დებულების აუცილებლობას, მაგრამ განსხვავებულადაც ესმოდათ მათი არსი. დაეიწყეთ იქედან, თუ როგორ მარტივად და ზოგადად განსაზღვრავდა ებენვენისტი (დიდი ფრანგი ენათმეცნიერი) ენათმეცნიერების საგანს: „ენათმეცნიერება ორმაგ საგანს ისახავს თავის წინაშე (იგი ორმაგია თავისი არსით), იგი მეტყველების მეცნიერებაა საერთოდ და იმავდროულად წარმოადგენს მეცნიერებებს ენათა შესახებ“. იმის მიხედვით, თუ ენათმეცნიერების რომელ საგანს მიიჩნევდა ესა თუ ის სკოლა თავისი დანტერესების უპირველეს სფეროდ, განისაზღვრებოდა მისი კონკრეტული მიზნები თანამედროვე ენათმეცნიერების აღმოცენების გარიჟრაჟზე. მაგალითად, დანიური ლინგვისტური სკოლა, (სახელდობრ ლ.იელმსლევის თეორია) მიზნად ისახავდა ჩამოეყალიბებინა უალრესად ზოგადი და ზუსტი თეორია ენის და არა მეტყველების შესახებ, ამავე დროს ძიების საგანს წარმოადგენდა არა ესა თუ ის კონკრეტული ენა, არამედ უზოგადეს კანონზომიერებათა დადგენა, რაც საერთოა ყველა ენისათვის, მოუხდავად მათი ურთიერთგანსხვავებისა. ამგვარად, გლოსემატიკის "კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლის" მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს საერთოდ მეტყველების უნივერსალური მახასიათებლები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შევუდგეთ კონკრეტულ ენათა ანალიზს.

გლოსემატიკისა და ევროპული კლასიკური სტრუქტურალიზმის საპირისპიროდ ამერიკული ლინგვისტური სკოლა (თავდაპირველი ამერიკული სტრუქტურალიზმი) უარყოფდა გადაჭარბებულ თეორიულ მიდგომას. მიიჩნდა, რომ ასეთი პოზიცია ზედმეტად აბსტრაქტული და სინამდვილის უშუალოდ ენისმიერ მონაცემებს უკიდურესად დაშორებულია. ამერიკელთა ასეთი თვალსაზრისი ცხოვრებისეული აუცილებლობით იყო განპირობებული: ამერიკელი ლინგვისტები

ხომ ისეთ ენებს აღწერდნენ და აანალიზებდნენ („ამერიკელ ინდიელთა ენებს“), რომელთაც არც დამწერლობა გააჩნდათ და არც ისტორია, ესე იგი ისინი აქამდე არავის შეუესწავლია. ამრიგად, მათი მიზანი წმინდათ პრაქტიკული იყო, რაც დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: აღწეროთ უაღრესად ბევრი შესაძლო ენა რაც შეიძლება ზუსტად და ადეკვატურად. პრაქტიკული მიზანი განსაზღვრავდა კვლევის მეთოდსაც, რომელიც ამოსავალ დებულებად აღიარებდა, რომ არ არსებობს წინასწარ დადგენილი სისტემა, იგი არასოდეს უშუალოდ არ აღიქმება და თუ დასაშვებია, რომ იგი არსებობს ადგილობრივი ინფორმანტის ცნობიერებაში და ამდენად მიუღწევადია მკვლევარისათვის, მაშინ ამ სისტემის წვდომის ერთადერთ საშუალებას სწორედ კონკრეტულ გამონათქვამებზე დაყრდნობა წარმოადგენს. ამგვარად, ამერიკული სტრუქტურალიზმი („დეკრიპტივიზმი, დისტრიბუციონალიზმი“) ენას განსაზღვრავს როგორც მეტყველების აქტთა სიმრავლეს. ამიტომ მისთვის ამოსავალი გამონათქვამთა საზღვრული სიმრავლეა, გამონათქვამი ნაწევრდება შემადგენელ ნაწილებად, რომლებიც შემდეგ კლასებად ერთიანდება მათი კომბინატორული (შესამებადი) განზომილების მიხედვით. ამერიკელი სტრუქტურალისტი (დეკრიპტივისტი, დისტრიბუციონალისტი) თავს არიდებს ყოველგვარ განზოგადებას და თეორიულ მსჯელობას ენისა და მეტყველების შესახებ, იგი ცდილობს შექმნას ისეთ წესთა სიმრავლე, რომელიც მის მისცემს კონკრეტული ენის ობიექტურად და ავტომატურად აღწერის საშუალებას. კლასიკური სტრუქტურალიზმი, დეკრიპტივიზმი, დისტრიბუციონალიზმი ეს ის საფეხურებია, რომლებიც თანამედროვე ენათმეცნიერების ჩამოყალიბების იმ პერიოდში გაჩნდა, როცა თანამედროვე ენათმეცნიერება ემიჯნებოდა ტრადიციულ ენათმეცნიერებას და ენობრივი ანალიზის ახალ მეთოდებს სთავაზობდა ჯერ ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე, ხოლო მოგვიანებით ენათმეცნიერების ცალკეული დარგები დამოუკიდებლად განვითარდა. იმ პრინციპთაგან, რაც კლასიკურმა სტრუქტურალიზმმა შესძინა თანამედროვე ენათმეცნიერებას, ზოგიერთი აღარ მოქმედებს, ზოგიერთმა კი არსი იცვალა და კვლევის დღევანდელ მოთხოვნებს შეესაბამა. მათგან ერთ-ერთი უპირველესია სალაპარაკო ენის პირველადობა საპირისპიროდ ტრადიციული ენათმეცნიერე

ბისა, რომელიც წერილობითი ენის უპირატესობას აღიარებდა. თანამედროვე ენათმეცნიერებას მიაჩნია, რომ სალაპარაკო ენაა ძირითადი, ანუ ის საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა და საიდანაც მომდინარეობს ადამიანის ნებისმიერი ენობრივი ქმედება. ეს პრინციპი ცხადყოფს, რომ მეტყველება უფრო არქაული და უფრო გავრცელებული ფორმაა ადამიანის ქცევისა, ვიდრე დამწერლობა. დამწერლობის ყველა სისტემა სწორედ მეტყველების სისტემებს ეყრდნობა და მათგან მომდინარეობს. გარდა ამისა, ტრადიციულ ენათმეცნიერებას მიაჩნდა, რომ სალიტერატურო ენა იყო უპირატესი, უფრო სუფთა და უფრო სწორი ენის ყველა სხვა ფორმათა შორის. ცხადია, სტრუქტურალიზმი ამ დებულებასაც უარყოფს. მას აინტერესებს ენა მის ყოველგვარ გამოვლინებაში, უპირველეს ყოვლისა უმუალოდ, ბუნებრივ გამონათქვამთა სახით.

კლასიკურმა სტრუქტურალიზმა კატეგორიულად გაჰყო ერთმანეთისგან ენის სინქრონული და დიაქრონული ანალიზი. ენის დიაქრონული ანალიზი ენის დროში ცვლადობის შექნაველა. მაკ. ინგლისური ენის დიაქრონულ შესწავლას შეუძლია მოიცავს ინგლისური ენის ევოლუციის შესწავლა დღიდან მისი წარმოქმნისა დღევანდელ დღემდე, ანდა თუ გნებავთ ამავე პროცესის მეტნაკლებად ხანგრძლივი მონაკვეთი. ენის სინქრონული ანალიზი მოცემული ენის კონკრეტულ მდგომარეობას აღწერს კონკრეტულ დროში. ტრადიციული ენათმეცნიერება გადაჭარბებულ ყურადღებას სწორედ დიაქრონიის მიმართ იჩენდა. ენის სინქრონული აღწერის პრინციპის თანახმად, ასეთი აღწერის დროს ისტორიული მონაცემები მხოდველობაში არ მიიღება, მათ თავიანთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სწორედ დიაქრონულ ანალიზში.

სტრუქტურალიზმიდან მომდინარე ერთ-ერთი, ყველაზე სიცოცხლის უნარიანი აღმოჩნდა სისტემის სტრუქტურულობის პრინციპი, რომლის მისხედვითაც ენა განიხილება როგორც მიმართებათა სისტემა. ან უფრო ზუსტად, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ სისტემათა სიმრავლე, რომელთა შემადგენელ ელემენტებს არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, გარდა იგივეობის და დაპირისპირების მიმართებისა, რომელიც ამ ელემენტთა შორის მყარდება და ამის შემდგომ არსებობს.

სოსიურისეული დიქტომია (ორად გაყოფა) ენაღ და მეტყველებად დღეს
ააჲ მწვავედ აღარ გამოიყურება. უბრალოდ, ამ დიქტომიამ საბე იცვალა და
პინარითება ენასა და მეტყველებას შორის უფრო გართულდა საკითხისადმი თვალ-
თახედვის არის გაფართოების კვალდაკვალ. დღეს ეს დაპირისპირება (თუკი ასეთი
არსებობს) დაიყვანება კიდევ უფრო ძირეულ დაპირისპირებად აბსტრაქტულსა
და კონკრეტულს შორს. ასეთი თვალსაზრისიდან გამომდინარე, ენა გვევლინება
როგორც მეტყველების ფაქტთა განზოგადება, როგორც აბსტრაქცია, რომელიც
ზუქოდან ეფონება კონკრეტულ სინამდვილეს, ხოლო ენობრივი ანალიზი მეტყვე-
ლების რეორგანიზაციას, მოწესრიგებას მოასწავებს. ენათმეცნიერების (ამ შექთს-
ვევაში სტრუქტურალისტის) საბოლოო მიზანს წარმოადგენს იმ სისტემის აღ-
მოჩენა, რომელიც საფუძვლად უდევს და წარმართავს ენას იმ მონაცემებზე დაყ-
რდნობით, რასაც გვაწვდის მეტყველების კონკრეტული გამოვლენა (გამონათ-
ქვამები). გამონათქვამები ქმნიან მეტყველებას, სწორედ მათ ეფუძნება ენათ-
მეცნიერი ენის სიღრმისეული საერთო სტრუქტურის ასაგებად.

თანამედროვე ენათმეცნიერებამ შეიმუშავა ენობრივი ანალიზის ისეთი
ფორმები, რომლებიც გამოიყენება, როგორც აღენიშნეთ, ენისმიერი ქმედების
ყველა დონეზე (მხედველობაში გვაქვს ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი,
სემანტიკა და მეტყველების აქტები).

დადგენილია დასახელებულ დონეთა მინიმალურ ერთეულთა სიმრავლე
ები, მათი ურთიერთმიმართება, დალაგება სისტემებად და მათი ხმარების წესები
როგორც მოლაპარაკე სუბიექტის, ასევე ენობრივი სისტემის პოზიციებიდან. ტრადიციული
ენათმეცნიერება ენობრივი ანალიზის ძირითად ერთეულად აიტყუვას
და ფრანზას მიჩნევედა და უგულვებლყოფდა ამ ერთეულთა უმცირეს ელემენტებ-
ბად. შემადგენელ ნაწილებად დაშლის შესაძლებლობას, არადა ეს უმცირესი
ელემენტები არსებობს დღემდე თითქმის ყველა ენაში და მათ მინიმალურ ერთე-
ულებსაც უწოდებდნენ იმის გამო, რომ ისინი მეტად აღარ დაიშლება. სწორედ
ასეთ ერთეულებს უწოდებს ენათმეცნიერებმა მორფემა. ანუ უმცირესი გრამატი-
კული (მორფოლოგიური) ერთეული, რომლებიც ქმნიან სიტყვებს. გარდა ამისა
სწავა ენობრივი ერთეულთა იერარქიულ მქარევებში, როგორიცაა ფრანზა. წინა-

დადება. სინტაგმა და სიტყვა, მორფემას სულ დაბალი, პირველი საფეხური უჭირავს და ყოველი მომდევნო ერთეული წინამავალს შიკავს და მათგან შედგება. თვით მორფემა უშუალოდ როდი გვეძლევა ანალიზის დროს, მის ფიზიკურ კონკრეტულ, ანუ უშუალო გამოხატულებას მორფი (ანუ ალომორფი, ანუ ვარიანტი წარმოადგენს), ანუ მორფემის ფონეტიკური ფორმა წარმოადგენს. ერთი მორფემა შეიძლება რამოდენიმე სხვადასხვა სახის მორფს (ფონეტიკურად გაპირობებული ალომორფები, ისტორიული ვარიანტები და ა.შ.) შეიცავდეს. მორფემათა სიმრავლენი ქმნიან სიტყვათა კლასებს, რომელთაც ტრადიციული ენათმეცნიერება მეტყველების ნაწილებს, ან გრამატიკულ კატეგორიებს უწოდებდა. მორფემათა გამოყოფა და მათი კლასებად გაერთიანება ეყრდნობა დისტრიბუციის, ოპოზიციასა და მიმართებათა ტიპების ცნებებს. ნებისმიერი ენობრივი ერთეული იხმარება მხოლოდ იმ კონტექსტში, რომელიც მისთვის არის განზრახული, ასეთ შესაძლებელ კონტექსტთა სიმრავლეს ამ ერთეულის დისტრიბუცია (განაწილება) ეწოდება. ყოველი ენა ჩვეულებრივ აღიწერება ორი მიმართულებით ან როგორც ამბობენ ორ პლანში (სიბრტყეში): მნიშვნელობისა და ფორმის სიბრტყეში. ასეთი აღწერა ხორციელდება ფონოლოგიის, გრამატიკისა და სემანტიკის მეშვეობით. ამ დონეთა ნებისმიერ სამანიპულაციო ერთეულს გააჩნია როგორც გამოხატულების, ასევე მნიშვნელობის დონე და ნებისმიერი მათგანი ფლობს 1) კომბინატორულ, ანუ სხვა ერთეულებთან შეხამება-შეერთებისა და 2) დისტინქტურ, ანუ მაპირისპირებელ (განმასხვავებელ) ფუნქციას. მეორე თვისება განიხილება მხოლოდ ტოლფასი დისტრიბუციის მატარებელ ერთეულთა მიმართ და ხორციელდება სხვადასხვა სახის (კონტრარული ან კონტრადიქტორული) ოპოზიციასა საშუალებით. სწორად უპირატესობა კონტრადიქტორულ ოპოზიციას ენიჭება. რომელიც უფრო ინფორმატულია ხოლმე. ოპოზიციები მეტწილად ბინარულია (ორწევრა), რომელთაგან ერთი წევრი დადებითია, ანუ ნიშანდებული (მარკირებული), ხოლო მეორე – უარყოფითი, ანუ არანიშანდებული (არამარკირებული). ეს უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურია და უფრო მეტი მოცულობისა, ვიდრე პირველი, მარკირებული წევრი.

კონკრეტული კონტექსტიდან გამოყოფილი და ოპოზიციასა საშუალებით

დადგენილი მორფემები ორგვარ მიმართებებს: პარადიგმულ და სინტაგმურ მიმართებებს ქმნიან. პარადიგმული მიმართება მყარდება ერთი და იმავე კონტექსტის მქონე ერთეულთა შორის ვერტიკალურად, ხოლო სინტაგმური მიმართება ისეთ ერთეულთა შორის, რომლებიც ერთიმეორის გვერდით განლაგდებიან და ურთიერთის კონტექსტს ქმნიან (პორიზინტალურად). ეს ის ძირითადი მიმართებებია, რომლებიც ღირებულებას ანიჭებს ენობრივ ერთეულებს, რომლებიც მნიშვნელობის მატარებელია ენის ნებისმიერ დონეზე. უშუალო შემადგენელთა მეთოდი (ან გრამატიკა, ან თუ გნებავთ ანალიზი) დისტრიბუციული მეთოდის გავრცობა და გაფართოებაა. მას ხშირად ფორმალური მოდელების სახეს აძლევენ და სინტაგმურ გრამატიკასაც უწოდებენ (ასე უწოდა მას ამერიკელმა ენათმეცნიერმა ნოემ ჩომსკიმ). უშუალო შემადგენლების ანალიზი ფრაზის გავრცობაა სინტაგმური (სიბრტყიდან) ლერძიდან გამომდინარე და იგი არა მარტო აღწერს, არამედ წარმოქმნის კიდევაც ფრაზას. ამისათვის იგი ფლობს ისეთ წესებს, რომლებიც საშუალებას იძლევა გადაიწეროს ერთი სიმბოლო სიმბოლოთა მწკრივის სახით. ასეთ წესებს გადაწერის, ანუ სინტაგმური წესები ეწოდება. მიღებული სტრუქტურა წარმოადგენს არა რომელიმე კონკრეტულ ფრაზას, არამედ ყველა შესაძლებელ ფრაზას უსასრულო რაოდენობით, ამდენად, გადაწერის წესები რეკურენტული, ანუ უსასრულოდ განმეორებადია. მართლაც, ინგლისულ ენაში უმრავლეს შემთხვევაში ფრაზა შედგება სახელადი სინტაგმისა (NS ან NG) და ზმნური (VS ან VG) სინტაგმისაგან. გადაწერის წესთა სიმრავლე თანამიმდევრულია, ვინაიდან სიწყისი სიმბოლოდან, ფრაზიდან (S ან P) ყოველ ერთ საფეხურზე მხოლოდ ერთი სიმბოლო გადაიწერება, გადაწერის წესთა თანამიმდევრული რიგი ქმნის ე.წ. დერივაციას (წარმოქმნას), რომლის თითოეულ წინადადებას მწკრივი ეწოდება, ხოლო ბოლო მწკრივს - ტერმინალური მწკრივი. გადაწერის წესები შევსებულია ე.წ. ლექსიკური წესებით, რომელთა საშუალებითაც მოცემული ლექსიკონიდან ამოირჩევა ლექსიკური ერთეული ტერმინალური, ანუ საბოლოო მწკრივის შესავსებად. იმისათვის რომ ფრაზას სათანადო სახე მიეცეს, გადაწერისა და ლექსიკური წესები შეივსება ე.წ. მორფოფონოლოგიური წესებით, რომელთა თანახმად საბოლოო მწკრივში ჩაისმის ფონეტიკურად

სათანადოდ გაფორმებული მორფემათა მწკრივები.

ამგვარად, ამ საში სახის წესთა საშუალებით ვლენბულობთ წინადადებათა სულ რამდენიმე ძირითად მოდელს, რომელთა საშუალებითაც წარმოიქმნება კონკრეტული ენის წინადადებათა უსასრულო სიმრავლე.

გადაწერის წესები. ანუ მეორენაირად სინტაგმაური მოდელი საწყისი ფრაზის უშუალო სტრუქტურულ აღწერას იძლევა, იგი არ შეიცავს გადაადგილებების, წყვეტილ ერთეულთა აღწერის, შეკვეცის წესებს, ამიტომ საჭირო გახდა აღწერითი წესების გამდიდრება ან ახალი, საკმაოდ მოუხეშავი გადაწერის წესებით, ან ახალი სახის მოდელით, რომელიც სრულად დაკმაყოფილებდა გრამატიკისადმი წამოყენებულ ახალ მოთხოვნებს. ასეთი წესებიც მოიძებნა და მათ სიმრავლეს ეწოდა ტრანსფორმაციული გრამატიკა, რომლის ძირითადი პრინციპი შემდეგნაირად ყალიბდება: ყოველი წინადადება გვევლინება როგორც ზედაპირული სტრუქტურა, რომელსაც საფუძვლად სიღრმის სტრუქტურა უდევს, რომელსაც ის ეფუძნება და რომლიდანაც იგი მომდინარეობს. ამგვარად, ტრანსფორმაციული გრამატიკა წყვეტს შემდეგ ძირეულ პრობლემებს: სტრუქტურულ მრავალმნიშვნელოვნებას, წყვეტილ შემადგენელთა გადაადგილების, შეკვეცის ან ახალი ელემენტების შემოყვანის და განსხვავებულ ზედაპირულ სტრუქტურათა სიღრმის სტრუქტურის იგივეობის შესაძლებლობას; ხოლო ოპერაციას ანუ ქმედებას, რომლის საშუალებითაც სიღრმის სტრუქტურა უკავშირდება ზედაპირულ სტრუქტურას, ტრანსფორმაცია ეწოდება. პირველად ტრანსფორმაციული გრამატიკა 1957 წ. ჩამოყალიბდა ამერიკელ ენათმეცნიერთა მიერ, მოგვიანებით, უშუალო შემადგენელთა გრამატიკასთან ერთად, იგი თითქმის ყველა ლინგვისტურმა სკოლამ აღიარა როგორც ენობრივი ანალიზის მძლავრი იარაღი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოგვიანებით წარმოდგენილი (გენერაციული) გრამატიკის I სტანდარტული თეორია შეივსო და ახლებურად ჩამოყალიბდა მისი ავტორის ნ.ჩომსკის მიერ. ზოგადად ამ გრამატიკის წარმომქმნელი მექანიზმი რამდენიმე საფეხურად მოქმედებს პირველ საფეხურზე, გადაწერისა და ლექსიკური შევსების წესებზე დაყრდნობით. წარმოიქმნება სიღრმის სტრუქტურები, ანუ მორფემათა მწკრივები. მეორე საფეხურზე გრამატიკული ტრანსფორმაციების წესების მეშვეობით სიღრმის სტრუქტურები ზედაპირულ სტრუქტურებად გარდაიქმნება. მესამე საფეხურზე ე.წ. მორფოფონოლოგიური წესების საშუა-

ლებით მორიყვებათა მწკრივები ფონებათა მწკრივებად იქცევა და საბოლოოდ ენისათვის მისაღებ ფორმას მიიღებს. გენერაციული გრამატიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით წინადადების მნიშვნელობა სრულად გადმოიცემა სიღრმის სტრუქტურაში, ამდენად საწყისი და ტრანსფორმირებული წინადადება ინარჩუნებს ერთსა და იმავე მნიშვნელობას. ამრიგად, საბოლოო ტრანსფორმაცია წინადადების მნიშვნელობას აკავშირებს მის ბგერით გამოხატულებასთან.

აქამდე ჩვენ გრამატიკას ფორმალური თვალსაზრისით განვიხილავდით. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ტრადიციული გრამატიკული დებულებანი ისე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, რომ მეტ-ნაკლებად შეესაბამოდეს თანამედროვე ენათმეცნიერების ფორმალურ ცნებებს, მაგ. მეტყველების ნაწილები – გრამატიკული კატეგორიები შეესაბამება თანამედროვე განსხვავებას ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობებს შორის. ანდა მეტყველების ნაწილებს (სახელი, ზმნა, ზედსართავი, ზმნიზება) ვუწოდოდ პირველადი გრამატიკული კატეგორიები, ხოლო დროს, ასპექტს, კილოს და ა.შ. – მეორადი გრამატიკული კატეგორიები. თანამედროვე ენათმეცნიერება დიდ ყურადღებას აქცევს ისეთ გრამატიკულ კატეგორიებს, რომლებიც თავის თავში შეიცავს ჩვენების ანუ მითითების მნიშვნელობას. ასეთ კატეგორიებს დიქტიკური კატეგორიები ეწოდება და ესენია: დრო-სივრცობრივი, რეფერენტული, მოლაპარაკე პირთა კატეგორიები. ყველა ეს კატეგორია განიხილება გამონათქვამის მიმართ და ამ უკანასკნელის ანალიზის ფონზე.


მას შემდეგ რაც ფ. დე სოსიურმა ენა ნიშანთა სისტემად გამოაცხადა და სემიოლოგიის დარგად მიიჩნია, ენათმეცნიერებაში არ წყდება დაჟა ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობის შესახებ. და დღესაც ენათმეცნიერები გადაჭრით ვერცერთ სემანტიკურ კონცეფციას ვერ იზიარებენ, ვინაიდან ერთდროულად მოქმედებს და სიცოცხლის უნარიანია რამდენიმე სემანტიკური თეორია მნიშვნელობის ამა თუ იმ სფეროს შესაბამისად.

სოსიურამდე კი სემიოტიკას, ანუ მეცნიერებას ნიშანთა სისტემების შესახებ საფუძველი ჩაუყარეს დიდმა გერმანელმა მეცნიერმა გ.ფრეგემ და ამერიკელმა მეცნიერმა ჩ.პირსმა. სწორედ მათ შეიტანეს სემანტიკაში ნიშნის, ფუნქციის, პროპიზიციის, ექსტენსიონალის, ინტენსიონალის და პრაგმატიკის ცნებები. ამის შემდეგ სემანტიკა სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდა თანამედროვე ლოგიკიდან, ფილოსოფიიდან და მათემატიკიდან (აქსიომა, დედუქციური სისტემები) მომ-

დინარე ცნებებითა და დებულებებით. თანამედროვე სემანტიკის არც ერთი ძირეული საკითხი არ დასმულა და გადაჭრილა ლოგიკოსთა, ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა. ენათმეცნიერთა და ნაწილობრივ მათემატიკოსთა თანამშრომლობის, თანამოაზრობისა ანდა უკიდურესი პაექრობის გარეშე. ფრეგედან და პირსიდან დაწყებული და სულ ბოლო თაობის კომპიუტერული ენით დამთავრებული ყველა ზემოდასახელებული დარგის მეცნიერის განსჯის ძირითადი საგანი სწორედ სემანტიკა იყო, ვინაიდან აქ ყველაზე ნათლად აისახებოდა იმ მიმართებათა ნაირსახეობა და სირთულე, რაც არსებობს იმ სისტემაში, რომლის მთავარი მოქმედი პირები ადამიანი – სამყარო – ენა არიან. თანამედროვე ენათმეცნიერება, სხვა მომიჯნავე მეცნიერებებთან მხარდამხარ მიისწრაფოდა სუფთა, განყენებული სემანტიკიდან დინამიურ, აქტიურ სემანტიკამდე, რომელიც, ადამიანის ქმედების ყველა არეს ახლავს თან და ზოგჯერ ისეთი რთული და ხელშეუვლებია, რომ საერთოდ უარიყოფა და უბრალო პროცედურამდე დაიყვანება. ყველა განვლილი სემანტიკური სისტემა და მათთან დაკავშირებული თეორიები სწორედ მნიშვნელობის მაქსიმალურად ფორმალიზებას და ზუსტად აღწერას ისახავდა და ისახავს მიზნად. თავდაპირველად საქმე ეჭებოდა სიტყვათა მნიშვნელობას, შემდეგ წინადადების მნიშვნელობას, მოგვიანებით, საქმე შეეხო საგნისა და საგნის ურთიერთმიმართებას, უფრო გვიან საჭირო გახდა წინადადებისა მნიშვნელობისა და სამყაროს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა; ამავედროულად ყურადღება მიექცა მოლაპარაკე სუბიექტის დამოკიდებულებას გამონათქვამის მიმართ და ყველა იმ ცნობიერ თუ გაუცნობიერებელ პროცესს, რომლებიც ამ დროს მოქმედებს; სუბიექტის ჩართვისათვის წარმოიქმნა საკომუნიკაციო აქტის აუცილებლობა და ყველა იმ განზომილების მოშველიება, რომელიც ამ პროცესს ახასიათებს; სუბიექტის მიერ გამონათქვამის ხმარება შემოიფარგლებოდა უკვე არა კერძო კონკრეტული გამონათქვამებით, არამედ მათი სიმრავლით, დროში მათი სისტემების განლაგებით და, რაც მთავარია, ყოველივე ამის ზემოთ იდგა იმ ინფორმაციის საკითხი, რომელიც ყოველი დასახელებული დონიდან თუ არაბლემიდან მომდინარეობდა; აი, ამდენი ფაქტორის გათვალისწინება მოუხდა თანამედროვე სემანტიკას და ფაქტია, რომ ყოველივე ეს ნიშნის მიერ აღსანიშნავლმნიშვნელის ფარგლებში ვერ ჩაუტყოდა. თავდაპირველად კი, როცა სემანტიკას

ბერძნულ სახელს არქმევდნენ. იგი აღნიშნავდა „მნიშვნელობის ქონას“ და დღეს ზოგადად განისაზღვრება როგორც მნიშვნელობის ანალიზი. ტრადიციულ ენათმეცნიერებასაც აწუხებდა მნიშვნელობის არაერთგვაროვნება, განსაკუთრებით კი საგნის სახელდების (ნომინაციის) პროცესში საგანსა და სახელს შორის მიმართების ბუნდოვანება. რომლის თავიდან აცილებას იგი ცნების, როგორც სიტყვის (სახელის) მნიშვნელობის მოშველიებით ცდილობდა. მეტყველების ნაწილების ტრადიციული კონცეფციაც სწორედ მნიშვნელობის ასეთ გააზრებას ეყრდნობა.

თანამედროვე სემანტიკა აერთიანებს მნიშვნელობას და რეფერენტციას. რეფერენტი აღნიშნავს იმ საგანს, რომელიც სახელდება, ანუ მნიშვნელობას იძენს სიტყვის, ანუ სახელის მეშვეობით. ცნობილი სემიოტიკური სამკუთხედი სწორედ ამ მიმართებას გამოხატავს სახელს, რეფერენტსა და მნიშვნელობას შორის.



იდეალურ ენაში ერთ ფორმას ერთი მნიშვნელობა შეესაბამება; რა თქმა უნდა, ბუნებრივი ენისათვის ასეთი მოთხოვნა შეუძლებელია. უფრო მეტიც ბუნებრივი ენის სიტყვები არა მარტო მრავალმნიშვნელოვანია, არამედ მას შეუძლია ისეთი საგნებიც დაასახელოს, რომელთაც რეფერენტი არ გააჩნიათ (მაგ. კენტავრი, პეგასი და ა.შ.). გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ხშირად სახელი სრულიადაც არ არის საკმარისი საგნის ანდა თვისების აღსანიშნავად. ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათი ბუნებრივი ენისა განსაკუთრებით ფილოსოფოსებსა და ლოგიკოსებს აწუხებდათ; ისინი ცდილობდნენ აეხსნათ და მისაწვდომი გაეხადათ ბუნებრივი ენის ეს წინააღმდეგობრივი ხასიათი ზუსტი მსჯელობისა და სწორი ფორმულირების საშუალებით, სწორედ ამიტომ გამდიდრდა ენის კვლევა თანამედროვე ლოგიკის და ფილოსოფიის ცნებისა და დებულებების მოშველიების ხარჯზე.

ახლებურად იქნა გააიოებულები და ჩამოყალიბებული მრავალი ლინგვისტური ცნება და მათ შორის პრაგმატიკაც. პრაგმატიკა შეისწავლის იმ მიმართებებს, რომლებიც არსებობს: გამონათქვამებსა და იმ საგნებს შორის, რომელთა შესახებაც მოცემული გამონათქვამები წარმოიქმნა, გამონათქვამებსა და იმ პირთა შორის, ვინც მათ იყენებს და ბოლოს, იმ სიტუაციათა მიმართ, სადაც ეს გამონათქვამები იხმარება. პრაგმატიკაში ძირითადი გახდა არა ის მნიშვნელობა, რომელიც სიტყვას აქვს საერთოდ, არამედ ის მნიშვნელობა (ინტენსიონალი), რომელიც მას მიეწერება მოცემულ კონტექსტში როგორც ფუნქციის მოქმედების შედეგი განსაზღვრულ საგანთა არეზე. ამგვარად, პრაგმატიკაში ძირითადი მნიშვნელობა უკვე ინტერპრეტაციას, ანუ მნიშვნელობის მიწერას ენიჭება და ამგვარად განისაზღვრება ინდივიდისა (საგნის) და გამონათქვამის მნიშვნელობა. სემანტიკის გაფართოებამ სათანადო ადგილი მიუჩინა ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული ენათა იერარქიად დალაგების ცნებას - პირველი საფეხურის ექსტენსიონალური, მეორე საფეხურის ინტენსიონალური ენები და სხვა. გარდა ამისა ახლებურად გამოჩნდა მეტაფორის ადგილიც ადამიანის ენობრივ ქმედებაში. მეტაფორული აზროვნება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობის ჩამოყალიბების პროცესში, რომ საესეებით შესაძლოა იგი ენის დამოუკიდებელ განზომილებადაც კი ჩამოყალიბდეს მონაწილეში.

ენის ხმარების კვლევის არის გაფართოებამ ახლა უკვე თანამედროვე ენათმეცნიერებაში აღმოცენებული ცნებებისა და დებულებების გადახედვა და ახლებურად გააზრება მოითხოვა. შესაბამისად წარმოიშვა ახალი ლინგვისტური კონცეფციები, მნიშვნელობა უკვე ტექსტის წარმოდგენას, გაგებასა და ინტერპრეტაციას ეფარდება. ახლებური ლინგვისტური პოზიციისათვის ძირითადი აღმოჩნდა ცოდნის, ინფორმაციის და მქსიერების პრობლემები, ყოველივე ამის საფუძვლად კი ადამიანის ცნობიერების მდკოჭარეობა მოგვევლინა. ამგვარად აღმოცენდა პროტოტიპური და პროცესუალური სემანტიკა, რომელთა ფსიქოლოგიური საფუძველი ადამიანის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებია ენობრივი ქმედების დროს და რომლის მოქმედების მექანიზმს ამ პროცესთა რეპროდუცირება. აღდგენა წარმოადგენს. რაც წარმატებით მიმდინარეობს ხელოვნური გონის (ინტელექტის) მკვლევართა მიერ. ამ უკანასკნელთა მიერ აგებული ელგამომთვლელი მანქანები არჩეული ვზის სისწორის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია.

პროცესუალური და პროტოტიპური სემანტიკიდან მომდინარე ცნებებია ფრეიმი, სცენა, სცენარი, ზეფრეიმი, მოლოდინი, ინტენცია, ტექსტის ინტეგრალური დამუშავება და მრ. სხვა, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე კომპიუტერული ენები, რომელთა ძირეული ენობრივი უზრუნველყოფა (პროგრამა) გენერაციულ გრამატიკას ეყრდნობა. ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობა, რომელთა გაგებაზე უკვე თანამედროვე ენათმეცნიერებაში რამდენჯერმე იცვალა სახე, ახლა განფენილი აღმოჩნდა ენობრივ ნიშანზე ბევრად უფრო დიდ, განტოტვილ სტრუქტურებზე, რომელთაც სხვადასხვა დონიდან მომდინარე მრავალნაირი ინფორმაციის მოცვა და გადმოცემა შეუძლიათ. მნიშვნელობა, ისეთი ტრადიციული სახით, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ცნების ან სემის სახით, ასეთ სტრუქტურებში აღარ არსებობს, იგი ხშირად პროცედურის ცოდნამდე დაიყვანება.

მნიშვნელობის თავისებური გაგებას ეფუძნება მეტყველების აქტების ანალიზი. მნიშვნელობა, ანუ გამონათქვამის პროპოზიციული შინაარსი ჩაქსოვილია მეტყველების სხვადასხვა აქტებში, რომელთაც მოლაპარაკე სუბიექტი ასრულებს და რომლებიც გამიზნულია მსმენელისათვის. მეტყველების აქტის განხორციელების ინტენსიურობის ფონზე იმლება ურთიერთობანი ორ მოქმედ პირს შორის და გადმოიცემა განსაზღვრული პროპოზიციული მნიშვნელობა.

ჩვენ არ შევხებივართ თეორიულ-სათამაშო სემანტიკას, თუმცა მოვისხე-ნიებთ მის დიდ წარმომადგენელს ვიტგენშტეინს და მის ცნობილ გამოთქმას ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის შესახებ: „სიტყვის მნიშვნელობა - მისი ხმარება“.

ასეთია ის ძირითადი ლინგვისტური პარადიგმები, რომელთაც თქვენ გაცნობით ზოგადი ენათმეცნიერების შესწავლის პროცესში.

ლიტერატურა

- J. Lyons. General Linguistics. Cambridge, 1968.
E. Bach. An Introduction to Transformational Grammar. R. and W. 1964.
N. Chomsky. Aspects of the theory on Syntax. Cambridge, 1965.
Studies on Semantics in Generative Grammar. Monton, 1972.

თეორიული ფონეტიკა

1. ენის დისკრეტულობა და მეტყველების სინთეზური ხასიათი.

თეორიული ფონეტიკა ისევე, როგორც ენის ნებისმიერი თეორიული დისციპლინა, მიზნად ისახავს გაულრმაოს სტუდენტს ცოდნა ენის არსის, ბუნების შესახებ. მან თვალსაჩინო უნდა გახადოს ის ფაქტი, რომ ბგერითი ენა ნიშნადი ელემენტების კანონზომიერ მოწესრიგებულ ფენომენს წარმოადგენს. თეორიული დისციპლინები სტუდენტს ეხმარება ჩასწვდეს ენის იერარქიულ სტრუქტურას, რომელსაც ენობრივი დონეები წარმოაჩენენ. ენის ნებისმიერ დონეზე ენობრივი ერთეულები რთულ მიმართებებს ქმნიან, რომლებიც ენის უნიკალურ ბუნებას გამოავლენენ.

თეორიული კურსების მოსმენის დროს სტუდენტმა ნათლად უნდა დაინახოს, რომ ენა, მიუხედავად მისი იერარქიული სტრუქტურისა, ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენს, რასაც ენობრივი დონეების შედწვევალობა განაპირობებს და რომელიც კომუნიკაციის პროცესში ვლინდება.

ნებისმიერი კონტექსტის შინაარსი მხოლოდ ენის სხვადასხვა დონის ელემენტების (ფონემის, მორფემის, სიტყვის, წინადადებისა და მისი ინტონაციური კონტურის) ერთობლივი ფუნქციონირების პროცესში იჩენს თავს. ეს შინაარსი ბგერათა თავისებური განაწილებით, სიტყვათა თავისებური არანეირებით წინადადებაში; კონკრეტული ინტონაციური ქარგით ამოიცნობა. რომელიმე წინადადების მნიშვნელობა კომუნიკაციის პროცესში შემდეგ ელემენტებს ეყრდნობა: მაგალითად, წინადადებაში — დედა მოვიდა? — სიტყვების „დედა“ და „მოვიდა“ — საგნობრივ მნიშვნელობას მათი სათანადო გრამატიკული გაფორმება გადმოგვცემს, ხოლო წინადადების კითხვით ხასიათზე დამავალ-აღმავალი ტონი და სიტყვა „მოვიდა“-ს ბოლოკიდურა ხმოვნის წაგრძელებული წარმოთქმა მიგვანიშნებს: დედა მოვიდა? ეს ელემენტები დროში წაშვრებად იშლებიან, მაგრამ სინთეზურად ფუნქციონირ

რებუნ, მათი დისკრეტულობა (დანაწევრებულობა) მხოლოდ მეცნიერული ანალიზის დროს ხდება თავალსაჩინო: მეტყველების პროცესში კი ბგერათა თავისებური მირთვა სიტყვებში, სიტყვათა განლაგება წინადადებაში, მანვილების განაწილება, ინტონაციის განფენა მათზე, ერთ მთლიან სინთეზურ ფენომენად წარმოგვიდგება. ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ენობრივი დონეების ელემენტთა იზოლირებული განხილვა ხელოვნურია, მას მხოლოდ მეცნიერული ანალიზის გაადვილების საჭიროება მოითხოვს. მეტყველებაში ენობრივი ელემენტების შინაარსი მათი ერთობლივი, სინთეზური ქმედების პროცესში რეალიზდება.

მიუხედავად სამეტყველო კომუნიკაციის სინთეზური ბუნებისა, ენის თეორიული შესწავლა თეორიული დისციპლინების გამოყოფით უნდა დავიწყოთ. სტუდენტი ფილოლოგად ვერ ჩამოყალიბდება, თუ მან ვერ დაინახა ენობრივი ელემენტების სტრუქტურული ხასიათი, მათი ნიშნადობა და დისკრეტულობა, ენობრივ ელემენტთა რთული ურთიერთობა ერთი მთლიანი სისტემის ფარგლებში, ენობრივი დონეების შეღწევალობა, ენისა და მეტყველების ურთიერთობა და სხვ.

თეორიული ფონეტიკის ლექციებზე სტუდენტებმა ვრცელი ინფორმაცია უნდა მიიღონ ენის ფონეტიკური წყობის შესახებ, უნდა ღრმად ჩაწვდნენ ენის ბგერითი მხარის საკომუნიკაციო ფუნქციებს, მის როგორც სემანტიკურ, ისე ზესემანტიკურ დონეზე. ფონეტიკის თეორიული კურსი მოწოდებულია განუვითაროს სტუდენტებს მეცნიერული ალლო, ასწავლოს კრიტიკული თვალთ შეხედოს ფონეტიკის ზოგიერთ პრობლემურ საკითხს, გამოუმუშავოს ენობრივი სიტუაციის ფონეტიკური ანალიზის უნარი, რომელიც მას, როგორც მომავალ ფილოლოგს, დასჭირდება.

2. ფონეტიკის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა.

ნებისმიერი ენა უნიკალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი რომელიმე ხაციონალური ენა, რომელიც მოცემული ენობრივი კოლექტივის ხანგრძლივი სამეტყველო შემოქმედების შედეგია, განსხვავებულია მთელი რიგი ენებისგან და ზშირად განუმეორებელიცაა; თუმცა მას, როგორც საკომუნი-

კაციო იარაღს, სხვა ენებთან მრავალი საერთო ნიშანიც გააჩნია, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. თეორიული ფონეტიკა მეცნიერულად აღწერს ენის ფონეტიკური სისტემის სხვადასხვა დონეებს (სეგმენტურს, ზესეგმენტურს), მიუთითებს მათ შორის კავშირზე, ადგენს ფონეტიკური ერთეულების ფუნქციასა და მნიშვნელობას. მაგრამ, გარდა ამისა, თეორიული ფონეტიკა მყარ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ჩვენმა კურსდამთავრებულმა წარმატებით შეძლოს უცხო ენის სწავლება. როგორც ცნობილია, უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია თეორიული კვლევის შედეგებს ემყარება. ამდენად თეორიულ ფონეტიკას შორის გამიზნული თეორიული და პრაქტიკული ამოცანები გააჩნია; ერთი მხრივ, მან მეცნიერულ საფუძველზე უნდა გააანალიზოს შესასწავლი ენის ფონეტიკური წყობა და ფონოლოგიური სისტემები, გააშუქოს ისეთი პრობლემური საკითხები, რომლებსაც სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვთ. ასეთი პრობლემური საკითხებია ფონეტიკისა და ფონოლოგიის ურთიერთობა (1), ფონემის რაობა, პროსოდის პარამეტრული ბუნება (2), ცალკეული პარამეტრების მეტნაკლები ლინგვისტურობა, მარცვლის ფონოლოგიური სტატუსი, ფრაზობრივი და სიტყვიერი მახვილის ურთიერთობის საკითხი (3) და სხვა. მეორე მხრივ, თეორიულმა ფონეტიკამ ჩვენი მომავალი მასწავლებელი ისეთი ცოდნით უნდა აღჭურვოს, რომელიც მას საშუალებას მისცემს წარმატებით გამოიყენოს უცხო ენის სწავლების მეთოდური ზერხები და მშობლიური ენის ინტერფერენცია მინიმუმამდე დაიყვანოს.

თეორიული ფონეტიკის კურსი ფონეტიკური სისტემების შეპირისპირებით პრინციპს უნდა ექვემდებარებოდეს, სადაც შესწავლის ობიექტს მშობლიური და უცხო ენის ფონეტიკური წყობა წარმოადგენს. შეპირისპირებითი ანალიზის დროს ორი არამონათესავე ენის ზოგადი, ანუ შუალედური და უნიკალური, ანუ კერძო ნიშნების გამოყოფა არის ის საფუძველი, რომელსაც უცხო ენის შესწავლის ეფექტური მეთოდოლოგია დაეყრდნობა.

3. ენათა შეპირისპირებითი ანალიზის მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, ენა კომუნიკაციის პროცესში რეალიზდება. ენა ქმედებაში არის მეტყველება. როდესაც სამეტყველო ქმედების კონკრეტულ

ფაქტებს განვიხილავთ, ჩვენ ვიკვლევთ იმ რთულ ურთიერთმიმართებებს, რომელაც თავისი ზოგადი, დასრულებული სახით ენობრივ სისტემაში წარმოდგენილი, მაგრამ თავის დასაბამს მეტყველებიდან იღებს; მეტყველების სათანადო ანალიზის საფუძველზე იქმნება ადექვატური სურათი ენობრივ ელემენტთა ურთიერთობაზე და მათ ზოგად კანონზომიერებაზე. სამეტყველო ფაქტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წეს-კანონები, რომლებიც ერთ ენას ახასიათებს, შეიძლება ზოგად ხაზებში მეორე ენაშიც გამოჩნდეს, მაგრამ შემდგომი კვლევის დროს ირკვევა, რომ ეს ზოგადი სახით წარმოჩენილი თვისებების ხვედრითი წონა, ან სხვა ენაში მათი განტენა თავისებურია. რომელიმე ენის უნიკალობა შეიძლება გამომკლავდეს ფონემათა განსხვავებულ განაწილებაში, სიხშირეში, არანეირების ნაირსახეობაში, აქცენტური, სილაბური, ინტონაციური სტრუქტურების თავისებურებაში.

მოცემული ენის უნიკალური ხასიათი, რა თქმა უნდა, არ აადვილებს მისი შესწავლის საქმეს. ადამიანს ავტომატურად გადააქვს მშობლიური ენის ჩვევები უცხო ენაში. აღქმის დონეზე მას საერთოდ არც კი ესმის ის, რაც უცხო ენაში განსხვავებულია მისი მშობლიური ენისაგან: იგი უცხო ენის ბგერებს, რიტმს, მელოდიკას მშობლიური ენის თავისებურებათა ქრილში აღიქვამს. ადამიანები სოციალურად არიან „გაწვრთნილები“ უცხო ენის უღერადობა საკუთარი ენის ფუნქციონალურად ღირებულ, ნიშნად ელემენტებთან გააიგივონ, ხოლო უცხო ენაზე მეტყველების დროს, მშობლიური ენის ჩვევები მასში ანგარიშში იყვებოდნენ შეიტანონ. თუ რატომ ხდება ეს, სავსებით გასაგებია: ადამიანისათვის მშობლიური ენა ის პირველი ენაა, რომლის ჩვევებს ის ბავშვობაში იძენს და საკუთარი სიცოცხლის მანძილზე მათი ხშირი გამეორების გამო, მათ ავტომატურ სამეტყველო ქმედებებად აქცევს. მშობლიური ენის ჩვევები ისეა გათავისებული, რომ ადამიანი მშობლიურ ენაზე „გათვითცნობიერების“ გარეშე მეტყველებს: ის ფიქრობს იმაზე, თუ რა თქვას და არა იმაზე, თუ როგორ წარმოთქვას ბგერები, წარმოთქმის ასპექტი ავტომატურია.

თუ ჩვენ უცხო ენის შესწავლას მოზრდილ ასაკში ვიწყებთ, მაშინ ჩვენი

მშობლიური სამეტყველო ჩვევები ვერ გვეხმარება უცხო ენის წარმოთქმის ათვისებაში, პირიქით, ისინი „ხელსაც გვიშლიან“, ინტერფერირებენ.

მოზრდილი ადამიანი უცხო ენის გრამატიკულ, ლექსიკურ და ფონეტიკურ სტრუქტურებს ჩვეულებრივ საკუთარი ენის ყალიბით აგებს ამის გამო უცხო ენის შესწავლა მხოლოდ იმიტაციით (თუ ფონეტიკურ ვირტუოზებს გამოვრიცხავთ) ხშირად არაეფექტურია.

უცხო ენის შესწავლა მშობლიური და სამეტყველო ჩვევების გათვითცნობიერებით უნდა დავიწყოთ. ორივე ენის (მშობლიური და შესასწავლი) ზოგადი და უნიკალური ნიშნების გათვითცნობიერება მათი სწორი მანიპულირების საშუალებას იძლევა. რამაც საბოლოო ჯამში უცხო ენის წარმოთქმის ათვისება უნდა გააადვილოს. ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ თეორიული ფონეტიკის კურსი აუცილებლად მშობლიურ ენასთან შეპირისპირებითი პრინციპის საფუძველზე უნდა აიგოს, რასაც როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

არამონათესავე ენების კონტრასტული შესწავლის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შეპირისპირების ანალიზმა ორი ენის როგორც ზოგადი, ისე უნიკალური, ანუ სპეციფიკური ნიშნები უნდა გამოავლინოს.

4. ფონეტიკურ სისტემათა ზოგადი და უნიკალური ნიშნები.

არამონათესავე ენების ფონეტიკურ სისტემათა შეფარდებითმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მათში ადგილად დასტურდება ზოგადი ფონეტიკური ტიპები (ე.ი. ისეთი ზოგადი ნიშნები, რომელიც საერთოა ორივე არამონათესავე ენისათვის). სხვაობა კი მათ შორის ვლინდება, უპირველეს ყოვლისა, სპეციფიკური, ანუ მოცემული ენისათვის უნიკალური ელემენტების არსებობაში. მაგრამ არამონათესავე ენები შეიძლება ერთმანეთს სწორედ ზოგადი (ორივესათვის საერთო) ნიშნების თავისებურ გამოვლენაში გაემიჯნონ ერთმანეთს. ეს საერთო ნიშნები დომინანტურად ან რეცესიულად (ნაკლები სახით) წარმოგვიდგება. რაც საბოლოო ჯამში არამონათესავე

ენების სხვაობის ერთ-ერთი საფუძველია. ეს რომ გასაგები იყოს, შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიტანოთ: ინგლისური და ქართული ენებისათვის საერთოა თანხმოვანთა სიქარბე (ხმოვნებთან შედარებით), განსაკუთრებით კი წინა რიგის თანხმოვანთა მრავალსახეობა. ეს ნიშანი უნივერსალურ ნიშნადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ის ადამიანის ანატომიურ თავისებურებასთან არის დაკავშირებული: წინა ენის კუნთი უფრო მოქნილია, ვიდრე უკანა ენისა, ამიტომ ის თანხმოვანთა უფრო მეტ ტიპს ქმნის. ასევე საერთოა ამ ორი ენისათვის ხმოვნების დაჯგუფება რიგებისა და ენის ზურგის აწეულობის ხარისხის მიხედვით, უკანა რიგის ხმოვანთა ლაბიალიზაცია, ყრუ თანხმოვანთა ფშვინიერება, პალატალიზაციის დაბალი ხარისხი, ყელხშული არტიკულაცია, მახვილის დინამიური ხასიათი და სხვ. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ ზოგადი ნიშნების გამოვლენა, ფუნქციები და ხვედრითი წონა აბსოლუტურად განსხვავებულია ამ ორ ენაში.

თანხმოვანთა სიქარბე დომინანტურია ქართულში (28 თანხმოვანი უპირისპირდება 5 ხმოვანს), ინგლისურში კი თანხმოვნები რეცესიული სახითაა წარმოდგენილი 24 თანხმოვანი 20 ხმოვანს უპირისპირდება, ხოლო იმ ინგლისელთა წარმოთქმაში, რომლებიც აჰ და ა: ხმოვნებს წარმოთქვამენ, 24 თანხმოვანი 21 ხმოვანს უპირისპირდება. შეადარეთ:

Shaw [ʃa:] - shore [ʃɔ:].

ხმოვანთა დაჯგუფება ენის კორიზონტალური და ვერტიკალური მოძრაობის მიხედვით კი, პირიქით, დომინანტურია ინგლისურში და რეცესიულია ქართულში. ინგლისური ხმოვნები დაპირისპირებათა უფრო რთულ სისტემას ქმნის, რადგანაც წინა, უკანა და შერეული რიგის ხმოვნების სისტემა რამდენიმე წევრისაგან შედგება:

წინა რიგის ხმოვნები	— i:	ɪ	e	æ
შერეული რიგის ხმოვნები	— ɜ:	ə		
უკანა რიგის ხმოვნები	— u:	ʊ	ɑ:	ʌ

და ა.შ.

ქართულში დომინანტურია ლაბიალიზაციის ხარისხი, მაგრამ რეცე-

სიულია ლაბიალიზებულ ხმოვანთა რაოდენობა. ქართულში ორი ლაბიალიზებული ხმოვანი გვაქვს, ინგლისურში კი შვიდი:

უ ო - ო ა: ა: ა ოა აა აა.

ინგლისურში დომინანტურია მახვილის დინამიურობის ხარისხი, ქართულში ეს თვისება რეცესიული სახით გვხვდება (ქართულში სუსტი დინამიური მახვილია), რაც ამ ორი ენის რიტმული სტრუქტურების მკვეთრ სხვაობას განაპირობებს.

ორ ენას შორის სხვაობას მსგავსი ფონეტიკური ნიშნების განსხვავებული ფუნქციონალური დატვირთვაც ქმნის. საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითები გამოგვადგება: ასპირაცია და ყელწული არტიკულაცია ქართულში სიტყვათა განმასხვავებელი ნიშნებია: ვირი — პირი, ტარი — თარი და სხვ. ასპირაცია ინგლისური ყრუ თანხმოვნების კონსტიტუციური ნიშანია, მაგრამ მნიშვნელობის განსასხვავებლად არ იხმარება. იგივე შეიძლება ითქვას ყელწულ არტიკულაციაზეც, რომელიც ემოციურად შეფერილ მეტყველებას უფრო ახასიათებს და ამდენად მეტყველების სტილისტური მახასიათებელია.

ისეთი სიტყვების განსხვავება, როგორიცაა ლალი — ლილი, ა — ი ხმოვნების დაპირისპირებას ეფუძნება, ამიტომ ისინი ფონემებია, ხოლო ის ნიშნები, რაც ამ ხმოვნებს ახასიათებს, ფონემატურია: წინაენისმიერობა და ენის ზურგის მაღალი აწეულობა ი-ს შემთხვევაში, ხოლო შუაენისმიერობა და ენის ზურგის დაბალი აწეულობა ა-ს შემთხვევაში. იგივე სიტყვებში თანხმოვნები განსხვავებულია იმით, რომ სიტყვაში ლილი [ლ] თანხმოვანი უფრო რბილია, ვიდრე იგივე თანხმოვანი სიტყვაში ლალი. ქართულში „სირბილე“ ფონემატური ნიშანი არ არის, რადგანაც ის სიტყვათა მნიშვნელობას ვერ ანსხვავებს.

ამიტომ ლ-ს მეტ-ნაკლები „სირბილე“ ალოფონური ნიშანია; სამაგიეროდ იგივე ნიშანი რუსულში, ფონემატურია, შეადარეთ სიტყვები мел - мелъ [мел - мел'].

ინგლისურ ენაში წინა რიგის საშუალო და დაბალი აწეულობის ხმოვ-

ნები სიტყვათა მნიშვნელობას ასხვავებს (მაგ. pen - pan).

მაშასადამე, [e] და [æ] განსხვავებული ფონემებია. ქართულში კი [ე]-ს მეტ-ნაკლები ლიაობა სიტყვათა განსასხვავებლად არ გამოიყენება, ამიტომ ეს ნიშანი ალოფონურია. ამრიგად ალოფონური ნიშანი მოცემული ბგერის არაგანმასხვავებელი მახასიათებელია და იგი ბგერის პოზიციით განისაზღვრება (მაგ. ლ რბილია ი ხმოვნის წინ). ფონმატური ნიშანი ბგერის ისეთი მახასიათებელია, რომელიც სიტყვათა მნიშვნელობის დიფერენციისათვის იხმარება და იგი სიტყვაში მისი პოზიციით არ განისაზღვრება.

ორი არამონათესავე ენის თავისებურებას სიტყვებში ფონმათა განაწილებისა და მათი სიხშირის განსხვავებულობაც განაპირობებს. მაგალითად, ინგლისური w უ j ხ ბგერების განაწილება ანუ დისტრიბუცია სიტყვებში საკმაოდ შეზღუდულია: უ ფონემით სიტყვები არ იწყება, w ფონემით კი არასოდეს ბოლოვდება. ფონემა j ჩვეულებრივ ხმოვნების წინ გვხვდება. ფონემა h არასოდეს დასტურდება ბოლოკიდურა პოზიციაში, იგი ხმოვნების წინ თავკიდურა პოზიციაში გვხვდება. ე.წ. ისტორიულად მოკლე ხმოვნები მხოლოდ დახურულ (თანხმოვნით დამთავრებულ) მარცვალში გვხვდებიან და სხვ. ამ ინგლისური ფონებიდან j შეიძლება ქართულ მეტყველებაში შეგვხვდეს ალოფონის სახით, ისიც მხოლოდ უცხოური წარმოშობის სიტყვებში. ჰ ფონემის დისტრიბუცია საკმაოდ შეზღუდულია ქართულში, ე. ი. მისი სიხშირე რეცესიულია, სამაგიეროდ ქართული ხმოვნების სიხშირე საკმაოდ მაღალია, ისინი სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში გვხვდებიან. ამრიგად, მათი რეცესიულობა (ინგლისურ ხმოვნებთან შედარებით) მათი დიდი ხვედრითი წონით, განაწილების თავისუფლებით კომპენსირდება.

ასევე თავისებურია ინგლისური და ქართული კომპლექსების შეხამების წესები და დისტრიბუცია. ქართულისათვის ბუნებრივია თანხმოვანთა თავმოყრა თავკიდურა პოზიციაში, ინგლისურისათვის — სიტყვის ბოლოს (მაგ. გვადლენის — length). ქართული დეცესიური და აქცესიური (ბ) კომპლექსები ერთი მორფემის შიგნით ნაწილდება, ინგლისურში ისინი ჩვეულებრივ მორფემათა გასაყარზე გვხვდებიან. ინგლისურში ზმული კომპლექსებიდან პირ-

ველი წევრი მხოლოდ ხშულია და მას უშუალოდ მეორე წევრის ხშვა და სკდომა მოსდევს. ქართულში მსგავს კომპლექსებში ორივე წევრი ხშულ-მსკდომია და ა.შ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ აქცენტური დინამიურობის რეცესიულობა ქართულში და მისი დომინანტური გამოვლენა ინგლისურში, რასთანაც მკიდროდა და დაკავშირებული ამ ორი ენის განსხვავებული რიტმული სტრუქტურა. ინგლისურ ენას აქცენტური რიტმი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისურ წინადადებაში მახვილიანი მარცვლები დროის მეტ-ნაკლებად ტოლ ინტერვალებში უნდა განმეორდეს, მაგალითად, *When we 'parted, it was 'nearly 'midnight.*

მახვილიანი მარცვლები ჩვეულებრივ ორი ან სამი, ზოგჯერ ოთხი უმახვილო მარცვლის შემდეგ მეორდება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უმახვილო მარცვლების წარმოთქმის ტემპი გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე მახვილიანი მარცვლებისა, მაშინ გასაანგები იქნება, რომ სამი და ოთხმარცვლიანი უმახვილო მონაკვეთის დროული ინტერვალი აღქმის დროის იმ ინტერვალის ტოლფასად, რომელიც მახვილიანი მარცვლის წარმოთქმას სჭირდება. ე.ი. ინგლისური მეტყველება ჩვენ გვესმის როგორც ბგერათა ისეთი გამბული ჯაჭვი, სადაც მახვილით გამოყოფილი მარცვლები დროის ტოლ მონაკვეთებში მეორდება. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მარცვალთა პერიოდულობა აღქმის დონეზე. საქმე ისაა, რომ პერცეპტული პერიოდულობა არ უდრის ობიექტურ პერიოდულობას. ა.მ. ანტიპოვას (5) აზრით, სამეტყველო რიტმი შეიძლება განიმარტოს როგორც მსგავსი და განზომვადი სამეტყველო მოვლენების პერიოდულობა. ობიექტურად ეს მონაკვეთები შეიძლება აბსოლუტურად თანატოლნი არც იყვნენ, მაგრამ იდენტურად აღიქმებიან. ამრიგად, მეტყველებაში რიტმული მონაკვეთების აბსოლუტური იზოქრონიზმი მხოლოდ აღქმის დონეზე არსებობს: დროული იდენტურობა და პერიოდულობა მიეწერება ისეთ მახვილიან მონაკვეთებს, რომლებიც ობიექტურად მეტ-ნაკლებად თანატოლ ინტერვალებში მეორ-

დებიან, მაგრამ აბსოლუტური პერიოდულობა მათ მხოლოდ აღქმის დონეზე გააჩნიათ.


უმახვილო და მახვილიანი სეგმენტების გარკვეული თანამიმდევრობა რიტმულ ჯგუფს ქმნის. ასეთი რიტმული ჯგუფები გარკვეული ქარგით ხასიათდება და მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის პაუზით მთავრდება. ძლიერი დინამიური მახვილის არსებობა ინგლისურში სრული და რედუცირებული მარცვლების თანამიმდევრობას ქმნის, რომელსაც მჭიდროდ უკავშირდება მელოდიური კონტური და პაუზა. ყველა ეს პარამეტრი ერთად აღებული ინგლისური ენის აქცენტურ-რიტმულ სტრუქტურას აფორმებს.

ქართული ენის რიტმულ სტრუქტურა, სწორედ იმის გამო, რომ იგი სუსტი დინამიური მახვილით ხასიათდება, სილაბურ რიტმულ სტრუქტურას ქმნის, ე. ი. ქართულში მარცვლისმიერი რიტმია. სხვაობა მახვილიან და უმახვილო მარცვლებს შორის მინიმალურია, თითქმის ყველა მარცვალში შედარებით ტოლი ელემენტებით აღიქმის და სამეტყველო მონაკვეთების (ანუ რიტმული ჯგუფების) გამოყოფა სამეტყველო ჯაჭვიდან მეტ-ნაკლებად ტოლი რაოდენობის მარცვალთა შემდეგ ხდება. ამრიგად, ქართულში პაუზა და შესაბამისი მელოდიური ქარგა სილაბური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად ტოლ მონაკვეთს აფორმებს რიტმულ ჯგუფებად.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამეტყველო ქმედება თავისი არსით სინთეზურია, კომუნიკაცია ენობრივი ელემენტების ერთობლივი ურთიერთქმედებით ხორციელდება, მათი გამოყოფა პრაქტიკულად შეუძლებელია. მით უფრო სამართლიანია ეს დებულება, როცა მეტყველების პროსოდიულ მხარეს ვეხებით: პროსოდიული პარამეტრების (რიტმის, პაუზაციის, ტონის სიმაღლის, მელოდიის მიმართულების და სხვ.) მნიშვნელობა მათ ურთიერთმიმართებაში და მეტყველების ვერბალურ მხარესთან კავშირში ვლინდება. მაგრამ მიუხედავად ამისა, ისევ არამონათესავე ენებს შორის მსგავსება-კონტაქტის უფრო მკვეთრად წარმოიჩინების მიზნით, თეორიულად შეიძლება, რომ მელოდიური კომპონენტები ქართულსა და ინგლისურში იზოლირებულად წარმოვადგინოთ და შეპირისპირებით პლანში განვიხილოთ


ორი არამონათესავე ენის შედარებისას ადვილად შეიმჩნევა არა მარტო ზოგადი ტიპები, არამედ უნივერსალიებიც კი, რომელიც მრავალ ენას შეიძლება ახასიათებდეს. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს აზრის დამთავრებულობის და დაუმთავრებლობის, ანუ მოლოდინის კატეგორიები. მტკიცება, ანუ კატეგორიულობა (სულერთია ის უარყოფითი იქნება თუ დადებითი) ჩვეულებრივ დამავალი ტერმინალით წარმოითქმის, ხოლო დაუმთავრებლობა, მოლოდინი, აღმავალი ტერმინალით, ანუ ბირთვული ტონით. ასეთი ტერმინალები ამ კომუნიკაციურ ტიპებთან მიმართებაში შეიძლება ენობრივ უნივერსალიებს მივაკუთვნოთ, რადგანაც ისინი არა მხოლოდ ქართულ და ინგლისურ ენაში, არამედ მრავალ ენაში გვხვდება. მაგრამ ამ ენებში ამ უნივერსალიების გამოვლენა აბსოლუტურად განსხვავებულია. განსხვავებულია არა მარტო მთლიანად ინტონაციური კონტური, არამედ თვით ტერმინალის, ბირთვული ტონის განაწილება მარცვლებზე.

მაგალითად, ქართული წინადადება, რომელიც მტკიცებას გამოხატავს, შეიძლება ასეთი მელოდიური ქარგით გამოიხატოს




ამ ფრაზაში ტონი პირველ მახვილიან მარცვალზე ან საშუალო ან დაბალი, უმახვილო მარცვალზე ტონი იწევს მაღლა, შემდეგ ჩამოდის და ეცემა უმახვილო მარცვალზე. ასეთი მელოდიური ქარგა ინგლისური კატეგორიული მტკიცებისათვის სრულიად მიუღებელია. ინგლისურში ყველაფერი პირიქით ხდება: ყველაზე მაღალი ტონით გამოითქმის პირველი მახვილიანი მარცვალი, მომდევნო მარცვლებს დამავალი თანამიმდევრობა აქვთ, და ტონი ეცემა არა უმახვილო მარცვალზე, როგორც ეს ქართულშია, არამედ მახვილიანზე.

Tommy said it.



ჩვენ რომ ქართული მელოდოური კონტური ინგლისურ წინადადებაში ვიხმაროთ, ინგლისელი ასეთ წინადადებას აღიქვამს როგორც უცხო, უცნაურს. ზოგიერთ შემთხვევაში კი სულ სხვა მნიშვნელობას მიაწერს. ამის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი გამოვადგება: ქართულში როცა გვინდა ვინმეს ყურადღება მივიპყროთ ან რაიმეში გადავარწმუნოთ, ნაბიჯ-ნაბიჯ ამავალ მელოდოურ კონტურს ვხმარობთ:

სიჩუმე ე!




ამ წინადადების ქვეტექსტი ასეთია: „ყური დამიგდეთ, რალაც საინტერესო უნდა გითხრათ!“ ინგლისურ ენაში ნახმარი იგივე მელოდოური კონტური სულ სხვა მნიშვნელობას იძენს:

Silence?



ამ კონტურს ხელახალი შეკითხვის მნიშვნელობა აქვს და არასოდეს არ ნიშნავს ვინმეს წაქეზებას ან გადარწმუნებას. კიდევ ერთი მაგალითი:

ჩამოვიდა თუ წავიდა?



იგივე თუობითი კითხვა ინგლისურშიც ორი ტონური ჩგუფისაგან შედგება, ინგლისურში კავშირი „თუ“ მეორე ტონურ ჩგუფში თავსდება და ქართულისგან განსხვავებით დაბალი ტონით წარმოითქმის.

'Did he a rive or go away?



გარდა ამ სხვაობისა, თუობითი შეკითხვის პირველი ნაწილი ორივე ენაში კონტრასტულია: ქართულში შეკითხვის პირველი ნაწილის ტონი აღმავალ შკალას ეფინება, ინგლისურში — ტონი დამავალია. შეკითხვის მეორე ნაწილის ტონი ნელ-ნელა იჩქმალება და ბოლო უმახვილო მარცვალზე ეცემა. ინგლისურში პირიქით, ბირთვული ტონი ბოლომახვილიან მარცვალზე მკვეთრად ვარდება, უმახვილო მარცვლები კი დაბალი ტონით წარმოითქმის. როგორც ვხედავთ, ორი ენის იდენტურ კომუნიკაციურ ტიპებს შეიძლება აბსოლუტურად განსხვავებული მელოდიური ქარგა ჰქონდეთ, რომლის მექანიკური გატანა ერთი ენიდან მეორეში ან გაუგებრობას ბადებს, ან უცნაურად ჟღერს.

ენობრივი ფაქტები ცხადყოფენ. რომ ორ არამონათესავე ენებს შორის კონტრასტს პირველ რიგში მათი სპეციფიკური ნიშნები განაპირობებენ, მაგრამ გარდა ამისა, როგორ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, მათ შორის სხვაობას ზოგადი, მათთვის საერთო ნიშნებიც ამძაფრებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ განსხვავებულია ორივე ენის საერთო ელემენტების ხვედრითი წონა, დისტრიბუცია, მათი ურთიერთშესამების (არანეირების) წესები; მსგავსი სტრუქტურები დომინანტურად ან რეცესიულად ვლინდება ცალკეულ ენაში და მას განუმეორებელ, უნიკალურ ელფერს ანიჭებენ.

ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ: ა) ნებისმიერი ენა უნიკალური სტრუქტურის მქონეა; ბ) ენათა უნიკალურ სტრუქტურას განაპირობებს განსხვავებული ფონემური ინვენტარი, ფონემათა დისტრიბუციის თავისებურება, აქცენტური და მელოდიური ქარგების თვითყოფადობა; გ) ნებისმიერი ენის ელემენტები განუკითხავ გროვას კი არ წარმოადგენენ, არამედ ამ ელემენტების მოწესრიგებულ ერთობლიობას, რომელიც ისტორიულადაა შემუშავებული და გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება; მისი დაცვა ნორმალური კომუნიკაციის საწინააღმდეგარია და ამდენად ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის სავალდებულოა; დ) ენობრივი ელემენტები ქმნიან რთულ ურთიერმიმართებას, რომელიც ერთიანი სისტემის ფარგლებში ვლინდება. ეს სისტემა გარკვეული აბსტ-

რაპირების შედეგია, მაგრამ მისი საფუძველი სამეტყველო ქმედებაში იმყოფება და იქიდან გამოიყვანება.

თეორიული ფონეტიკის მიზანს სწორედ ამ დებულებების დამადასტურებელი ენობრივი ფაქტების მეცნიერული ანალიზი და აღწერა წარმოადგენს.

თეორიული ფონეტიკის კურსი შეპირისპირებითი ანალიზის პრინციპებზე უნდა აიგოს. შეპირისპირებითი ანალიზი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რათა ორი (ან მეტი) არამონათესავე ენის თავისებურება უფრო მკვეთრად წარმოვაჩინოთ. ორ არამონათესავე ენას შორის საერთო ნიშნების მიკვლევა ენათა ტიპოლოგიური კვლევის პირველდაწყებითი საფეხურია, იგი ენობრივი უნივერსალიების დადგენისათვის ამზადებს ნიადაგს. ამრიგად, არამონათესავე ენათა, კერძოდ, მათი ფონეტიკური სისტემების კონტრასტული შესწავლა თეორიულ პლანში, კვლევის პერსპექტივას აფართოებს, რადგან თავისი მიზანდასახულობით იგი ენათა ტიპოლოგიური კვლევის პრობლემატიკას უკავშირდება. მეორე მხრივ, შეპირისპირებით პრინციპებზე აგებული თეორიული ფონეტიკის კურსი ენის პრაქტიკულ სწავლებასაც მიესადაგება. ფონეტიკურ სისტემათა სპეციფიკური ნიშნების წარმოჩენა, მათი მეცნიერული აღწერა და კლასიფიკაცია სწორი მეთოდოლოგიური ბაზისის შექმნას უწყობს ხელს, რაც უცხო ენის სწავლების საქმეს წაადგება.

ლიტერატურა

1. ლ. გამსახურდია, ფონეტიკისა და ფონოლოგიის ურთიერთობის საკითხისათვის, უცხოური ენები სკოლაში, თბილისი, 1974 წ.
2. Crystal D., Prosodic Systems and Intonation in English, Cambridge, 1969.
3. Торсуев Г.П., Фонетика английского языка, Москва, 1950.
4. ლ. გამსახურდია, ფონეტიკურ სისტემათა შედარებითი ტიპოლოგიის საკითხისათვის, ფონეტიკა და ნორმა, თბილისი, 1981 წ.
5. Антипова А.М., Ритмическая система английской речи, Москва, "Высшая школа", 1984
6. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1956 წ.

თეორიული გრამატიკა

ენა ადამიანის ყოფის ამსახველი ის უზუსტესი ფენომენია, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ადამიანის ქცევის თუ მოღვაწეობის ნებისმიერი სფეროს არსებობა თუ ასახვა. მეცნიერებას, რომელიც ენას შეისწავლის, ენათმეცნიერება ეწოდება. ენათმეცნიერება ენას სხვადასხვა კუთხით სწავლობს. ამდენად, იგი სხვადასხვა დარგად იყოფა. ენათმეცნიერების დარგთა შორის ცენტრალური ადგილი გრამატიკას უკავია.

გრამატიკა ენათმეცნიერების ის დარგია, რომელიც შეისწავლის ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურას. შესაბამისად გამოიყოფა გრამატიკის ორი სფერო: მორფოლოგია და სინტაქსი: მორფოლოგია სწავლობს სიტყვის, უფრო ზუსტად, მეტყველების ნაწილთა დამახასიათებელ ფორმებს და ფორმათცვალებადობას. სინტაქსი კი შეისწავლის სიტყვების შესიტყვებებად, ფრაზებად თუ წინადადებებად არანეორების წესებს, მათ ფუნქციონირებას ტექსტში.

გრამატიკა წარმოიშვა უცხოური ენების შესწავლის მიზნით. ამ ტიპის გრამატიკას პრესკრიპტიული ეწოდება. იგი ცნობილია აგრეთვე ტრადიციული გრამატიკის სახელწოდებით. პრესკრიპტიული გრამატიკა გვაძლევს მზამზარეულ წესებს ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის სხვადასხვა ფორმების წარმოებისა და ხმარების შესახებ. იგი დიდად მნიშვნელოვანია, რადგან იძლევა სწორად ლაპარაკის და წერის სახელმძღვანელო წესებს. მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, ხშირად პრესკრიპტიული გრამატიკა, ტრადიციის დაცვის მიზნით, სრულყოფილად ვერ ასახავს იმ ენობრივ რეალობას, რომელიც ენის განვითარების შედეგად წარმოიშვება ხოლმე. მაგალითად, არსებითი სახელის ბრუნვის კატეგორიასთან დაკავშირებით ძალიან ხშირად ირღვევა ის წესი, რომ 's მხოლოდ სულიერ სახელთან იხმარება, მაგ 'The table's leg. ტრადიციული გრამატიკის მიხედვით to be არ იხმარება განგრძობით დროში,

მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ხშირია ისეთი შემთხვევები, როგორცაა Ilc is being naughty.

არტიკლის ხმარებისას ცნობილია წესი, რომ საგნის მეორედ მოხსენებისას არსებითი სახელი განსაზღვრული არტიკლით უნდა იხმარებოდეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მეორედ მოხსენებისასაც ბუნებრივია განუსაზღვრელი არტიკლის ხმარება.

მსგავსი მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება. ამრიგად, პრესკრიპტიული გრამატიკა ჯეროვნად ვერ ასახავს ენაში რეალურად არსებულ ვითარებას. ამის გამო წარმოიშვა დესკრიპტიული ანუ აღწერილობითი გრამატიკა, რომელიც დაუპირისპირდა პრესკრიპტიულს. დესკრიპტიული გრამატიკა აღწერს ენაში რეალურად არსებულ ფორმებს და მათ ფუნქციონირებას. მისი მიზანია აგრეთვე ამ ფორმათა ხმარების მიზეზების ახსნა. დესკრიპტიული გრამატიკა წინგადადგმული ნაბიჯია პრესკრიპტიულთან შედარებით. საყურადღებოა, რომ დესკრიპტიული გრამატიკა აღწერს მოვლენებს ერთი ენის ფარგლებში თანამედროვე საფეხურზე და ხასიათდება ენობრივი ერთეულებისადმი სისტემური მიდგომით. ყოველი ენის გრამატიკა თავისებურ სისტემას ქმნის, რომლის ელემენტებიც გარკვეულ მიმართებაშია ერთმანეთთან და მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია ერთმანეთზე. დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციას სხვადასხვა სამეტყველო კოლექტივის წარმომადგენელთა შორის, რაც განპირობებულია ბიზნესის, მეცნიერული კონტაქტების თუ კულტურული ურთიერთობის მაღალი მოთხოვნილებით. ამდენად, თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურია ე.წ. საკომუნიკაციო გრამატიკა. შეიძლება ითქვას, რომ საკომუნიკაციო გრამატიკა არის „გრამატიკა პირიქით“, ანუ იგი არკვევს, თუ როგორი გრამატიკული სტრუქტურები იხმარება ამა თუ იმ ენობრივი მნიშვნელობის გადმოსაცემად. საკომუნიკაციო გრამატიკა ახალ პერსპექტივას შლის ენის შემსწავლელის წინაშე; იგი გრამატიკულ სტრუქტურას სისტემურად უკავშირებს სიტუაციას, ხმარებას და მნიშვნელობას. საკომუნიკაციო გრამატიკა ახალი ტიპის გრამატიკაა. იგი პასუხობს შეკითხვას „როგორ ვიხმარო ესა

თუ ის გრამატიკული ფორმა კომუნიკაციის მიზნით". ამდენად, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია გრამატიკული ფორმების ხმარებაზე და არა სხვადასხვა ფორმის აგების წესებზე.

გრამატიკაში დიდი ადგილი უკავია ისტორიულ კვლევას როგორც ერთი ენის, ისე სხვადასხვა ენის ფარგლებში. ამის შესატყვისად გვაქვს ისტორიული გრამატიკა და შედარებით-ისტორიული გრამატიკა. ისტორიული გრამატიკა იკვლევს სხვადასხვა ენობრივი ელემენტების განვითარებას დიაქრონიაში, ანუ წარმოშობიდან თანამედროვე ეტაპამდე. რაც შეეხება შედარებით ისტორიულ გრამატიკას, იგი იკვლევს სხვადასხვა ენის მსგავსი სტრუქტურების თავისებურებებს ისტორიულ კრილში. შედარებითი გრამატიკა მონათესავე ელემენტებს იკვლევს. არამონათესავე ენების მიმართ მსგავს კვლევას შეპირისპირებითი გრამატიკა აწარმოებს.

ამგვარად, არსებობს გრამატიკის შემდეგი ძირითადი სახეები: პრესკრიპტიული/ანუ ტრადიციული/, დესკრიპტიული, საკომუნიკაციო, ისტორიული, შედარებით-ისტორიული და შეპირისპირებითი.

პრაქტიკული გრამატიკისაგან განსხვავებით, თეორიული გრამატიკა გრამატიკულ მოვლენებს მეცნიერულად უდგება. იგი გვაძლევს ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის წარმოშობის, განვითარების თუ ხმარების მეცნიერულ ახსნას. თეორიულ გრამატიკაში ხშირად გვაქვს ამა თუ იმ მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაცია. მაგალითად, არტიკლი ინგლისურ ენაში ჩვეულებრივ გამოიყოფა ცალკე მეტყველების ნაწილად, მაგრამ არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც არტიკლი განიხილება არსებით სახელთან ერთად და მიიჩნევა ამ უკანასკნელის გრამატიკულ კატეგორიად; უფრო ზუსტად, იგი აღიქმება დამხმარე სიტყვად, რომელიც ქმნის არსებითი სახელის განსაზღვრულობა/ განუსაზღვრელობის კატეგორიის ანალიზურ ფორმას. ასევე საკამათოა ინგლისურში დროის, როგორც გრამატიკული კატეგორიის არსებობა-არარსებობის საკითხი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ინგლისურში არსებობს მომავალი დროის გრამატიკული კატეგორია, მაგრამ პარალელურად ბატონობს აზრი, რომ თუმცა ინგლისურ ენას შეს-

წევს მომავალ მოქმედებათა გადმოცემის უნარი, მას არ გააჩნია მომავალი დროის გამომხატველი გრამატიკული კატეგორია.

გრამატიკოსთა უმეტესი ნაწილი რიცხვით სახელს ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფს, მაგრამ ზოგიერთს ასეთი გამოყოფა უმართებულოდ მიაჩნია. ისინი რაოდენობით რიცხვით სახელებს არსებით სახელთა ჯგუფს აკუთვნებენ, რიგობითს კი ზედსართავისას. მსგავსი მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება, მაგრამ ამჯერად ამ სამი შემთხვევის აღნიშვნით შემოვიფარგლებით.

საყურადღებოა, რომ გრამატიკის მკვლევართა ყურადღების ცენტრში უმთავრესად ლიტერატურული - სამწერლო ენაა. ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია არალიტერატურული ენის გრამატიკული კანონზომიერებების შესწავლაც, რაც ენობრივი პროცესების ახსნისა და პროგნოზირების საშუალებას მოგვცემს.

ყველა საზოგადოებაში გარკვეული სოციალური ფენები გამოიყოფა, რომელთაც საერთო მახასიათებლებთან ერთად განმასხვავებელი ნიშნებიც აქვთ. შესაბამისად, ერთი ენის შიგნით აშკარად გამოიყოფა გარკვეული სოციალური დიალექტები, რომლებიც საერთო ენობრივი თვისებების პარალელურად განსაკუთრებულ უნიკალურ თვისებებსაც ამჟღავნებენ. ინგლისურში ძირითადად გამოყოფენ განათლებული სოციალური ფენის ენას (Educated English) და გაუნათლებელი სოციალური ფენების ენას (Uneducated English). ეს უკანასკნელი ხშირად ემთხვევა ამა თუ იმ რეგიონალურ დიალექტს. ტერმინის Educated English-ის სინონიმურად იხმარება Standard English, რომელიც ლიტერატურული ენის ტოლფასია, ხოლო Uneducated English-ს მიესადაგება ტერმინი Nonstandard English - არალიტერატურული ინგლისური. ზეპირი თუ წერიტი კომუნიკაციის დროს ინგლისური ენის ეს ვარიანტები აისახება შემდეგ ენობრივ რეგისტრში: ოფიციალური (formal, ნეიტრალური (common core) და არაოფიციალური/შიწაურული (informal)

ენა, ჩვენს შემთხვევაში ინგლისური, ის ინვარიანტია - აბსტრაქტული მოდელი, რომელიც პარადიგმულ ჭრილში ძევს და აერთიანებს ყველა ვარი-

ანტს. ვარიანტი კი სინტაგმატურ კრილს განეკუთვნება. იგი ერთია, განუმეორებელი, რადგან სამეტყველო /ზეპირი თუ წერიით/ აქტის ცალკეულ გამოვლინებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ოფიციალური (formal), არაოფიციალური (informal) და ნეიტრალური (common core) ინგლისურის ის ვარიანტებია, რომლებიც ვლინდება მხოლოდ სინტაგმატურ პლანში და დამოკიდებულია მოლაპარაკის კომუნიკაციურ გამიზნულობაზე, სიტუაციურ კონტექსტზე, მოლაპარაკისა და მსმენელის ასაკზე, სქესზე, წარმოშობაზე და სხვა. ოფიციალური რეგისტრი ლიტერატურულ ინგლისურს ასახავს და გამოიყენება საჯარო გამოსვლებში, ლექციის წასაკითხად, სახელმწიფოებრივი თუ სამართლებრივი საქმის წარმოებისას და სხვა. ოფიციალურ რეგისტრს უპირისპირდება არაოფიციალური, ანუ შინაურული, რომელიც თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: სტანდარტული შინაურული (standard informal) და არასტანდარტული შინაურული (non-standard informal). სტანდარტული შინაურული იმ კოლექტივის თუ პირთა ენაა, რომელსაც განათლებული მოლაპარაკე იყენებს ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან საუბარში.

ოფიციალურ და არაოფიციალურ /შინაურულ/ რეგისტრებს შორის ძეგს ე.წ. ბირთვული (common core) ინგლისური, რომელიც ნეიტრალურ ვარიანტს წარმოადგენს. მოლაპარაკე, რომლისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა, ბუნებრივად გადაერთვება ხოლმე ერთი რეგისტრიდან მეორეზე საკომუნიკაციო გამიზნულობისა და სიტუაციის შესაბამისად. ინგლისური ენის შემსწავლელი კი ასეთი გადართვის უნარს ენის დაუფლების მხოლოდ მაღალ საფეხურზე იძენს. მსგავსი ვარიანტები დამწერლობისა და ლიტერატურული ტრადიციების მქონე ყველა ენაში გამოიყოფა.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ლიტერატურული, სტანდარტული ინგლისური პრესტიჟული სოციალური ვარიანტია. მისი პრესტიჟულობის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნებოდა შოუს „პიგმალიონის“ გახსენება. სტანდარტული ინგლისურის დიდი პრესტიჟი იწვევს უპირატესობის გრძნობას მასზე მოლაპარაკე პირთა სოციალურ ფენებში. ამის კიდევ ერთი დამამტკიცებელი მაგალითია პოლ რობერტსის მიერ ორი ტიპის გრამატიკის

გამოყოფა - გრამატიკა I და გრამატიკა II. პირველი ასახავს სტანდარტული ინგლისურის გრამატიკულ ფორმებს, მეორე კი არასტანდარტული შინაურული ინგლისურის ფორმებს აღწერს. ამის საილუსტრაციოდ მას შემდეგი ორი მაგალითი მოჰყავს: "Henry brought his mother some flowers" და "Henry brung his mother some flowers" და დასძენს, რომ ეს წინადადებები მხოლოდ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ისინი სხვადასხვა სოციალურ დიალექტზე მიანიშნებენ. პ. რობერტსი შენიშნავს, არაფერია სამარცხვინო ან უკანონო იმაში, რომ იხმარო გამონათქვამი "Henry bring his mother some flowers" და განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ ახალგაზრდა თაობაში ეს არ უნდა იწვევდეს მათ გაუცხოებას მშობლებთან.

ადვილი დასანახია, რომ ზემომოყვანილი წყვილიდან პირველი წინადადება განათლებული ფენის მოლაპარაკეთა მიერ წარმოითქმის და ლიტერატურულ ვარიანტს წარმოადგენს. მეორე წინადადება კი არასტანდარტული ვარიანტია და ფართოდაა გავრცელებული გაუნათლებელი ფენის წარმომადგენელთა შორის. პირველის აღსანიშნავად პ. რობერტსი ხმარობს ტერმინს გრამატიკა I (Grammar I), მეორეს კი - გრამატიკა II (Grammar II). იგი სამართლიანად მიიჩნევს ორივეს სრულყოფილებიან, ნორმალურ, სწორ ფორმად. მაგრამ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი სტანდარტული ინგლისურის ნორმაა, მეორე კი არასტანდარტულის. მეორე წინადადების გაგონებისას მსმენელი ხვდება, რომ გაუნათლებელ მოლაპარაკესთან აქვს საქმე. პოლ რობერტსს გრამატიკა I უფრო პრესტიჟულად მიაჩნია, ვიდრე გრამატიკა II. თუ ადამიანს სურს დაწინაურდეს ბიზნესში ან სხვა მნიშვნელოვან სამსახურებრივ ასპერეზზე, იგი უნდა ფლობდეს Grammar I, ანუ ლაპარაკობდეს და წერდეს სტანდარტული ინგლისურით. პ. რობერტსი არაერთგზის აღნიშნავს, რომ Grammar II ტოლს არ უდებს Grammar I-ს, რამდენადაც იგი ზუსტად გამოხატავს მასზე მოლაპარაკე ადამიანთა აზრებს. მისი აზრით, ინგლისური ენის ამ ფორმას ისევე ახასიათებს სიზუსტე, სირთულე, ძალა და სინატიფე, როგორც გრამატიკა I-ს. მოუხედავად ამისა, გრამატიკა I-ზე მოლაპარაკეს უპირატესობის გრძნობა აქვს გრამატიკა II-ზე მოლაპარაკის მიმართ. გრამატიკა II-ზე მოლაპარაკისათვის ბევრი კარია დახურული. რაც პ. რობერტსს უსამართლობად მიაჩნია. საუკეთესო მო-

საუბრე როდია ის, ვინც მხოლოდ გრამატიკა I-ს ხმარობს ყველგან და ყოველთვის. საუკეთესო მოსაუბრე ისაა, ვისაც თავისუფლად შეუძლია გადაერთოს ერთი ვარიანტიდან მეორეზე სიტუაციის მიხედვით.

ოფიციალურ და არაოფიციალურ ინგლისურს, როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე აშშ-ში. მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები აქვს წარმოთქმის, ლექსიკისა და გრამატიკის სფეროში. არასტანდარტული/შინაურული/ - ხასიათდება საუბრის სწრაფი ტემპით. მასში განსაკუთრებით ხშირია უმანვილო მარცვალთა რედუქცია და დამხმარე ზმნების შეკვეცა მათ სრულ ამოვარდნამდე.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება არაოფიციალური ინგლისურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მაგალითის მოტანა:

1. არსებითი სახელის სფეროში გავრცელებულია ორმაგი მრავლობითის წარმოება: *mices, mens* და ა.შ.

2. პირის ნაცვალსახელის ობიექტურ ბრუნვაში *me*-ის ნაცვლად *us* ხმარება:

Give us (=me) the book.

3. მრავლობითი რიცხვის ჩვენებითი ნაცვალსახელის *those*-ის ნაცვლად იხმარება *they* და *them*:

They books over there

Them boys on the bridge.

4. მიმართებითი ნაცვალსახელი *which* იხმარება სულიერ სახელებთანაც

He's the man which done it.

5. ზედსართავი სახელის სფეროში ხშირია შედარებითი ხარისხების ორმაგი წარმოება:

She is more nicer than Ann.

გარდა ამისა, მრავალმარცვლიანი ზედსართავებიც აწარმოებენ შედარებითის ხარისხებს - *er, - est* -ის დართვით მაგ. *usefuller*.

6. ზმნის სფეროში სხვა მრავალ შემთხვევათა შორის აღსანიშნავია აწმყო დროის პირისა და რიცხვის ფორმების უნიფიცირება, რაც შემდეგი ორი საშუალებით მიიღწევა: მესამე პირის მხოლოდითი რიცხვიც დაბოლოების *-s* ჩამოშორება, ან მისი ხმარება მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის

ყველა პირში:

I wants it.

He like her.

აქ არ შევეუდგებით არალიტერატურული სასაუბრო ინგლისურისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის ჩამოთვლას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ უცხოური ენის შემსწავლელი ლიტერატურული ინგლისურის ფორმებს უნდა ეუფლებოდეს, მაგრამ ენის სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია არალიტერატურული ფორმების ცოდნაც, მით უმეტეს რომ ეს ფორმები ფართოდ გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაში.

თეორიული გრამატიკა მეცნიერული თვალსაზრისით სწავლობს ენის როგორც ლიტერატურულ, ისე არალიტერატურულ ფორმებს. ამგვარად, თეორიული გრამატიკა შეისწავლის ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის წარმოშობის, განვითარების და ხმარების კანონზომიერებებს, ასევე აღგენს ენის ლიტერატურული და არალიტერატურული ფორმების ნორმებს და გვაძლევს ენობრივი პროცესების ახსნისა და პროგნოზირების საშუალებას.

ლიტერატურა

1. Есперсен О., Философия грамматики. М., Изд.-во иностр. лит.-ра, 1958
2. Иванова И.П., Бурлакова В.В, Почспцов Г.Г, Теоретическая грамматика современного английского языка. М., "Высшая школа", 1981.
3. Кубрякова Е.С., Части речи в современном освещении. М., "Наука", 1978.
4. Jespersen O., Essentials of English Grammar. London, George Allen and Unwin LTD, 1950.
5. Long R.B., The Sentence and its Parts. A Grammar of Contemporary English. Chicago and London, 1971.
6. Quirk R., Greenbaum S., Leech G., Svartvik J., A Comprehensive Grammar of English. London: Longmans, 1985.

ლექსიკოლოგია

უცხოური ენის სწავლების პროცესის სწორი აგება დიდადაა დამოკიდებული „უცხოური ენის“, როგორც შესასწავლი საგნის, შინაარსის დადგენაზე.

ენაზე მუშაობის პრაქტიკაში უკვე გამოიკვეთა მიზანთა წრე, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს უმაღლეს სასწავლებელში კვალიფიცირებული ენის სპეციალისტის მომზადება. ზოგადად ეს მიზნები გულისხმობს, რომ სტუდენტი ენის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ოთხი ტიპის კომპეტენციას: მან უნდა შეძლოს გრამატიკულად გამართული, კონკრეტულ სიტუაციას, ადრესატს, მიზნებს მისადაგებული ინფორმაციული ტიპის გამონათქვამის გაგება და აგება (საკომუნიკაციო კომპეტენცია); იგი იმ დონეზე უნდა იცნობდეს შესასწავლი ენის სისტემას, რომ შეძლოს სამეტყველო სიტუაციაში ენობრივი ცოდნის წესებით ოპერირება (ლინგვისტური კომპეტენცია); საკმაოდ კარგად უნდა ერკვეოდეს იმ ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ, რათა ამ ენობრივ კოლექტივში მიღებული სამეტყველო და არასამეტყველო ქცევის წესებიდან შეარჩიოს სტერეოტიპული სიტუაციისათვის შესაფერი ერთადერთი სწორი ნორმატიული სამეტყველო ქმედება (ლინგვო-ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენცია), შეგნებულად, ეკონომიურად, შემოქმედებითად და გამიზნულად წარმართოს თავისი მუშაობა ენაზე მუშაობის პერიოდში (მეთოდური კომპეტენცია).

ეს კომპეტენციები უფრო მარტივად სამ ძირითად მოთხოვნაში შეიძლება გაერთიანდეს: ენის შემსწავლელის მეტყველება მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს ენის მატარებლის მეტყველებას, იგი უნდა ფლობდეს ცოდნას ენის შესახებ (როგორც მომავალი ფილოლოგი) და უნდა შეეძლოს ასწავლოს სხვას როგორ ისწავლოს ენა (როგორც მომავალმა პედაგოგმა).

თავდაპირველად ენის სწავლების ისტორია უფრო მარტივად გამოიყურებოდა. წლების მანძილზე ენის სწავლებას გრამატიკის სწავლასთან აიგივებდნენ, რადგან უცხოური ენის ნებისმიერი კურსის დასრულება გულისხმობდა გრამატიკის სრულ გავლას, თუნდაც სხვადასხვანაირი სიღრმით. ასეთი მიდგომა, როგორც ჩანს, განაპირობა თვით გრამატიკული სისტემის სიმეტრიულად და თანმიმდევრულად რეგლამენტირებულმა, აღსაწერად მოქნილმა და იოლად ასახსნელმა ბუნებამ.

ენის შემსწავლელი თავს ასე გალაღებულად ვერ გრძნობს ლექსიკის სფეროში. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკის ერთეულთა უზარმაზარ, უსასრულოდ მზარდ კორპუსში უნდა ვეძიოთ და იმ მრავალფეროვნებასა და განუქვრეტელობაში, რომელიც ახასიათებს სიტყვების ენობრივ, თუ სამეტყველო არსებობას. ამ თავისებურებამ და, შესაძლოა, გრამატიკის მიერ შექმნილმა არახელსაყრელმა ფონმაც, ლექსიკას იმთავითვე მეორეხარისხოვანი როლი მიაკუთვნეს ენის სწავლებაში და აღწერილობით ლიტერატურაში (ლექსიკონები, ცნობარები და სხვ.) კარგა ხნით დაუდეს ბინა.

დროთა ვითარებაში საზოგადოებაში მომხდარი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ძვრების შედეგად გაიზარდა ენის საფუძვლიანი და დროში ეკონომიურად დაგეგმილი სწავლების მოთხოვნილებაც. ნათელი გახდა, რომ ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ლექსიკის არსში უფრო ღრმად ჩაწვდომის გარეშე. ამ ფონზე სიტყვაზე მუშაობამ, რომელიც, გრამატიკის წამყვანი როლის მიუხედავად, მაინც ითვლებოდა სასწავლო ოპერაციების ობიექტად (უბრალოდ იმ მიზეზით, რომ უსიტყვებოდ ენა არ არსებობს), სულ სხვა ყდერადობა შეიძინა. დაიწყო ენის სწავლებაში ლექსიკის მნიშვნელობის პროპაგანდა, რასაც ძალიან უწყობდა ხელს ენის თეორეტიკოსთა ასეთი „რეკლამური“ ხასიათის განცხადებები (კარგი გავებით):

"We think with words. We work with words. We create with words. We judge with words. We are judged with words... Words are a puzzle, a problem, a snare, a danger, a tool, a game, a treasure, a delight, a human heritage (ჩარლზ

ფენიგსი, ნენსი კინგზი, მარჯორი სტივენსი).

ლექსიკის დაგროვების სამი წყაროდან — ლიტერატურა, ლექსიკონები, სამეტყველო სიტუაცია — ყველაზე პოპულარული ამ პერიოდში პირველი აღმოჩნდა.

მაგრამ ლექსიკაზე — როგორც სწავლების, ისე შესწავლის ობიექტზე — მუშაობის სირთულემ გამოიწვია ის, რომ ლექსიკის სწავლება შემოიფარგლა ტექსტზე მუშაობის ორადორი სახეობით (თარგმანი, თხრობა), სიტყვებზე მუშაობა კი დავიდა პრიმიტიულ პარაფრაზამდე, რომელსაც ზოგჯერ გვერდს უმშვენებდა ღარიბი ლექსიკოლოგიური ცნობა, ან არაადეკვატური ექვივალენტი მშობლიურ ენაზე.

ამ სტილით მუშაობამ ენის პრაქტიკოსები მალე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ლექსიკის შესწავლის ინტუიციურ ხერხებზე დაფუძნებული ეს მეთოდი (რომლის ერთი ყველაზე აქტიური სახეობაა ლიტერატურის დიდი რაოდენობით კითხვა) არც ისე მომგებიანი ყოფილა, რადგან, ჯერ ერთი, სჭირდება დრო და, მეორეც, დაუდგენელი დოზებით ქაოტურად დაგროვილი, ეჭვგაშთაყვარებული დაუკავშირებელი ლექსიკური ერთეულებით აღჭურვილი ენის შემსწავლელი ვერ დაეყრდნობოდა ინტუიციურად მიგნებულ განზოგადებებს (მაგ. სიტყვის მრავალმნიშვნელობის ხასიათზე, შესიტყვებებში სიტყვების მნიშვნელობათა ურთიერთქმედებათა კანონებზე და ა.შ.). ეს განზოგადებები თავისი არასისტემატური ხასიათის გამო ვერ შეუქმნიდა მას წარმოდგენას სიტყვის შესაძლებლობებზე და, ამდენად, ვერც ერთსა და იმავე სიტყვის სხვადასხვა ტექსტში მოქმედების თავისებურებაზე, რადგან ყოველ ახალ კონტექსტში მოხვედრილ სიტყვას იგი აღიქვამდა როგორც ახალ ერთეულს, ვერ ცნობდა ამ მნიშვნელობაში ნაცნობ ენობრივ მოვლენას და ამით იხანგრძლივებდა და ირთულებდა ლექსიკის დამახსოვრების პროცესს.

სიტყვების ამ სტილით დამუშავებისადმი კრიტიკულ მიდგომას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ლექსიკაზე პარალელურად მიმდინარე მუშაობამ

ენის თეორიაში. გრამატიკასა და ფონეტიკაში ჩატარებული კვლევის მრავალწლიანმა გამოცდილებამ გაუადვილა მეცნიერთ სხვა თვალთ შეეხებათ ლექსიკის პრობლემებისათვის. კვლევა-ძიების მთელმა ტალღამ (შრომების, დისერტაციების, სტატიების სახით) გამოავლინა, რომ ლექსიკას აქვს თავისი შინაგანი ლოგიკა, რომელიც, მართალია, არაა იმდენად „რიგიდული“, როგორც გრამატიკისა, მაგრამ აქვს თავისი კანონები, მისთვის დამახასიათებელი განვითარების გზები, წარმოადგენს აწყობილ ორგანიზმს, რომლის ძირითად ელემენტს — სიტყვას — არა მხოლოდ მისთვის კუთვნილი ადგილი აქვს მიჩენილი ენაში, არამედ აზრს იძენს სხვა სიტყვებთან ურთიერთქმედებაში.

ამ მეტად რთული მოვლენის პრაქტიკული ამოქმედების საჭიროებამ, ბუნებრივია, მოითხოვა ათვისების პროცესის მართვის სპეციფიკური სისტემის, გეგმაზომიერი კონტროლის ფორმების შემუშავება (მისთვის დამახასიათებელი აპარატი, მეთოდებით, ხერხებით და ა.შ.) და, შესაბამისად, ლექსიკის სწავლების მეთოდოლოგიური ბაზის კარდინალური გადახედვა.

ამ მზრივ ყველაზე ქმედითი გზა ლექსიკის ლინგვისტური გამოკვლევების მისივე პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირება აღმოჩნდა, რაც ლექსიკოლოგიის — ენის ლექსიკური შედგენილობის თეორიული შესწავლის დარგის — ენის პრაქტიკული ათვისების სამსახურში ჩაყენებას გულისხმობდა.

თეორიისა და პრაქტიკის ამ ერთობლიობას ანალიზურ-სინთეზური ხასიათი უნდა მიეღო. ორივეს უნდა ჩამოეყალიბებინა ისეთი პროფესიონალურად საჭირო ქმედებანი და ოპერაციები, ზოგადი და კონკრეტული უნარ-ჩვევათა წყება, როგორიცაა: ანალიზი, სინთეზი, შეპირისპირება, ანალიზია, პროგნოზირება, შემადგენელ ელემენტებზე დაყრდნობით მთელის აღდგენა, კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათშეხამების მოდელების დადგენა და მრავალი სხვა რამ.

ესოდენ განსხვავებული პროცედურების ერთ რომელიმე დისციპლინაში თავმოყრა თითქმის შეუძლებელია და არცაა მართებული, რადგან ყოველი ენობრივი მოვლენის თეორიული აღწერა აპრობაციას პრაქტიკაში უნდა

გადიოდეს და, პირიქით, დაგროვილი ფაქტობრივი ინფორმაციიდან მიღებული ენობრივი გამოცდილების ვარგისიანობა თეორიით უნდა მოწმდებოდეს.

ამიტომაც „უცხოური ენის“ — როგორც სასწავლო საგნის — შინაარსის ლექსიკური მხარის შესწავლა ენის სამ ურთიერთშემგვსებ ასპექტში მოექცა. ეს ასპექტებია: ლექსიკოლოგია — ენის ლექსიკური მარაგის შემსწავლელი თეორიული კურსი, სიტყვის ანალიზი (Word Study) — ლექსიკურ ერთეულთა შემსწავლელი ნორმატული კურსი და ე.წ. „ანალიზური კითხვა“ (ტექსტის კითხვის ასპექტის პირობითი სახელწოდება), რომლის მიზანია პოტენციური მკითხველის ჩამოყალიბება.

ამ სამი ასპექტის ფუნქციების საზღვრები სიტყვის — ძირითადი სამოქმედო ობიექტის შესწავლის ფონზე — ზოგადად ასე გამოიყურება.

ლექსიკოლოგია.

იმ ჰუმანიტარულ დისციპლინათა ერთობლიობაში, რომელიც ფილოლოგიის სახელითაა ცნობილი, ლექსიკოლოგიის, როგორც თეორიული ობიექტის, სისტემურად და გამიზნულად ფორმირება დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო. მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთშიც ბევრი რამ გაკეთდა როგორც ინგლისურ, ისე არაინგლისურენოვან ენათმეცნიერებაში: დადგინდა ლექსიკოლოგიის თეორიული კატეგორიები, რომლებიც ქმნიან ლექსიკოლოგიის მეცნიერულ ბაზას ენის სისტემური და ეტაპობრივი შესწავლისათვის; შემუშავდა ენის ლექსიკური ბირთვის განსაზღვრის პრინციპები, სიტყვათა დაჯგუფების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება — სიტყვათა შეხამების მოდელებზე დაყრდნობით, სიტყვათწარმოების სისტემა — ინგლისური ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალებათა ანალიზის საფუძველზე; შესწავლილ იქნა ენის ფრაზეოლოგიური ფონდი, ჩატარდა ლექსიკის სტილისტური დიფერენციაცია და ა.შ.

ლექსიკოლოგიური კვლევის მთელმა სიმძიმემ ძირითადად მაინც სიტყვის ირგვლივ მოიყარა თავი, თუმცა მიუხედავად მთელი რიგი ჩატარებული

კვლევა-ძიებებისა, ჯერაც ვერ მოხერხდა სიტყვის ამომწურავი ერთიანი განმარტების შექმნა. ამიტომ სიტყვის განსაზღვრის ყველა ცდა აღწერილობით ხასიათს ატარებს და ძირითადად ასეთ მონაცემებს ეყრდნობა: სიტყვა სემანტიკურად და სტრუქტურულად განუყოფელი მთლიანობაა; მის გააზრებას და ცოდნას ოთხი ელემენტი განსაზღვრავს: ფორმა (სიტყვის ფონემური და გრამატიკული სამოსელი); მნიშვნელობა (რაც ჩნდება სემანტიკურ კონტექსტებში, რომელიც როგორც ფილტრი ისე მოქმედებს სიტყვაზე და ცლის მას ამ მომენტში არასაკირო მნიშვნელობებიდან); დისტრიბუცია (ანუ შეზღუდულობა, რომელიც განსაზღვრავს როგორ, როდის და სად შეიძლება იქნეს გამოყენებული ეს სიტყვა); სიტყვათხმარების წესი (ხელოვნება, რომელიც მოიცავს ფორმის, მნიშვნელობისა და შეზღუდვათა სწორ ხმარებას).

ლექსიკოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მონაპოვრად მაინც ჩაითვლება ლექსიკის სისტემური ხასიათის დადგენა, რაც ყველაზე კარგად წარმოაჩინა ლექსიკის ლინგვისტური ანალიზის სინტაგმატურ და პარადიგმატულ დონეებზე განხილვამ (პირველი წარმოადგენს სიტყვის უნარს მიერთოს ან შეუერთდეს გარკვეული სემანტიკის მქონე სიტყვებს წინადადებასა თუ შესიტყვებაში; მეორე კი გულისხმობს სიტყვათა თანაარსებობას ენაში, როცა მათ შორის კავშირი ეყრდნობა არა ურთიერშეხამებას, არამედ შეპირისპირებას ან ჩანაცვლებას).

ეს კავშირები თავისებურად რეალიზდება ყველა ენაში, ამიტომაც ნებისმიერი ორი ენის ლექსიკური სისტემა, რომელიც ობიექტურად არსებული ფიზიკური რეალობის ერთსა და იმავე მონაკვეთს ფარავს, ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომ ლექსიკოლოგია ძირითადად აღწერს კონკრეტული ენის ლექსიკურ სისტემას და ამდენად კერძო ფილოლოგიის დისციპლინად უფრო ჩაითვლება.

ენის შემსწავლელისათვის ლექსიკური სისტემის ხასიათის გაგება არასრულ სახეს მიიღებს, თუ მას არ შეეკმნება წარმოდგენა სიტყვის დაბადების მექანიზმზე. ენაში ახალი სიტყვის შექმნის ძირითადად სამი საშუალებაა:

ახალი სიტყვის ან ახალი მნიშვნელობის (სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის) წარმოება ენაში არსებული ელემენტების გამოყენებით, სიტყვების სხვა ენებიდან სესხებით და სიტყვების ხელოვნურად შექმნით.

შევჩერდებით პირველ — ყველაზე პროდუქტიულ საშუალებაზე — ენაში არსებული მოდელირების კანონების მიხედვით ნაცნობი სტრუქტურული ელემენტების „ძირი—ფუძე—აფიქსი“, ან სემანტიკური ელემენტის „შიდაფორმის“ მანიპულირებით ახალი სიტყვის ან ახალი მნიშვნელობის წარმოებაზე, რადგან ეს მოვლენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენის სწავლების რაციონალური გზების ძიებისას.

ლექსიკური შედგენილობის გამდიდრების გზებისა და ხერხების ანალიზმა როგორც ლექსიკის განვითარების პროცესში, ისე ამ პროცესის დროის გარკვეულ მონაკვეთებზე — ნათლად წარმოაჩინა ენის გასაოცარი უნარი მაქსიმალური მოქპირნობით გამოიყენოს ენაში ტრადიციულად მოქმედი საშუალებანი, რათა აღწეროს და მოუძებნოს დასახელება გარე სამყაროს ათასობით საგნებს, მოვლენებს, პროცესებს, მოქმედებებს, მდგომარეობებს, თვისებებს, მიმართებებს და სხვ.

ენის შინაგანი სტრუქტურული რესურსებით ლექსიკის გაზრდის ერთი ასეთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა სიტყვათწარმოება. აქედან დავასახელებთ ყველაზე გავრცელებულ მოვლენებს: აფიქსაციას (სიტყვების წარმოებას ენაში არსებულ ელემენტებზე დერივაციული აფიქსების დართვის მეშვეობით), თხზვას (ენაში რეგისტრირებული ორი ან მეტი ფუძის კომბინირებით ახალი რთული სიტყვების შექმნას) და კონვერსიას (ერთი მეტყველების ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვის პარალელურად მასთან სემანტიკურად დაკავშირებულ ახალი მეტყველების ნაწილს და, მაშასადამე, ახალი სიტყვის წარმოებას).

ყოველი ენის „ბიოგრაფიაში“ სიტყვათშექმნის ამ დიდი პროცესის პარალელურად მიმდინარეობს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი, ძალზე პროდუქტიული, მაგრამ განსაკუთრებით რთულად აღსაქმელი პროცესი — სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური განვითარება.

ამ განვითარების საყრდენი არის სიტყვის საერთო აზრობრივი ღერძი, ცნება, ერთგვარი „ხატი“, რომელიც იქმნება ფიზიკური სამყაროს ობიექტისათვის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობის არეკვლის საფუძველზე ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში. ეს საერთო აზრობრივი ელემენტი — შიდაფორმის სახით — დასაბამს აძლევს ლექსიკის ერთეულის ყოველ ახალ, ახლა უკვე სემანტიკურად მოტივირებულ მნიშვნელობას და აერთიანებს მათ სიტყვის ერთ სემანტიკურ სტრუქტურად. რამდენადაც სემანტიკურ სტრუქტურაში შემავალი ყოველი მნიშვნელობის უკან დგას ექსტრალინგვისტური სამყაროს ობიექტი, სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური განვითარება შეიძლება ჩაითვალოს ლექსიკის გამდიდრების კიდევ ერთ დიდ საშუალებად*.

ლექსიკოლოგიის — როგორც შესასწავლი დისციპლინის — ძირითადი დანიშნულებაა ლექსიკური მოვლენის არსის გარკვევა, იმ ენობრივ ფენომენტთა ბუნების ანალიზი, რომლის ნიშანთვისებათა ყოველი გამოვლენა კონკრეტული ენობრივი ფაქტით უნდა დადასტურდეს. შესწავლის სისრულეს ძალზე უწყობს ხელს ენობრივ მოვლენათა ურთიერთმიმართებაში განხილვა, რაც საშუალებას აძლევს ლექსიკოლოგიას წარმოაჩინოს ლექსიკა სწორედ როგორც სისტემა და განსაზღვროს თითოეული მოვლენის ადგილი, მდგომარეობა და ფუნქციონირების კანონები ამ სისტემაში (მაგ. არა კონკრეტული სუფიქსის მნიშვნელობა ენაში, არამედ სუფიქსაციის მოვლენის როლი ენის სისტემაში, მისი მიმართება სხვა ლექსიკის გამამდიდრებელ საშუალებებთან და ა.შ.).

ლექსიკოლოგიის მიერ მოწოდებული ლექსიკური ინფორმაცია მომავალი მკითხველის საყრდენს უნდა წარმოადგენდეს, რამდენადაც მან უნდა შექმნას უცხოური ენის სწორი ხმარების მექანიზმები და ამით ჩაუყაროს საფუძველი ენის შესწავლის ერთ-ერთ ყველაზე საჭირო უნარ-ჩვევას —

* ლექსიკოლოგიის თეორიული კურსის სწავლება, რა თქმა უნდა, სიტყვის პრობლემათიკის შესწავლით არ ამოიწურება. მაგრამ ამჟამად ლექსიკოლოგიის საპროგრამო თემატიკის სხვა საკითხებს არ შეეხებით.

სემანტიხაციას (უცნობი მნიშვნელობის ამოკითხვას სიტყვაში მოცემულ ნაცნობ მორფოლოგიურ, თუ სემანტიკურ ელემენტებზე დაყრდნობით), ანუ „ენობრივ მიხვედრილობას“

„სიტყვის ანალიზი“

სიტყვის ანალიზის ასპექტისათვის შესწავლის ობიექტია „სალექსიკონო სიტყვა“ (Lexicon Word) — მისი სემანტიკურ-გრამატიკული სტრუქტურა (სიტყვისადმი სისტემურ-სტრუქტურული მიდგომა).

სიტყვა, როგორც ენის ერთეული, მისთვის ყველაზე ჩვეულ თავისებურებათა „კრებითი პორტრეტი“, რომელიც თავისუფალია იმ სიტუაციურ — სამეტყველო აზრობრივი „შრეებისაგან“, რომელთაც კონკრეტული ტექსტი დააფენს ხოლმე სიტყვას. ამიტომ სიტყვის ასეთ მთლიანობაში წარმოსადგენად საჭიროა შემსწავლელმა გააანალიზოს მაქსიმალური რაოდენობით ის ლექსიკურ-სემანტიკური კონტექსტები, რომელთა საზღვრებში ხდება ხოლმე სიტყვის მნიშვნელობის რეალიზაცია ამ გზით მას დაუგროვდება. სიტყვათა ლექსიკური მოდულების მარაგი, შეექმნება წარმოდგენა სიტყვათა ლექსიკური შეხამების დიაპაზონზე, გაეცნობა ინგლისური კონკრეტული სიტყვების აზრობრივი სტრუქტურის აგებულობას, მათ სინონიმურ და ანტონიმურ კავშირებს სხვა სიტყვებთან, სიტყვის სიტყვათწარმოების სტრუქტურასა და სხვ. (მაგ. ლექსიკის მუშაობის ამ დონეზე „—ful“ სუფიქსის შემთხვევაში, შესისწავლება ამ სუფიქსის მნიშვნელობა, მისი აზრობრივი ვარიანტები, მისი ზემოქმედება სიტყვა—ფუძეზე ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მისი იგივეობა და დაპირისპირება სხვა სუფიქსებთან და ა.შ.)

ასე დაწესებული კონკრეტული ერთეული შეუქმნის ენის შემსწავლელს სიტყვის რეალური და შესაძლებელი მნიშვნელობების ერთგვარ სქემას. „აბსტრაქციას“, რომლითაც იგი იხელმძღვანელებს სიტყვის ყოველ ახალ კონტექსტში შეხვედრისას. ეს სრულიად აუცილებელია, რადგან სიტყვის ათვისება ერთი მნიშვნელობის ცოდნას კი არ გულისხმობს. არამედ მის გაგებას პრაქტიკულად ნებისმიერ კონტექსტში.

„სიტყვის ანალიზის“ ასპექტში უზრადლება მახვილდება არა სიტყვების დასწავლაზე, არამედ ანალიზის მეშვეობით სიტყვის მნიშვნელობის გასოვლენაზე, რაც ასე ავითარებს „ენობრივი პროგნოზირების უნარს, ხშირად „ენობრივ გრძნობად,“ ინტუიციად წოდებულს.

„სიტყვის ანალიზის“ ასპექტში შესიტყვების ჩარჩოებში სიტყვების როგორც არსებული, ისე პოტენციალური გრამატიკული, ლექსიკური, სემანტიკური, სტილისტური და შინაარსობრივ მიმართებათა და თვისებათა ანალიზი შესაძლებელს ხდის სიტყვების მნიშვნელობათა კომბინირებისა და ურთიერთქმედების მოდელების გაცნობიერებას. სიტყვაზე მუშაობის ეს საფეხური იმიტომაც მნიშვნელოვანია, რომ სიტყვის მთლიანობაში აღქმა, მისი მოქმედების სემანტური არის გაცნობა დაიცავს ენის შემსწავლელს მშობლიური ენის ლექსიკური კანონების უცხოურ ენაში მექანიკური გადმოტანისა და მშობლიური ენის და მისი შესაბამისი უცხოური სიტყვების მნიშვნელობების კონათა გაიგივებისაგან (ეს მოვლენა ინტერფერენციის სახელითაც ცნობილი) და ამით დააზღვევს მას შესაძლებელი ენობრივი შეცდომებისაგან.

სიტყვაზე მუშაობის პრცესისადმი ასეთი პრაგმატული, „ყოფითი“ მიდგომა სასარგებლოა იმიტომაც, რომ სტუდენტი ადვილად აღიქვამს ანალოგიურ სიტყვათა მთელ კატეგორიას და იქმნის საკუთარ მიკროლექსიკონს, რომელსაც ასევე ახასიათებს სისტემურობის, სტრუქტურულობის ნიშნები.

„ანალიზური კითხვა“

„ანალიზური კითხვის“ ასპექტის ძირითადი დანიშნულებაა ტექსტის ზედაპირზე მოქმედი შინაარსობრივ-ფაქტობრივ და ტექსტის სიღრმეში მოთავსებულ კონტექსტუალურ ინფორმაციაში მკითხველის ორიენტირება (ანუ „ნათქვამის“ წაკითხვა—გაგება და „სათქმელის“ ამოკითხვა), ენობრივი მექანიზმის გახსნით აზრში ჩაწვდომა და საბოლოოდ ტექსტის ერთიანი და თარგმანგარეშე სრულყოფილად გაგების უნარის გამომუშავება.

ტექსტზე მუშაობას მრავალი სირთულე ანლავს თან. მათგან მთავარს

სიტყვის მრავალსახოვნება და მისი ფუნქციების „სიუხვე კმნის. ორივე განპირობებულია იმ ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელ კავშირთა თავისებურებებით, რომელ ენაზეცაა დაწერილი ეს ტექსტი. ამ სირთულის მოსახსნელადაა მოწოდებული „ანალიზური კითხვა“. ამიტომაც ამ ასპექტში ყურადღება მთლიანად გადატანილია ტექსტში რეალიზებული სიტყვის მნიშვნელობაზე (Text Word; სიტყვისადმი სისტემურ-კომუნიკაციური მიდგომა).

ტექსტისა და სიტყვის მიმართება ამ დონეზე ძალზე საინტერესოა, რადგან ტექსტის მონაკვეთი (სულერთია არის ეს შესიტყვება, ფრაზა, თუ გაბმული მეტყველება) აქ მოქმედებს ერთგვარი ჩარჩოს სახით, რომლის კრილში თხრობის დინებისას ჯდება სიტყვის სწორედ ის მნიშვნელობა, რომელიც ტექსტის გაგებისთვისაა საჭირო.

ეს „პროცედურა“ ადვილად ტარდება, თუ მკითხველს კარგად აქვს განვითარებული სემანტიზაციის უნარ-ჩვევა. ტექსტის დამუშავებისას ენის შემსწავლელისათვის ახალი უნდა იყოს ამა თუ იმ მოდელის კონკრეტული რეალიზაცია, ხოლო ამ ენობრივი ფაქტის ერთგვარი სტერეოტიპი მისთვის მანამდე უნდა იყოს ცნობილი „სიტყვის ანალიზის“ ასპექტიდან (მაგ. სუფიქსებზე და კერძოდ „-ful“ სუფიქსზე ნამუშევარი სტუდენტი ადვილად ამოიკითხავს კონკრეტული შესიტყვების „a schoolful of girls“ — მნიშვნელობას, რომელიც არცერთ ინგლისურენოვან ლექსიკონში არაა რეგისტრირებული)

„სიტყვის ანალიზის“ მიზანს უნდა შეადგენდეს ლექსიკური მარაგის საფუძვლიანი შემზადება როგორც „ანალიზური კითხვისათვის“, ისე ტექსტზე მუშაობის ყველა ასპექტისათვის. ამიტომ იგი შესასწავლ დისციპლინათა ბადეში შევა როგორც ლექსიკის შემსწავლელი ნორმატული კურსი, რომელიც ამავე დროს რეალურად დაუახლოვებს სტუდენტს ლექსიკოლოგიასაც, რომელსაც იგი პრაქტიკიდან ასე მოწყვეტილი აღიქვამს ხოლმე.

ამ სამ ასპექტზე მუშაობა სრულებითაც არ ნიშნავს მათი გარკვეული იერარქიით შესწავლას: თეორიიდან პრაქტიკამდე „დაშვებას“, ან პირი-

ჩით, პრაქტიკიდან თეორიამდე „ამაღლებას“ მათ შორის უწყვეტად უნდა
მდინარეობდეს „მიღება — გაცემის“ პროცესი. რომლის დროსაც თითო-
ეული მონაწილე ასპექტი უმზადებს საფუძველს მეზობელ ასპექტებს, კორექ-
ცია შეეძებს მათ მეთოდოლოგიაში და თვითონაც საზრდოობს მათგან მოწოდე-
ბული ინფორმაციით.

ლიტერატურა

1. G.V. Arnold "The English Word", M, 1986.
2. Ginzburg R.S. "A Course in Modern English Lexicology", M.1979.
3. Арбекова Т.И. "Лексикология английского языка", «Практический курс»,
M.1977.
4. Смирнинский Ф.И. "Лексикология английского языка".M.1975.
5. "Readings in Modern English Lexicology", L 1975.
6. Mednikova E.M. "Seminars in English Lexicology", M.1978.

გერმანიკული ფილოლოგიის შესავალი

ტერმინი „გერმანიკული“ აღნიშნავს ახლომონათესავე ენების ჯგუფს, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი შტოა. ინდოევროპული ენები ენათა დიდი ოჯახია, რომელიც აერთიანებს ევრაზიის მონათესავე ენებს — თანამედროვეს თუ აწ მკვდარს. გერმანიკული ენების გარდა ინდოევროპულ ენათა ოჯახში შემდეგი შტოები გამოიყოფა:

1. ინდური ენები—სანსკრიტი (ძველი ინდური ენა); ახალი ინდური ენებია: ჰინდი, ურდუ, ბენგალური, პენჯაბური და სხვა.
2. ირანული ენები—სპარსული, ტაჯიკური, პუშტუ (ავღანური), ოსური, ქურთული და ა.შ
3. ბერძნული ენა (თავისი დიალექტებით).
4. სომხური ენა.
5. ალბანური ენა.
6. იტალიკური ენები (მკვდარი ენების ჯგუფი. ამ ჯგუფს მიეკუთვნება აწ მკვდარი ლათინური ენა).
7. რომანული ენები (განვითარდნენ ლათინური ენიდან) --ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, იტალიური, პროვანსული, რუმინული, მოლდავური და სხვა.
8. კელტური ენები — გალური (ძველი საფრანგეთის—გალიის ენა), ბრეტონული, უელსური, კორნუელსური (აწ მკვდარი ენა), ირლანდიური, შოტლანდიური, მენური.
9. ბალტიკური ენები—ლიტუვური, ლატვიური. პრუსიული (აწ მკვდარი ენა).
10. სლავური ენები—აღმოსავლურ სლავური ენებია: რუსული, უკრაინული, ბელორუსული; დასავლურ სლავური—პოლონური, ჩეხური, სლოვაკური; სამხრეთ სლავური--ბულგარული, სერბულ-ხორვატული, მაკედონიური, სლოვენური.

11. ხეთურ-ლუვიური ანუ ანატოლიური ენები (აწ მკვდარი ენების ჯგუფი).
12. ტოხარული ენები (აწ მკვდარი ენების ჯგუფი)
13. გერმანიკული ენები იყოფა სამ ჯგუფად:

აღმოსავლურ გერმანიკული ენები

- გუთური, ვანდალური, ბურგუნდიული (მკვდარი ენები);

ჩრდილოურ გერმანიკული ენები

- დანიური, შვედური, ნორვეგიული, ისლანდიური, ფაროული;

დასავლურ გერმანიკული ენები

- ინგლისური, გერმანული, ნიდერლანდური (ჰოლანდიური + ფლანდრიული), ფრიზული, აფრიკაანსი, იდიში;

აფრიკაანსი— სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ინგლისურ ენასთან ერთად. სახელმწიფო ენად გამოცხადდა 1925 წელს. აფრიკაანსი წარმოიქმნა ჰოლანდიური ენის საფუძველზე და ამდენად ჰგავს ჰოლანდიურს.

იდიში—აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენაა. იგი განვითარდა ზემოგერმანული დიალექტების საფუძველზე.

მონათესავე ენები`საერთო წინაპარი ენიდან არიან განვითარებული ინდოევროპული ენების წინარე ენა პროტო ინდოევროპული ენაა. გერმანიკული ენების წინარე ენას კი პროტო გერმანიკული ენა ეწოდება.

მონათესავე ენებს აქვთ საერთო (მსგავსი) ლინგვისტური ნიშნები, ანუ კანონზომიერი შესატყვისობები ენის ყველა დონეზე - ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, ლექსიკურ დონეზე.

კანონზომიერი შესატყვისობები ფონოლოგიურ დონეზე გულისხმობს ბგერათშესატყვისობების არსებობას მონათესავე ენებს შორის, ე.ი. ერთი ენის რომელიმე ბგერას მის მონათესავე ენაში კანონზომიერად შეესატყვისება მეორე ბგერა. ამ დებულების საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ სხვადასხვა ენებიდან. დავიწყოთ ქართველური ენებით.

ქართულ ე-ს მეგრულში შეესატყვისება ა.

ქართულ ძ-ს ჯ

ქართულ ც-ს ჩ

ქართულ ა-ს ო და ა.შ.

ქართულ მე, ძმა, ერთი, კაცი, ძალი

მეგრული მა, ჭიმა, ართი, კოჩი, ჯოლორი.

ინდოევროპულ p-ს გერმანიკულ ენებში კანონზომიერად შეესატყვისება

f.

მაგ.: რუს. papa

ბერძ. pater გუთური fadar

ლათ. pater ინგლისური father

სანსკრიტი pitā გერმანული Vater

ინდოევროპულ b-ს გერმანიკულ ენებში შეესატყვისება p.

მაგ.: რუს. яблоко ინგლისური apple

ამგვარი კანონზომიერი შესატყვისობები არსებობს ინგლისურ და გერმანულ ენებს შორისაც.

მაგ. ინგლისურ d-ს გერმანულში შეესატყვისება ყრუ ხშული t.

ინგლ. day გერმ. Tag

ინგლისურ t-ს სიტყვის დასაწყისში გერმანულში შეესატყვისება z.

მაგ.: ინგლ. ten გერმ. zehn

two zwei

tide Zeit

ინგლისურ p-ს სიტყვის დასაწყისში გერმანულში შეესატყვისება აფრიკატი - pf.

ინგლ. pepper გერმ. Pfeffer

plum Pflaume

და მრავალი სხვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კანონზომიერი შესატყვისობა ინგლისური და პოლანდიური ენების ბგერებს შორის არის ინგლისური *g*-სა და პოლანდიური *ch*-ს (წარმოითქმის როგორც ქართული-ხ) შესატყვისობა.

მაგ. ინგლ. Gemini/ტყუბები/ - პოლანდ. - gemini [xemini]
 ინგლ. good - პოლანდ. god [xud].

ინგლისურ ბგერებს [θ, ð] პოლანდიურ ენაში კანონზომიერად შეესატყვისება მეღერი ხშული *d*.

მაგ. : ინგლ. Netherland პოლან. Nederland
 North nord
 this, that dis, dat

ინგლისურ *s*-ს სიტყვის დასაწყისში პოლანდიურში შეესატყვისება *z*
 მაგ.: ინგლ. sick პოლან. zick
 sea zee

და მრავალი სხვა.

კანონზომიერი შესატყვისობები მორფოლოგიურ დონეზე დაიძებნება არსებითი და ზედსართავი სახელების, ნაცვალსახელების ბრუნვის დაბოლოებებში, ზმნათა უღლების პარადიგმებში და სხვა.

ამ დებულების საილუსტრაციოდ განვიხილოთ ზმნის "вертеть" უღლებში აწმყო დროში სხვადასხვა ინდოევროპულ ენებში.

რუსული	ლათინური	გუთური	გერმანული
<i>სლავეური/</i>	<i>იტალიკური/</i>	<i>გერმანიკული/</i>	<i>გერმანიკული/</i>
веруу	verto	wairþa	werde
вертунъ	vertis	wairþis	wirst
вертунъ	vertit	wairþit	wird
вертун	vertimus	wairþom	werden
вертите	vertilis	wairþit	werdet
вертят	vertunt	wairþand	werden

მიუხედავად იმ ფონეტიკური ცვლილებებისა, რაც ფორმათმაწარმოებელმა მორფემებმა განიცადეს სხვადასხვა ინდოევროპულ ენებში, ამ მორფემათა ნათესაობა აშკარაა. ის განსხვავებები კი, რაც ზემომოტანილ სქემებზე ჩანს, აიხსნება ფონეტიკური შესატყვისობებით.

მოვიყვანოთ -a - ფუძიანი არსებითი სახელის ბრუნვის ნიმუში ძველი ინგლისური და ძველი ზემოგერმანული ენებიდან.

	ძველი ინგლისური	ძველი ზემოგერმანული
მხ.რ. სახ.	stān	tag
ნათ.	stān-es	tag-es
მიც.	stān-e	tag-e
ბრალდ.	stān	tag
მრ.რ. სახ.	stān-as	tag-a
ნათ.	stān-a	tag-o
მიც.	stān-um	tag-um
ბრალდ.	stān-as	tag-a

საერთო ლინგვისტური ნიშნების ნიმუშად შეიძლება აგრეთვე განვიხილოთ „სუსტი ზმნები“ გერმანიკულ ენებში.

როგორც ცნობილია, ინგლისურ ენაში ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: არაწესიერი ზმნები (რომლებიც ძირითად ფორმებს აწარმოებენ აბლაუტის, ანუ ფუძისეული სმოვნის მონაცვლეობით) და წესიერი ზმნები (რომლებიც ძირითად ფორმებს დენტალური სუფიქსის მეშვეობით აწარმოებენ). ძველი ინგლისური ენის გრამატიკაში მათ ძლიერი (არაწესიერი) და სუსტი (წესიერი) ზმნები ეწოდებოდა.

დენტალური სუფიქსით ზმნათა ფორმების წარმოება დამახასიათებელია არა მხოლოდ ინგლისური, არამედ ნებისმიერი სხვა გერმანიკული ენისათვის, მხოლოდ დენტალური სუფიქსი სხვადასხვა გერმანიკულ ენებში შეიძლება იყოს -d ან -t, -θ ან -ð.

მაგ.: ინგლისური: to talk talked talked

to play played played

გერმანული:	sagen sagte gesagt
	fragen fragte gefragt
გუთური:	fulljan fullida fulliþs (ავსება)
	blindjan blindida blindiþs (დაბრმავება)
	fiskon fiskoda fiskoþs (თევზაობა)
ჰოლანდიური:	praten /to talk/ - pratte
	hopen /to hope/ - hoopte
	betalen /to pay/ - betaalde
ისლანდიური:	kalla kallaða kallaðr (to call)
	telja telða telðr (to tell).

სუსტი ზმნები, ანუ დენტალური სუფიქსით ზმნის ძირითადი ფორმების წარმოება, გერმანიკული სიახლეა, გერმანიკული ინოვაციაა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის არცერთ შტოში მსგავს მოვლენას აღგილი არა აქვს. ამდენად, სუსტი ზმნები გერმანიკულ ენებისაფვის დამახასიათებელი საერთო ლინგვისტური ნიშანია, რომელიც ამ ახლომონათესავე ენეთა ჯგუფს ინდოევროპულ ენათა ოჯახის სხვა შტოებისაგან გამოყოფს.

კანონზომიერი შესატყვისობები ლექსიკურ დონეზე გულისხმობს საერთო ძირის მქონე სიტყვების არსებობას მონათესავე ენებში.

მაგ., ტერმინი „ინდოევროპული ლექსიკა“ გულისხმობს იმ საერთო ძირის სიტყვებს, რომლებიც არსებობენ ყველა ან უმრავლეს ინდოევროპულ ენაში. ასევე, ტერმინი „გერმანიკული ლექსიკა“ გულისხმობს იმ სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ გერმანიკულ ენებშია დადასტურებული. არსებობს „სლავური ლექსიკა“, „რომანული ლექსიკა“ და ა.შ.

განვიზილოთ რამდენიმე მაგალითი ინდოევროპული ლექსიკონიდან.

1 / „დედა“

ძვ. ინდური mātar, ძვ. სპარსული mātar, სომხური - mayr,
ძვ. ირლანდიური - máthir, ძვ. ზემოგერმანული - muoter,

ძვ. ინგლისური mōdor, ლატვიური - māte. პრუსიული - mūti,
ძვ. სლავური mati.

2/ „ძმა“

ძვ. ინდური - bhrātar, ძვ. სპარსული - brātar, ლათინური - frāter,
ძვ. ირლანდიური - brāth(a)ir, გუთური - brōþar,
ძვ. ისლანდიური - bróðir, ძვ. ზემოგერმანული - bruoder,
ძვ. ინგლისური - brōþor, პრუსიული - brāti, ლიტვური - broterėlis.
ძვ. სლავური - brat(r)ŭ.

3/ „ზღვა“ , „ტბა“

ლათინური - mare, ძვ. ირლანდიური - muir, ბრეტონული - mor,
გუთური - marei, ძვ. ზემოგერმანული - marī, ძვ. სლავური - morje,
ხეთური - marma(r)a, სომხური - mawr, ძვ. ისლანდიური - marr, ძვ.
ინგლისური - mere, ლიტვური - mārė.

4/ „თავი“

ძვ. ინდური - mūs, სპარსული - mūš, ბერძნული - mūs,
სომხური mukb, ძვ. სლავური - myšŭ, ლათინური - mūs,
ძვ. ისლანდიური, ძვ. ზემოგერმანული, ძვ. ინგლისური - mūs,
და ა.შ.

თუ ორი ან მეტი ენის შედარების შედეგად დადასტურდა კანონზომიერი შესატყვისობები ენის ყველა დონეზე, ეს ენები შეიძლება მივიჩნიოთ მონათესავე ენებად.

თეორიული საგანი „გერმანიკული ფილოლოგიის შესავალი“ იკითხება III კურსის I სემესტრში. ამ საგნის ძირითადი ნაწილი ეთმობა გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების შესწავლას, ანუ იმ კანონზომიერი

შესატყვისობების შესწავლას, რომელიც კველა გერმანიკულ ენას (როგორც აღმოსავლურს, ისე ჩრდილოურს და დასავლურს) გააჩნია ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ დონეებზე.

თვით „გერმანიკული ფილოლოგია“ კი, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი, შესწავლის ძველ და ახალ გერმანიკულ ენებს, ადგენს ამ ენების ნორმატიულ გრამატიკებსა და ლექსიკონებს, ფილოლოგიურად ამუშავებს და გამოსცემს ამ ენებზე შექმნილ წერილობით ძეგლებს.

ლიტერატურა

1. Введение в Германскую филологию, Москва, "Высшая школа", 1980.
2. А. Мейе, Сравнительный метод в историческом языкознании, Москва, 1954.
3. Э. Прокош, Сравнительная грамматика Германских языков, Москва, Иностранная литература, 1954.
4. М. Гухман, Готский язык, М., 1958.

ინგლისური ენის ისტორია

ინგლისური ენა არის გერმანელი ტომების (Германские племена, **Germanic tribes**) ანგლების, საქსებისა და იუტების ენა, რომლებიც ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში ჩვ.წ. V საუკუნის დასაწყისში კონტინენტიდან გადასახლდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე. შემდგომ ეს ენა გავრცელდა ირლანდიასა და შოტლანდიაში, ხოლო დიდი ბრიტანეთის იმპერიის ზრდასთან ერთად - მთელს მსოფლიოში.

ინგლისური ენა 300 მლნ-ზე მეტი ადამიანის მშობლიური ენაა თანამედროვე მსოფლიოში. იგი სახელმწიფო ენაა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა კანადაში (ფრანგულ ენასთან ერთად) და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (აფრიკანსთან ერთად). ინგლისური ენა ფართოდაა გავრცელებული დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი სამუშაო ენაა.

„ინგლისური ენის ისტორია“ შეისწავლის ინგლისური ენის განვითარებას ძველი დროიდან (V-ს) ჩვენს დრომდე. ეს საგანი შეისწავლის ინგლისური ენის ფონეტიკური სისტემის განვითარებას, მისი მორფოლოგიური სისტემის ევოლუციას, ლექსიკის ზრდას. ინგლისურმა ენამ მისი განვითარების თხუთმეტსაუკუნოვანი პერიოდის მანძილზე ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რომ ძველი ინგლისური ენის წერილობითი ძეგლები, სათანადო შესწავლის გარეშე, სრულიად გაუგებარია არა მხოლოდ ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტებისათვის, არამედ იმათთვისაც, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა.

ტრადიციულად ინგლისური ენის ისტორია სამ პერიოდად იყოფა:

ძველი ინგლისური (V ს-დან XI ს-მდე);

საშუალო ინგლისური (XI ს-დან XV ს-მდე);

ახალი ინგლისური (XV ს-დან ჩვენს დრომდე).

ძველი ინგლისური ენის ნიმუშად მოვიტანთ ფრაგმენტს პოემა „ბეოვულფიდან“:

Fyrst forþzewāt: flota wæs on yðum,
bát under beorþe. Beornas zearwe
on stefn stizon: strēamas wundon,
sund wið sande; seczas bæron
on bearm nacan beorhte frætwe,
zūðscaro zcatolic: zuman ut scufon,
wcras on wilsū wudu bundenne.
zewāt þā ofer wæzholm winde zefýsed
flota fārūheals fuze zeficost,
oð þæt ymb ānūð oþres dōzores
wundenstefna zewaden hæfde,
þæt þā līðende land zesāwon,
brimclifu blīcan, beorzas stēape,
sīde sēnæssas: þā wæs sundliden
ōledeð æt ende. _ _ _ _

ძველ ინგლისურ ენას ოთხი დიალექტი ჰქონდა: კენტური, უესექსური (ყველაზე მნიშვნელოვანი დიალექტი ძველ ინგლისურ პერიოდში უესექსის სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის გამო), ნორთუმბრიული და მერსიული. კენტური დიალექტი იუტების დიალექტია, უესექსური - საქსების, ხოლო ნორთუმბრიული და მერსიული - ანგლების.

„ბეოვულფი“ 700 წლით თარიღდება. იგი თავდაპირველად მერსიულ დიალექტზე შეიქმნა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია ერთადერთმა ხელნაწერმა, რომელიც 1000 წლითაა დათარიღებული და თარგმნილია უესექსის დიალექტზე. ამდენად ზემომოყვანილი ფრაგმენტი ძველი ინგლისური ანუ ანგლო-საქსური ენის უესექსური დიალექტის ნიმუშია.

როგორც ამ ფრაგმენტიდან ჩანს, ძველი ინგლისური ძლიერ განსხვავ-

დება თანამედროვე ინგლისურისაგან. განსხვავებულია სიტყვების დამწერლობა, ძველ ინგლისურ ანბანში არის რამდენიმე ასო, რომელიც შემდგომში დაიკარგა: ꝛ, ꝥ, ð, æ. დამწერლობა ფონეტიკურია, ე. ი. თანამედროვე ინგლისურისაგან განსხვავებით, სიტყვები იწერება ისე, როგორც იკითხება.

ძველი ინგლისური თანამედროვესაგან ლექსიკური შემადგენლობითაც განსხვავდება. ზემომოყვანილი ფრაგმენტი რომ განვიხილოთ, ვნახავთ, რომ ამ ფრაგმენტში გამოყენებული ბევრი სიტყვა დაიკარგა და თანამედროვე ინგლისურში აღარ იხმარება.

მაგ.: <i>zewitan</i>	- წასვლა, გამგზავრება
<i>ȝð</i>	- ტალღა
<i>bcorȝ</i>	- მთა
<i>beorn, secȝ, wer, ȝana</i>	- მამაკაცი, მეომარი
<i>bearn</i>	- გული, მკერდი, წინა ნაწილი
<i>naca</i>	- გემი, ხომალდი
<i>frætwe, ȝmðscaro</i>	- საბრძოლო აღჭურვილობა
<i>ȝcatolic</i>	- ბრწყინვალე, ჩინებული
<i>scifan</i>	- ხელის კვრა, შეცურება
<i>wilsim</i>	- სასურველი მოგზაურობა
<i>wæȝholm</i>	- აბობოქრებული ზღვა

და ა.შ.

ბევრმა სიტყვამ, რომლებიც თანამედროვე ინგლისურში განაგრძობენ არსებობას, საკმაოდ იცვალეს სახე. მაგ.: *fuxol* - ჩიტ, თანამედროვე ინგლისური *fowl* - შინაური ფრინველი; *flota* - გემი, ხომალდი, თანამედროვე ინგლისური *flot* - ტივტივა; ძველი ინგლისური - *baeran*, თანამედროვე ინგლისური *to bear* - ტარება; ძველი ინგლისური - *bcorhte*, თანამედროვე ინგლისური - *bright* - კაშკაშა, ნათელი; ძველი ინგლისური - *hál*, თანამედროვე ინგლისური - *boat* ნავი, გემი და ა.შ.

სრულიად განსხვავებულია თანამედროვე ინგლისურისაგან ძველი ინგლისური ენის მორფოლოგიური სისტემაც. როგორც ვნახილიყ, თანამედრო-

ვე ინგლისური ენა ანალიზური ენაა, ანუ ისეთი ტიპის ენა, რომელშიც სიტყვათა შორის გრამატიკული მიმართებები გამოიხატება დაძმარე სიტყვების და ნაწილაკების მეშვეობით ან წინადადებაში სიტყვათა ადგილმდებარეობით და არა თვით სიტყვების ფორმათცვალეადობის საშუალებით, როგორც ეს სინთეზურ ენებს ახასიათებს. ძველი ინგლისური კი სინთეზური ენა იყო, ფლექსიების კარგად განვითარებული სისტემით.

მაგ., ჩვენს მიერ განხილულ ფრაგმენტში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე დაბოლოება:

ḡþ - ḡþum - მიცემითი ბრუნვა, მრ.რ.

strēam strēamas - სახელობითი ბრუნვა, მრ.რ.

beorƷ - beorƷe - მიცემითი ბრუნვა, მხ.რ.

scifan - scufon - ზმნა, წარსული დრო, მრ.რ.

zewītan - zewāt - ზმნა, წარსული დრო, მხ.რ.

და ა.შ.

არსებით სახელს ძველ ინგლისურში ჰქონდა 3 გრამატიკული კატეგორია: ბრუნვის, სქესის და რიცხვის.

ზედსართავ სახელს ჰქონდა 5 გრამატიკული კატეგორია: სქესის, რიცხვის, ბრუნვის, ხარისხების, განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორიები.

ძველ ინგლისურს სრული დაბოლოებების პერიოდს უწოდებენ (the period of full endings). ამ ტერმინს, ერთი მხრივ, საფუძვლად უდევს მორფოლოგიური კრიტერიუმი - ფლექსიების სიუხვე, მეორე მხრივ კი - ფონოლოგიური - სიტყვის ბოლო უმახვილო პოზიციაში იხმარებოდა ნებისმიერი ხმოვანი /a, o, e, i, u/.

მაგ.:	sunu	/ვაჟიშვილი/
	lufian	/სიყვარული/
	munuc	/მღვდელი/

საშუალო ინგლისური ენის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ფრაგმენტს ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობებიდან“:

A KNYGHT' ther was, and that a worthy man,
 That fro the tyme that he first bigan
 To riden out, he loved chivalrie,
 Trouthe and honour, fredom and curteisie.
 Ful worthy was he in his lordes werre,
 And therto hadde he riden, no man ferre.
 As wel in cristendom as in hethenesse,
 And evere honoured for his worthynesse.
 At Alisaundre he was, whan it was wonne.
 Ful ofte-tyme he hadde the bord bigonne
 Aboven alle naciouns in Pruce.
 In Lettow hadde he reysed and in Ruce,
 No cristen man so ofte of his degre.

ჯეფრი ჩოსერი, როგორც ცნობილია, XIV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა. ამდენად, ეს ტექსტი „ბეოვულფის“ ტექსტს შორდება სამსაუკუნენახევრით. ეს ის პერიოდია, როდესაც ინგლისში სახელმწიფო ენა ფრანგული ენაა. უილიამ დამპყრობლის მიერ ინგლისის დაპყრობამ და ფრანგთა ბატონობის პერიოდმა სრულიად შეცვალა ინგლისური ენის განვითარების კურსი. ეს ისტორიული მოვლენა რომ არ მომხდარიყო, ალბათ, ინგლისური ენა უფრო ახლოს იქნებოდა თანამედროვე გერმანულ და სხვა გერმანიკულ ენებთან, ვიდრე ის დღეს არის.

საშუალო ინგლისურ პერიოდში სრულიად შეიცვალა სიტყვების დამწერლობა და იგი უფრო დაუახლოვდა თანამედროვე დამწერლობას. დაიკარგა ძველი ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ასოები *æ*, *ȝ*, *þ*. მრავალი ცვლილება დამწერლობაში ძირითადად ფრანგული ენის გავლენით მოხდა.

დიდი ცვლილებები განიცადა ენის მორფოლოგიურმა სისტემამ. ამ პერიოდისათვის ინგლისურმა ენამ დაკარგა ფლექსიების დიდი ნაწილი.

საშუალო ინგლისურ პერიოდს რედუცირებული, შესუსტებული დაბოლოებების პერიოდს უწოდებენ (the period of levelled endings). თუ ძველ

ინგლისურში ნებისმიერი ხმოვანი გამოიყენებოდა სიტყვის ბოლო უმახვილო პოზიციაში / a, e, i, o, u/, საშუალო ინგლისურ პერიოდში სიტყვის ბოლო უმახვილო პოზიციაში გვხვდება მხოლოდ რედუცირებული ხმოვანი - e

ძვ. ინგლისური sunu ხდება sunc
lufian lovċn და ა.შ.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ენის ლექსიკამაც, საშუალო ინგლისურ პერიოდში ენამ შეითვისა მრავალი ნასესხები სიტყვა სკანდინავიური და ფრანგული ენებიდან.

'აზალ ინგლისურ პერიოდს კი დაკარგული დაბოლოებების პერიოდი ეწოდება (the period of lost endings). ამ პერიოდში სრულიად დაიკარგა ბრუნება-უღლების პარადიგმები და ინგლისური ენა ანალიზურ ენად იქცა.

საგანი „ინგლისური ენის ისტორია“ შეისწავლის ძველი და საშუალო ინგლისურის ფონეტიკურ სისტემებს, მათ მორფოლოგიას, იმ მნიშვნელოვან ფონეტიკურ, მორფოლოგიურ თუ ლექსიკურ ცვლილებებს, რაც ენაში მოხდა მისი ისტორიული განვითარების მანძილზე, აგრეთვე შეისწავლის იმ ფაქტორებს (საკუთრივ ლინგვისტურსა თუ ექსტრალინგვისტურს), რომლებმაც გავლენა მოახდინეს ინგლისური ენის განვითარებაზე და გამოიწვიეს ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამ საგნის პროგრამით აგრეთვე გათვალისწინებულია ფრაგმენტების გაცნობა და გაანალიზება ძველი და საშუალო ინგლისური ენის წერილობითი ძეგლებიდან.

ლიტერატურა

1. В. Аракин - Очерки по истории английского языка, Москва, 1955.
2. И. Иванова, Л. Чахоян - История английского языка, Москва, 1976.
3. А. Смирницкий - Древнеанглийский язык, Москва, 1955.
4. В. Pyish - History of the English Language, Ленинград, 1973.
5. М. Kraveishvili - History of the English Language.
6. R. Quirk - A Grammar of Old English, 1955.
7. T. Rastorguyeva - History of English, Москва, 1983.

ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია

ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის თეორიული კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ეკითხებათ IV კურსზე ერთი სემესტრის მანძილზე. ამ თეორიულ კურსს სწავლების მოკლე პერიოდი ეთმობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა კურსებზე სტუდენტებს ეკითხებათ მომიჯნავე მეცნიერების ისეთი დარგები, როგორცაა პედაგოგია და ფსიქოლოგია, ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ ახალგაზრდებმა ბევრი რამ შეიძინეს სწავლებისა და აღზრდის თეორიების პედაგოგიური საფუძვლებიდან იმ ფსიქოლოგიური კანონზომიერებების შესახებ, რომელიც მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობას ეხება, აზროვნების, მეხსიერების, ეთიკის ნორმების და სხვა მრავალი აღმზრდელობითი კატეგორიების შესახებ.

ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია კი სტუდენტებს აცნობს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა ენის სწავლების პროცესი, აცნობს სასწავლო პროცესის ძირითად კომპონენტებს და ინგლისური ენის სწავლების თეორიულ საფუძვლებს. V კურსზე სტუდენტებს უტარდებათ პედაგოგიური პრაქტიკა სკოლებში. სტუდენტ-პრაქტიკანტის მუშაობა არის მისი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპი, სადაც ვლინდება სტუდენტის ნიჭი, უნარი, მონდომება, პასუხისმგებლობა, მისი თეორიული ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია.

ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია შეისწავლის სწავლების მეთოდოლოგიის განვითარების ძირითად ეტაპებს და თანამედროვე, ახალ ძიებებს, დაფუძნებულს როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების მეთოდისტთა მიერ შემუშავებულ სასწავლო გზებსა და ხერხებზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ენის სწავლების მეთოდოლოგიის კურსი, გარდა თეორიული მასალის გაცნობისა, სტუდენტს აძლევდეს შესაძლებლობას დაამუშაოს და შეფასება მისცეს სასწავლო პროცესის სხვადასხვა გამოკვე-

ლევებსა თუ დაკვირვებებს, ექსპერიმენტულ სამუშაოებს, საცდელ და ლაბორატორიულ მუშაობას, საწვრთნელ ტესტირებას და სხვა, რომლებსაც როგორც ჩვენ, ასევე საზღვარგარეთელი მეთოდისტები გვთავაზობენ.

ამგვარი სამუშაო შექმნის მეცნიერული კვლევის საფუძველს ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში, რაც აუცილებლად მიგვიყვანს იქამდე, რომ სტუდენტი თვით მოისურვებს საკურსო შრომის ან საკონფერენციო მოხსენების ან სადიპლომო ნაშრომის და შემდგომ შეიძლება სადისერტაციო კვლევის თემატიკადაც აქციოს იგი. ვფიქრობთ, აუცილებელიც არის სტუდენტისათვის სასკოლო სწავლების პროცესში ამგვარი ჩართვა. მომავალ მასწავლებელს უნდა გააჩნდეს უნარი არა მარტო დადგენილი მეთოდური ნორმებით მუშაობისა, არამედ უნარი იმისა, რომ თავის საკუთარ ძიებებსა და მოსაზრებებს თავისუფლება მისცეს და საერთო მსჯელობის საკითხად აქციოს.

ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის თეორიული კურსი ითვალისწინებს მრავალმნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა უგულვებელყოფა არაფრით არ შეიძლება:

მეთოდოლოგია — მეცნიერება უცხო ენის სწავლების შესახებ;

მეცნიერული კვლევის მეთოდები მეთოდოლოგიაში;

უცხო ენის სწავლების ეტაპები მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით;

მოსწავლეთათვის ლინგვისტური უნარ-ჩვევების გამომუშავება;

უცხო ენების სწავლების მიზნები და შინაარსი;

უცხოური ენების სწავლების ძირითადი პრინციპები;

ენის ინტერფერენციის პრობლემა;

უცხო ენის სწავლების პროცესის დაგეგმვა;

უცხო ენის გაკვეთილი;

ლაბორატორიული და საშინაო სამუშაოები.

ენობრივი ასპექტების სწავლება: ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკის; უცხოური მასალა ზეპირი და წერილი მეტყველებისათვის; აუდირების სწავლება; დიალოგური და მონოლოგური მეტყველების სწავლება; კითხვის სწავლება; კითხვის სხვადასხვა სახეები; ტექსტზე მუშაობა და მისი ლინგვისტური ანალიზი; წერის სწავლება და წერილი სავარჯიშოები; თარგმნის სახეები

და თარგმნის როლი უცხო ენის სწავლებაში; სახელმძღვანელოების აგების პრინციპები, მათი გაფორმება; დამხმარე სახელმძღვანელოების როლი უცხო ენის სწავლებაში; კლასგარეშე მუშაობის ფორმები; ფაკულტატიური სწავლება; ახალი ტენდენციები უცხო ენის სწავლებაში:

ბუნებრივია, სწავლების პროცესში მეთოდის ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემათა სია უეჭველად გაიზრდება, რომელთაგან ზოგიერთი კონკრეტული შესწავლის ობიექტი იქნება, ზოგი კი ზოგადი მიმოხილვით დამთავრდება.

სალექციო საათის ნაწილი სასურველია თვით სტუდენტთა ინფორმაციას დაეუფოთ, რომელიც მეთოდის ამა თუ იმ პრაქტიკული საკითხის განხილვასა და ანალიზთან არის დაკავშირებული. ამგვარი დაკვირვებები და ექსპერიმენტი მსჯელობის საგანად უნდა იქცეს ლექციაზე. ასეთი სახის კვლევები გვხვდება როგორც ჩვენს პერიოდიკაში, ისე ცალკეულ ნაშრომებში. ჟურნალში „უცხოური ენები სკოლაში“ მრავალ საინტერესო დაკვირვებებს და ექსპერიმენტული გაკვეთილის მეთოდებს ვხვდებით, რომლებიც მომავალი მასწავლებლის განხილვის საგანი უნდა იყოს. ასეთ სტატიებს მიეკუთვნება: **“There is/there are”** კონსტრუქციის სწავლება ქართულ სკოლაში“, „სასწავლო თამაშობანი და სამეტყველო სიტუაციები გაკვეთილზე“, „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვენების შეფასების ნორმები“, „გამოცდილება კითხვისა და თარგმნის წრეში მუშაობიდან“, „ტექნიკური თარგმნის ერთი გაკვეთილი ქართულ სკოლაში“, „ლექსიკური მინიმუმის გაუმჯობესება სიტუაციებით“, „მითითებები წერიითი სამუშაოს გასწორებისათვის“, „წერის სწავლების გზები“ და სხვა მრავალი. ასე მაგალითად, **“There is/there are”** კონსტრუქციის სწავლება ქართულ სკოლაში — ამ სტატიის ავტორი გვთავაზობს თავის მოსაზრებებს, რომ ეს მასალა მე-4 კლასში უნდა იქნეს შეტანილი და სამი გაკვეთილი უნდა დაეთმოს მის ახსნას; გვთავაზობს სვარაჯიშოებს, გზებს, თუ როგორ უნდა მივაწოდოთ ეს კონსტრუქცია ქართველ მოსწავლეს ისე, რომ მისი თავისებურება მოსწავლისათვის გასაგები გახდეს და დასამახსოვრებელი. ბევრი რამ საკამათოა ამ გაკვეთილში და ქართველ სტუდენტ-პრაქტიკანტისათვის გასათვალისწინებელი გაკვეთილის ჩატარების დროს.

საინტერესო მითითებებს და მეთოდურ ახსნას ვხვდებით სტატიაში „რეალური კომუნიკაციური სიტუაციების გათვალისწინება სასწავლო ლექსიკურ მინიმუმში“ სტუდენტისათვის ამგვარი სახის შრომების გაცნობა აუცილებელიც არის. აქ მითითებულია გზები, თუ როგორ უნდა მოახდინოს სტუდენტმა სასწავლო ლექსიკური მინიმუმის „რევიზია და რაციონალიზაცია“. ავტორი ახასიათებს იმ შესაძლებლობებს, რომელიც სტუდენტს გააჩნია იმისათვის, რომ მის მიერ შეძენილი ლექსიკა კომუნიკაციურ სიტუაციებში რეალურად იქნას გამოყენებული. სტუდენტისათვის ამგვარი მოსაზრებების თუ გამოცდილების გაცნობა უფრო მეტი სარგებლობის მომტანია, ვიდრე მეთოდური ინსტრუქციებისა და თეორიულ ნორმებზე ლექციების კითხვა.

ეურნალში "Иностранные языки в школе" უამრავ მითითებას და გაკვეთილის სახეებს ვხვდებით რუბრიკით "Give Your Lesson in English".

საინტერესო გაკვეთილების მოდელებს გვთავაზობენ ინგლისელი კოლეჯისა თუ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები კრებულში "Education Centre English Course", სადაც მოცემულია უამრავი გაკვეთილების ჩანაწერები და მათი ჩატარების სხვადასხვა ხერხები და მეთოდები. ასე მაგალითად, გაკვეთილი "Interviewing", გარდა ლექსიკური მინიმუმისა და ფრაზეოლოგიის ათვისებისა, ზოგად-საგანმანათლებლო მიზნებსაც ისახავს: 10-კაციანი ჯგუფი გერმანელი სტუდენტებისა იწვევს ინგლისური კოლეჯის მასწავლებელს, რომელ-საც მოაქვს ყოველგვარი მასალა, რუკა, ნაციონალური საგნები და საუბარი მიმდინარეობს ინგლისური ყოფითი ცხოვრების შესახებ. 20 წუთის განმავლობაში მასწავლებელი გერმანელ სტუდენტებს აცნობს ინგლისის მოკლე ისტორიას, საუბრობს მნიშვნელოვან ქალაქებზე, ინგლისის პოლიტიკურ წყობაზე, სოციალურ წყობაზე, განათლების სისტემაზე და შემდეგ სტუდენტები უსვამენ კითხვებს, თითოეული სტუდენტი არა ნაკლებ 3 კითხვისა, კითხვები ყველა სფეროდან შეიძლება იყოს, ის რაც თითოეულ სტუდენტს აინტერესებს: სტუდენტური არდადეგების შესახებ, რა კლუბები აქვთ ინგლისელ სტუდენტებს, რა დამოკიდებულებაა მშობლებსა და შვილებს შორის, როდის და როგორ ღებულობენ მეგობრებს, ქორწილის ტრადიციები, გაყრის პრობლემა, მრავალშვილიანობის საკითხი და სხვა მრავალი. კითხვა-პასუხის დროს საუბარში ერევა და აზრს გამოთქვ

ამს თითქმის ყველა სტუდენტი. ჭგუფის მასწავლებელი ესწრება გაკვეთილს, ჩაინიშნავს თითოეული სტუდენტის მიერ დაშვებულ შეცდომას ან არასწორ გაგებას ამა თუ იმ საკითხისა და შემდეგ გაკვეთილზე საუბრობს ამის შესახებ სტუდენტებთან.

ამგვარი გაკვეთილის გაცნობა საინტერესოა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ გაიგოს მოსწავლემ თავისი აქტიური, შეუზღუდავი როლის შესახებ გაკვეთილზე, სადაც მუდამდებია მოსწავლის საერთო ცოდნის დონე; მოსწავლე აღნიშნავს და შეითვისებს, რაც მისთვის საინტერესოა და რაც მისთვის უცნობია.

ასეთივე საინტერესო გაკვეთილია "**Advertisements**", სადაც ჭგუფის მასწავლებელი ისმენს მოსწავლეებისაგან აზრს, გარჩევას, შთაბეჭდილებებს, რომელიც მიიღო მასწავლებლის მიერ წინა დღეებში დარიცხებულ აფიშებიდან, პროგრამებიდან და ბუკლეტებიდან ლონდონის თეატრებისა და კინოფილმების შესახებ. ეს არ არის მოხსენებების თავმოყრა, არამედ არის მოკლე ინფორმაციის შემდეგ, ჭგუფში საერთო საუბარი და აზრების გამოთქმა. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ასმენინებს ნაწყვეტებს კონცერტებიდან, ვიდეო-კასეტებს ფილმებიდან, თეატრალური სპექტაკლებიდან და თხოვს მათ კომენტარების გაკეთებას.

საინტერესო გაკვეთილის მოდელს წარმოადგენს "**Reading Lesson**". მასწავლებელს მოაქვს გაზეთში გამოქვეყნებული სტატია "**Greedy Murderer**". სტუდენტებს ურიგდებათ ეს სტატია და პირველი დავალებაა ამ სტატიის ხმამაღალი კითხვა (**reading part**). სადაც მასწავლებელი აწვდის კომენტარებს ფრაზებზე, სიტყვებზე, გამოთქმებზე და შემდეგ მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს შექმნან სიტუაციები შინაარსის გააზრების თვალსაზრისით (**showing situation**), შემდეგ იმართება კითხვა-პასუხი თითოეული სიტუაციის მიმართ (**interviewing part**), შემდეგ მასწავლებელი აჯგუფებს სტუდენტებს ვინ არის **for** და ვინ არის **against** მკვლელისა და სთხოვს დასაბუთებას (**comprehension checking**) და ბოლოს მასწავლებელი აცნობს სტუდენტებს იმ არასწორ გამოთქმებს, რაც მათ გამოიყენეს და უსწორებს მათ (**correction**).

სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების დეტალური გაცნობა ძალიან ბევრს

აძლევს სტუდენტ-პრაქტიკანტს. რათა მოსინჯოს თავისი შესაძლებლობები, საკუთარიც ბევრი შეიტანოს ამ გაკვეთილებში და მათი გაანალიზება და შეფასება შეძლოს.

კრებულში "Teacher's Handbook" სათაურით "Songs for students of English as a Foreign Language" მოცემულია კლასიკური თუ თანამედროვე სიმღერები, რომლებიც დამუშავებულია იმგვარი მეთოდით, რომ მოსწავლეს მიეწოდოს ცოდნა გრამატიკული, ლექსიკური, ინტონაციური თუ სტილისტიკური ხერხების სფეროში და ამავე დროს მოეხმაროს სიმღერის ათვისებაში. ეს გაკვეთილი მუშავდება შემდეგი სქემით:

1. **Language Features** (მოცემულია სიტყვების, ფრაზების, გამონათქვამების განმარტებაც).

2. **Understanding the Song** (კეთდება სტრიქონების პარაფრაზი).

3. **Exploitation of language forms** (ვთქვათ, გამოთქმა **used to**-ს სხვა ნიმუშები იძლევა სხვადასხვა სიტუაციაში).

4. **Establishing the words** (მასწავლებელი წერს რამდენიმე სიტყვას დაფაზე და სთხოვს მოსწავლეებს აღადგინონ ლექსის ტექსტი).

5. **Relation of the song to personal experience** (მოსწავლეები ცდილობენ მიუსადაგონ სიმღერაში გამოყენებული ფრაზები და იდეები საკუთარ ცხოვრებისეულ მოვლენებს).

თანამედროვე მეთოდთა შორის ენის სწავლების სფეროში დიდი ადგილი უჭირავს თამაშის მეთოდს (**Role-simulation**) და აქაც მრავალი გაკვეთილის მოდელი ანალიზდება სტუდენტების მიერ: "**Simulation on Magistrate Court**", "**Unemployment simulation**", "**Social simulation**", "**Housing simulation**" და ა.შ.

სწავლების მეთოდების მრავალსახეობას შეიძლება გავეცნოთ სატელევიზიო და რადიო გადაცემების პროგრამაში "**BBC English Courses**". იგი წარმოდგენილია 25 სასწავლო პროგრამით და თითოეული პროგრამის გაკვეთილები აგებულია იმ მეთოდების მიხედვით, რომლებიც ითვისებისწინებენ პროგრამის საბოლოო მიზანს. თითოეული პროგრამა ცალკე წიგნად არის გამოცემული და თან ახლავს ჩანაწერები, ვიდეო-კასეტები. ასე მაგალითად, პროგრამა "**Calling All Beginners**" შეიცავს 52 გაკვეთილს

და შერჩეულია ყოფითი ხასიათის ტექსტები ჩასმითი და ორენოვანი სავარჯიშოებით; ამ პროგრამით 1200 ახალი სიტყვა და გამონათქვამია შემოტანილი. პროგრამა **"Choosing Your English"** შეიცავს 40 გაკვეთილს. თითოეული გაკვეთილი ეძღვნება იდიომატურ და ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, ახლავს სიტუაციები, სავარჯიშოები, კომენტარები. პროგრამა **"People Talking"** ითვალისწინებს თემატურ გაკვეთილებს. მოსწავლე ეცნობა ტაქსის მძღოლების, სათამაშოების გამყიდველის, სოფლის დიასახლისის და სხვადასხვა სოციალური ფენის ლექსიკას საინტერესოდ შერჩეული ტექსტებიდან და დიალოგებიდან. პროგრამა **"In a Manner of Speaking"** მოიცავს მასალას ინგლისის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებში მცხოვრები ინგლისელის საუბრიდან, დიალექტური შტრინგებითა და სლენგებით. ხოლო პროგრამა **"Teaching Alive"** აგებულია ინგლისურ ენაში ახლად შექმნილი გამონათქვამებისა და ნეოლოგიზმების მასალაზე.

"BBC Video-Courses" თითოეული პროგრამა 50 გაკვეთილამდე შეიცავს, ახლავს ვიდეო-კასეტები მითითებებით, ინსტრუქციებით და კომენტარებით რომელ სფეროში, როდის და რანაირად უნდა ჩატარდეს ეს გაკვეთილები.

საინტერესო მასალებია წერითი ჩვენების შემუშავების ასპექტში, ორთოგრაფიული ნიმუშებით, მითითებებით. ლექსიკისა თუ გრამატიკის გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, ცალკეული ტექსტები მეთოდური ინსტრუქციებით. მასალები იმაზე თუ როგორ ისწავლება საგანთო მასალა, ლიტერატურისა და სტილისტიკის საკითხები. თითოეულ კოლეჯს, სკოლას თუ სასწავლებელს აქვს პროსპექტი, რომელიც იძლევა უცხო ენის სწავლების საინტერესო და აუცილებელ მასალას იმისათვის, რომ სათანადო დონეზე ისწავლებოდეს უცხო ენა როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების აგებისა და დამუშავებისათვის უამრავი მასალაა; ყველაფერი ეს მოსმენილია და ხელმისაწვდომია იმ მასწავლებლებისათვის ან სტუდენტებისათვის. რომლებიც მიევიდნენ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების

მიზნით ერთი თვით ან სამი თვით, მაგრამ ასეთი პიროვნებები ერთეულებია და მათაც მხოლოდ ჩანაწერების სახით გააჩნიათ ეს მეთოდური მასალები. საქართველოში არსებობს უამრავი მეთოდკაბინეტი, ლაბორატორია, პედაგოგიური ინსტიტუტი, კვლევითი ინსტიტუტი, სამეცნიერო დაწესებულება, განათლების სამინისტრო თავისი სასწავლო ცენტრებით, სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრა იმისათვის, რომ ხელმისაწვდომი გახადოს ამგვარი მასალა სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის, რათა გამოყენებული იქნას ენის სწავლების საზღვარგარეთული მიღწევები. ასევე სასურველია უცხოელ მეთოდისტთა მოწვევა სწორედ ამგვარი მასალის გაცნობისა და დამუშავებისათვის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგ-მეთოდისტებისათვის.

ყველაფერი ამით იმის თქმა გვსურს, რომ უცხო ენის სწავლების მეთოდის კურსს სჭირდება შევსება და გამდიდრება, რათა სწავლების ამაღლების პრაქტიკულ მიზნებს მივაღწიოთ.

ლიტერატურა

1. T.Tushmalishvili, A Concise Course of Lectures on Teaching English as a Foreign Language. Tbilisi 1985
2. შ. კრავიშვილი, ინგლისური ენის სწავლების მეთოდის. თბილისი 1979
3. В.Д.Аракин, Методика преподавания английского языка. Москва 1989
4. Seth Zindstzomberg Schemata for ordering the teaching and learning of English 1990
5. Language Courses; Video Courses. 1985

ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა

ენა შექმნა ადამიანმა — თავისთვის, როგორც თავისი სოციალური (ადამიანთა შორის) არსებობის და სულიერი ცხოვრების განხორციელების დამხმარე საშუალება.

რა კონკრეტული მოვალეობები დაეკისრა ამისთვის ენას? ამ პრობლემაზე მსჯელობისას ენათმეცნიერება მიმართავს ცნებებს: „ფუნქცია“, „ენობრივი ფუნქციები“ და თვლის, რომ ძირითადი მათ შორის არის კომუნიკაციის, ურთიერთგაგებინების ფუნქცია. მგვრამ ეს ძალიან ზოგადია; კომუნიკაციას (ენობრივის ჩათვლით) აქვს თავისი შინაარსი; ადამიანი ატყობინებს მეორეს — რას? იმისთვის, რომ შედგეს გაგებინება, ანუ ინფორმაციის გადატანა (გაცემა-მიღება), უნდა არსებობდეს გაგებინების/შეტყობინების შინაარსი — თვით ინფორმაცია. ამ შინაარსის გარეშე კომუნიკაცია არ არსებობს, რჩება მარტო კონტაქტი (ასახელებენ შესაბამის „კონტაქტის დამამყარებელ“ „ფატიკურ“ ფუნქციას), რომელიც აგრეთვე (შინაარსის დარად) კომუნიკაციის შემადგენელი ნაწილია, მისი აუცილებელი ელემენტია, მაგრამ არა საკმარისი. კომუნიკაციის შინაარსს/ინფორმაციას ქმნის ის, რისი გამოხატვის (ასახელებენ შესაბამის „გამოხატვის“/„ექსპრესიულ“ ფუნქციას) და სხვისთვის გაზიარების მოთხოვნილება აქვს კომუნიკაციის სუბიექტს/ინფორმაციის გამცემს და რისი აღქმა-გაგების უნარი აქვს კომუნიკაციის ობიექტს/ინფორმაციის მიმღებს — ადამიანს. ეს არის ადამიანის ცნობიერებაში გადატენილი სამყარო თავისი მოვლენებით, ანუ თვით ადამიანის ცნობიერების შინაარსი. ადამიანის ცნობიერებას კი ორი ძირითადი შემადგენელი აქვს: 1. აზროვნება ანუ ლოგიკური აღქმა, „კოგნიტური“ შემეცნება-გააზრება (ფსიქოლოგია ამტკიცებს, რომ ადამიანის ლოგიკური აზროვნება მხოლოდ ცნებითი, ე.ი. სიტყვიერი/ვერბალური აზროვნებაა) და 2. ასე ვთქვათ, „განცდითი აღქმა“ — შთაბეჭდილებები, ემოცია-დამო-

კიდებულებები, მათ შორის ესთეტიკური განცდა. შესაბამისად, კომუნიკაციის (ისევე როგორც ექსპრესიული) ფუნქცია იშლება კიდევ ორ ფუნქციად — „შემეცნებით“/„კონიტურ“ და „ემოციურ-ესთეტიკურ“ ფუნქციებად.

(არსებობს თვალსაზრისი, რომელიც აცალკევებს ენის ესთეტიკურ და ემოციურ ფუნქციებს ესთეტიკური ფუნქციის თავისებურ გაგებაზე დაყრდნობით (იაკობსონი); მის მიხედვით ესთეტიკური ფუნქცია მდგომარეობს შეტყობინების განწყობაში (*set, Einsterllung*) — იგულისხმება „ორიენტაციაში“, *მ.წ.* — საკუთარი თავის მიმართ, და არა გარესამყაროს მოვლენების მიმართ, როგორც ხდება სხვა ენობრივი ფუნქციების განხორციელების დროს — ენა „ზრუნავს“ არა იმაზე, რომ გამოთქვას ის, რაც გამოსათქმელია, არამედ იმაზე, რომ მიმზიდველად, ესთეტიკურად გამოთქვას; მაგ. არავინ იტყვისო „*Margory and Joan*“, ყველა იტყვის „*Joan and Margory*“ — იმიტომ, რომ „ასე უკეთესად უღერს“ ამ კონტექსტში მახსენდება იმ დროს ახალგაზრდა პოეტის მიშა ქვლივიძის მსჯელობა: რატომღაც ვერაფრით ვერ ვიტყვიო „ივრის გაღმა“ და „ალაზანს იქით“, უნდა ვთქვა — „ალაზანის გაღმა“ და „ივრის იქით“).

ხორციელდება ესთეტიკურ-ემოციური ფუნქცია (თუნდაც თავისი ნეიტრალური გამოვლინებით) ენის მოქმედების ყველა სფეროში, განსაკუთრებული ინტენსიობით კი მხატვრულ ტექსტში, ლიტერატურაში. ზოგჯერ ამ ფუნქციას „სტილისტურს“ უწოდებენ, იმიტომ, რომ მისი მოქმედების შედეგი არის სტილისტურ/ესთეტიკურ-ემოციურ ღირებულებათა წარმოქმნა, როგორცაა სტილისტური/ესთეტიკურ-ემოციური ეფექტი და სტილი. (ნებისმიერ ... „შინაარსს“ ..., რომელიც „წინადადებაში მოძრაობს“ ... ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი გლინიცი უწოდებს „სრულფასოვან სულიერ სიდიდეს“ *geistige Grosse*).

ყველაფერ ამას — ენის ესთეტიკურ-ემოციური ანუ სტილისტური ფუნქციის განხორციელების მექანიზმს, შედეგებს, საშუალებებს — სწავლობს ფილოლოგიის ცალკე დარგი, რომელსაც სტილისტიკა ჰქვია.

სტილისტიკის საგანი, შედარებით სხვა ფილოლოგიურ დისციპლინებთან, უფრო ბუნდოვანი და ნაკლებად ხელშესავლებია — ესთეტიური ეფექტი, უზოგადესი განმარტებით, არის შთაბეჭდილება, მეტ-ნაკლებად გაურკვეველი, მკვეთრად შემოუსაზღვრავი, რომელიც სცილდება საკუთრივ სემანტიკური ლოგიკური ინფორმაციის ფარგლებს, შეტყობინების „ლოგიკურ-საგნობრივ“/„დენოტატურ“ მნიშვნელობას, წარმოადგენს „კონოტაციას“ (**con-notation** — ის, რაც ემატება აღნიშნულს), „ზესემანტურ ინფორმაციას“ (ლიტერატურათმცოდნე ფილოლოგთა წინა თაობა ამ ეფექტს ხშირად „ქვეტექსტად“ იხსენიებს).

ასეთივე კონოტაციური ხასიათის, მეტ-ნაკლებად გაურკვეველი და შემოუსაზღვრავი მოვლენაა სტილი, რომელიც არის არა თავისთავადი სუბსტანცია (როგორც, ვთქვათ, ბგერა, სიტყვა, წყობა და სხვა), არამედ ატრიბუტი, თვისება, თანაც არა კონკრეტული თვისება, არამედ ზოგადი თავისებურება, რომელიც მისი მატარებელი მოვლენის არსებით/სუბსტანტურ თვისებათა მიღმა მდებარეობს და მისი ცალკეული შემადგენელი კომპონენტების კონკრეტულ თავისებურებათა ჯამზე არ დაიყვანება, არამედ მათი ურთიერთმიმართებით იქმნება; არის თავისებურება მოვლენის არა არსისა, არა მისი კონსტიტუციური სტრუქტურისა (ეს შექმნიდა ახალ მოვლენას), არამედ მხოლოდ გამოვლენისა, რომელიც იღებს განსხვავებულ ფორმას მოვლენის ბუნებისდა მიხედვით; არის მოვლენის არსებითი ზოგადი კანონზომიერების კერძო ინდივიდუალური გამოვლინება, რომელიც აღიქმება ჩვენს მიერ ამ მოვლენის თავისებური — ამავე კლასის მოვლენებისაგან განსხვავებული ან მათი მსგავსი — ესთეტიურ-ემოციური იერის სახით.

სტილის აღქმა-გაცნობიერება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ესთეტიურ-ემოციური ხასიათის მოვლენისა, მოითხოვს, ცოდნისა და ლოგიკური აზროვნების უნარის გარდა, აგრეთვე სპეციფიურ ესთეტიურ-ემოციურ/სტილისტურ ალღოს. ეს ვრცელდება სტილის მეცნიერ მკვლევარზედაც, მით უფრო რომ მტკიცე, მეტ-ნაკლებად ამომწურავი ცოდნა ემოციური იერის პრინციპშივე უთვალავი ნიუანსის და ესთეტიურის თვით მოვლენის არსისა

და მახასიათებლების შესახებ პოზიტიურ მეცნიერებას არ გააჩნია.

ამიტომაცაა, რომ სტილისტიკის სილუეტი უსწორმასწოროა, არაერთგვაროვანი, ხვეულებით სავსე და კონკრეტული უწყვეტი კონტურის მონახაზად გაკირვებით თუ მოიხელთება.

უპირველესად ისმის კითხვა — რისი თვისებაა სტილი? ან სხვანაირად — რა სახის მოვლენებს ახასიათებს სტილი, ყველას თუ მხოლოდ ზოგიერთს და თუ ასეა, რომელს?

სამყაროს ყველა სახის მოვლენებიდან სტილი ახასიათებს მხოლოდ იმათ, რომლებიც ადამიანის (ან რომელიმე ნიშნით მსგავს ადამიანთა ჯგუფის) პიროვნულ/ინდივიდუალურ გამოვლინებას უკავშირდება. ასე მაგ. სტილი არა აქვს მთას, ხეს, ადამიანის ფიგურას, თვალს, ტუჩს, ..., მაგრამ აქვს ნახატს, რომელზედაც ეს მთა ან ხე არის დახატული, ქანდაკებას, რომელშიც ადამიანის ეს ფიგურაა ჩამოქნილი, ლიმილს, რომლითაც ეს თვალტუჩი ილიმება...

სტილი (ესთეტიურ-ემოციური იერ-სახე) გვაწვდის ინფორმაციას (მეტნაკლებად ბუნდოვანს), გვიქმნის წარმოდგენას (მეტნაკლებად გაურკვეველს) არა მისი მატარებელი მოვლენის, არამედ ამ მოვლენის ავტორის შესახებ, არის გამოხატულება ინდივიდის სულიერი წყობისა, უნარისა, განწყობილებისა, ...მისი მსოფლალქმისაც კი, ... და ახასიათებს ყველა პიროვნულ გამოვლინებას — უკლებლივ ყველას — უშუალო გაუცნობიერებელი მოძრაობიდან, ცნობიერი შემოქმედების ურთულეს (მათ შორის ვერბალურ) ფორმებამდე.

ეს შეხედულება ეწინააღმდეგება არსებითად სტილის ცნების თანამედროვე განმარტებათა უმრავლესობას, როგორც ჩვენში, ისე რუსეთსა და დასავლეთში, როგორც ქვალიტატურ (ანუ ხარისხობრივი დახასიათების), ისე ქვანტიტატურ (ანუ რაოდენობრივი დახასიათების) თუ ინფორმაციის თეორიის ტერმინებში, რომლებიც, გამოხატულად თუ შეფარვით, უკავშირებენ სტილის არსებობის ფაქტს „ნორმასთან“ შეფარდების, განსაკუთ-

რებულობის მომენტს.

მართალია, სტილის ცნება თავისთავად გულისხმობს შედარებას, და ამდენად შესადარებელი ობიექტის არსებობას — სტილი ვერ ექნება უნიკალურ მოვლენას — თავისებურება, თავისთავად, მხოლოდ სხვასთან შედარებით არსებობს, მაგრამ შედარებით რასთან?! ჩვენი ფიქრით ნებისმიერისა. — ნებისმიერთან და არა მხოლოდ ნორმად აღიარებულთან, ჩვეულებრივთან — ჩვეულებრივი ხომ ისეთივე თავისებურია უჩვეულოს მიმართ, როგორც პირიქით.

სტილის ცნებაში „გამორჩეულობის“ მომენტის შეტანით, როგორც მისი არსებითი ნიშნისა, ხდება სტილის მოვლენის, როგორც ასეთის, გაიგივება (აღრევა) ცალკეულ კონკრეტულ გამორჩეულ სტილებთან და გარდა ამისა, აგრეთვე „სტილისტურ მარკერთან“, ანუ ამ გამორჩეულობის შემქმნელ გამორჩეულ ელემენტთან, რომლის სტილისტური ეფექტიანობის ფსიქოლოგიური მექანიზმი სწორედ მისთვის დამახასიათებელი უჩვეულობის, მოულოდნელობის მომენტს ემყარება.

თუმცა სტილი ახასიათებს ადამიანის გამოვლინებასთან დაკავშირებულ ყველა არაუნიკალურ მოვლენას, მათ შორის ყველა სახის ხელოვნების ნაწარმოებს, სტილისტიკა მხოლოდ ფილოლოგიური დისციპლინაა. მაგრამ ფილოლოგიური კვლევის საგანი თავისთავად არაერთგვარია — ყველაზე უხეში ზოგადი დაყოფით, ეს არის ენა, რომელსაც სწავლობს ენათმეცნიერება და ლიტერატურა, რომელიც ლიტერატურადმცოდნეობის (პოეტიკის — ტრადიციული გაგებით) შესწავლის საგანია. ლიტერატურა, რომელიც, მართალია, იწოდება ვერბალურ ხელოვნებად — (სამართლიანად, იმიტომ რომ ვერბალური მასალით აიგება და მეტყველების ერთ-ერთი კონკრეტული სახეა) მაგრამ არის ამავე დროს მეტყველების მკვეთრად სპეციფიური, მისი ყველა სხვა სახისაგან პრინციპულად განსხვავებული — მხატვრული ფორმა, რომელსაც საკუთარი სტრუქტურა აქვს, და მართალია ენის საერთო კანონებს ეყრდნობა, მაგრამ მაინც საკუთარი არაენობრივი კანონებით

იმართება; ამ სტრუქტურაში მოხვედრილი ნებისმიერი ბუნების ელემენტების და მათი მიმართებების სპეციფიკა, რომელიც მხატვრულობას ქმნის, ემორჩილება (როგორც ვთქვით) არა ენის, და უფრო მეტიც, არა იმდენად მეტყველების საერთო კანონებს, რამდენადაც მხატვრული (თუმცა ვერბალური) სტრუქტურის სპეციფიკურ ზოგად კანონებს და კონკრეტული მხატვრული სტრუქტურის უნიკალურ შინაგან კანონს (ამის არათეორიული ხასიათის, მაგრამ ჩვენი ფიქრით უღაო არგუმენტად იკმარებს აბსურდის ლიტერატურის გახსენება, თუნდაც გვიანი ბეკეტისა, სადაც ტექსტი აღწევს სრულად თავის ესთეტურ-კომუნიკაციურ მიზანს, თუმცა არღვევს მეტყველების წესებს და კანონებს). ამ სპეციფიკური მხატვრული სტრუქტურის მაკრ „ნარწუნებში“ (სტრუქტურის სპეციფიკურ მიმართებებში) მოქცეული ენობრივი ფაქტი იძენს ხარისხობრივად ახალ ნიშნადობას, ხდება ახალი სტილისტიკური, ესთეტურ-ემოციური ინფორმაციის მატარებელი და რა გასაკვირია, რომ ამ ორი პრინციპულად განსხვავებული ხასიათის ობიექტის აღწერა-შესწავლა (თუნდაც მსგავს, სტილისტიკურ პლანში), პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას და ცნებით აპარატს მოითხოვდეს — პირველი, ენის შემსწავლელ მეთოდებს და ცნებით აპარატს, მეორე, მეტყველების კერძოდ მისი მხატვრული ფორმის — მხატვრული ტექსტის — შემსწავლელს და აღმწერს.

ამიტომაც არსებობს ორი სტილისტიკა, უფრო ზუსტად კი სტილისტიკის ორი ძირითადი შტო — ლინგვისტიკური სტილისტიკა (ლინგვისტიკისტიკა) და პოეტიკა (ახალი გაგებით), რომელიც რამდენიმე სინონიმით აღინიშნება: მეტყველების, კერძოდ მხატვრული მეტყველების სტილისტიკა, მხატვრული ტექსტის სტილისტიკა, ლიტერატურული სტილისტიკა.

სტილისტიკის ორი შტოს საგანსა და საზღვრებზე მსჯელობის კონტექსტში შექმოდის აუცილებლობით რამდენიმე ცნება: ენა — მეტყველება (სოსიურის კლასიკად ქცეული დიქოტომია); პარადიგმატიკა — სინტაგმატიკა (ენის პარადიგმული/ასოციაციური და სინტაგმური/ლინგვალური ქრილი); ტრუ-

ბეცკოს აგრეთვე კლასიკად ქცეული ფონეტიკა-ფონოლოგიის კონცეფცია. რომელიც, სოსიურისგან დამოუკიდებლად, არსებითად. იმავე დიქტომიას ამტკიცებს; ხომსკის კომპეტენცია — რეალიზაცია; სტატია — დინამიკა (ენის სტატიკური და დინამიური ასპექტი); უზუალური/სტატიკური და ოკაზიონალური/კონტექსტუალური ანუ დინამიური ღირებულებები, ენობრივი ნიშნის და ენობრივი ოპოზიციის, ენის მონემური ერთეულის, უზუსის, ანუ ენობრივი ჩვევის, სისტემის ცნება.

საფუძვლიანი მსჯელობა ვრცელი მსჯელობაა. აქ ამის საშუალება არა გვაქვს. ამიტომ ჭრჭერობით სიტყვაზე დავიჭეროთ, რომ ენა განსხვავებით მეტყველებისგან, რომელიც არის კონკრეტული რეალიზაცია, არის ჩვენს ცნობიერებაში პოტენციის სახით ჩალექილი სისტემა (ანუ სასრული რაოდენობის ერთეულთა სიმრავლე, რომელთა მიმართება გარკვეულ კანონზომიერებებს ემყარება), რომ ენის სისტემის თითოეული ერთეული არის ნიშანი ანუ მატერიალური სუბსტანცია — ბგერათინტონაციური კომპლექსი (აღმნიშვნელი), რომელიც მიუთითებს რაღაცაზე თავის გარეთ (აღსანიშნე) ამ ორს შორის ჩვენს ცნობიერებაში ენობრივი ჩვევის (უზუსის) წყალობით დამყარებული კავშირის შედეგად, რომ ენა არის სისტემა ასეთ ნიშანთა და აღნიშვნის ფუნქციის მქონე ენობრივ ერთეულს მონემურს უწოდებენ; რომ ეს თვისება — მინიშნების უნარი — მათ თავიანთ მსგავსებთან დაპირისპირების შედეგად მიუღიათ და ამიტომ თითოეული ნიშანი წარმოადგენს ფაქტობრივად ამ დაპირისპირებების (ოპოზიციების), დისტინქციების ჯამს და ენა ასეთ ოპოზიციათა სისტემაა; რომ ენას არა აქვს ფიზიკური არსებობა — მისი მატერიალიზაცია ხდება მხოლოდ მეტყველებაში; ენა არსებობს მხოლოდ ენის მცოდნე ადამიანთა (ენობრივი კოლექტივის) ცნობიერებაში — მთელი სისტემა ერთდროულად, ამ ოპოზიციებით შექმნილ ასოციაციურ მექანიზმზე დამყარებული პარადიგმების პოტენციური ცოდნის სახით (*in absentia* — ენის პარადიგმულ/ასოციაციურ ჭრილში), განსხვავებით მეტყველებისგან. რომელიც არსებობს მატერიალური (ფონეტიკური ან გრაფიკული) ფორმით (*in presentia*), ამოაქვს ენის პარადიგმულ/ასოციაციური ჭრილიდან მოლა-

პარაკის მიერ საჭიროებისდა მიხედვით ამორჩეული ერთეულები და ანდენს მათ კომპინირება-განლაგებას სინტაგმებად მხოლოდ სწორხაზოვანი თანმიმდევრობით (ენის სინტაგმურ/ლინგუალურ კრილში) — ერთდროულად ვერ წარმოვთქვამთ ერთ ბგერაზე, ერთ სიტყვაზე მეტს, ერთ წერტილში ვერ მოვათავსებთ ორ გრაფიკულ გამოსახულებას, მაგრამ, როცა ვამბობთ ან ვიგებთ ერთ სიტყვას, ვიცით ყველა დანარჩენი, ე.ი. როცა ვახერხებთ (თქმისას) ჩვენი ცოდნის მთელი პოტენციური მარაგიდან სწორედ ამ ერთი საჭირო სიტყვის ამორჩევას და (გაგებისას) გაგონილ ბგერათა კომპლექსის სწორედ ამ ერთ შინაარსთან დაკავშირებას, ეს იმას ნიშნავს, რომ, გაუცნობიერებლად ვითვალისწინებთ ენაში არსებულ ყველა დისტინქციას, უუბირისპირებთ ამ ერთს ყველა დანარჩენს; ამის შესაძლებლობა კი იმიტომ გვაქვს, რომ ერთი ენობრივი კოლექტივის წევრების ცნობიერებაში ენა არსებობს ერთნაირად — ენობრივი ჩვევით/უზუსით გამომეშავებული საყოველთაო ცოდნის სახით, რაც გვახვევს თავს, გვაიძულებს, გვავალდებულებს (თუ გვინდა, რომ განხორციელდეს კომუნიკაცია და ჩვენმა ნათქვამმა მიზანს მიაღწიოს), რომ გამოვიყენოთ სწორად ეს საყოველთაო ცოდნა — მთას ვუწოდოთ „მთა“ და არა, ვთქვათ „ვეფხვი“.

ასეთი ვერბალური ფაქტი, სადაც კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის დაფიქსირებულია უზუალურად, როგორც საყოველთაო და შედეგად, ხმარებაში (კომუნიკაციის ინტერესებიდან გამომდინარე) სავალდებულო, არის ენის სისტემის ღირებული, ნიშნადი (ნიშნის ფუნქციის განმახორციელებელი) ელემენტი — ენობრივი ერთეული; მისი მნიშვნელობა მდგრადია; სტატიკური — არ იცვლება კონტექსტის მიხედვით, აქვს თავისი განსაზღვრული ადგილი ენობრივ დისტინქციათა ანუ ენობრივ ღირებულებათა სისტემაში, განსხვავებით იმ მნიშვნელობისაგან, რომლის წყარო კონტექსტია და არა უზუსტი, რომელიც დინამიურია — იცვლება კონტექსტისა და შესაბამისად (იმართება კონკრეტულ კონტექსტში და არა ენის სისტემაში ჩამოყალიბებული მიმართებებით, მეტყველების/ტექსტის და არა ენის კანონების მიხედვით). ასეთი მნიშვნელობა არის არა უზუალური/ ენობრივი,

არამედ ოკაზიონალური/კონტექსტუალური ღირებულება, ტექსტის/მეტყველების, და არა ენის კუთვნილება.

ეს არის, ძირითადად, სოსიურის კლასიკურად აღიარებული თვალსაზრისი და, არსებითად თანამედროვე ლინგვისტიკის ფუნდამენტი, რომელიც, არაერთი ცდის მიუხედავად, ჭკრჭერობით დაძლეული არ არის; დღევანდელ ლინგვისტიკაში არის ზოგი ახალი ტენდენცია და მიმართულება: ასე ვთქვათ ანთროპოცენტრისტული ხასიათის ტენდენციები, ლოგიკურ-სემანტიკური თეორიები, ენობრივი ერთეულის სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა (პრაგმატიკა, სემანტიკა, სინტაქტიკა), ტექსტის ერთეულად აღიარება და ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბება (რომელმაც, სხვათა შორის, დღესაც ვერ მიიღო მეტ-ნაკლებად პრინციპულად ერთიანი სახე), კომუნიკაციური ლინგვისტიკით გატაცება, ენის დინამიური მოდელის აგება..., მაგრამ არც ერთი მათგანი არ ქმნის საკმარის საფუძველს სოსიურის თეორიის გადასასინჯად ორი ძირითადი მიზეზის გამო: სოსიურის თეორია არის შეხედულებათა მწყობრი სისტემა (თუმც ალაგ-ალაგ ხარვეზიანი, რაც სოსიურმაც იცოდა), ანუ ისეთი თეორია, რომელიც საკმარისად ტევადია იმისთვის, რომ მოუძებნოს ადგილი და ახსნა თავისი ობიექტის ნებისმიერი სფეროს ნებისმიერ მოვლენას, თუნდაც ახლად აღმოჩენილს, მასში თავიდან გაუთვალისწინებელს. ჩამოთვლილი და სხვა სოსიურის შემდგომი თეორიები კი არის კონცეფციები, რომლებიც ხსნის ენის თუნდაც მნიშვნელოვან, მაგრამ ცალკეულ მხარეებს; არც ერთი მათგანი არ არის სისტემა, რომელიც ენის მთლიან სურათს წარმოადგენს (შდრ. ცალკეული რწმენები, მაგ. მაგის რწმენა, ტოტემიზმი..., რომლებიც ხსნიან სამყაროს ცალკეულ მოვლენებს, და რელიგია, რომელიც მთელ სამყაროს ხსნის ყველა მისი ელემენტით). ესეც არ იყოს, ახალი თეორიების უმრავლესობა არსებითად არ ეწინააღმდეგება სოსიურის ენა — მეტყველების — დიქტომიას; მოვლენების აღქმა ხდება უბრალოდ აქცენტების გადანაცვლებით, ახალ რაკურსში, ნაწილობრივ შენაცვლებული ხედვის კუთხით და, შესაბამისად, ახალი ცნებითი აპარატის გამოყენებით; შედეგად მიღებული გამოსახულებაც, ბუ-

ნებრივია, სხვაგვარად მოჩანს (როგორც ანდრასში და პროფილში გადაღებული ფოტო განსხვავებულ სურათს იძლევა, მაგრამ არც ერთი არ ამაზინებს სინამდვილეს, არ გამორიცხავს ერთი მეორეს — ორივე ობიექტურად ასახავს ობიექტს); უფრო მეტიც, ზოგი ამ თეორიათაგანი, რაკურსულ-ტერმინოლოგიური, ხანაც ცალკეულ მომენტებში უფრო არსებითი სხვაობების მიუხედავად, საფუძველში იმეორებს სოსიურისეულ დიქტომიას (მაგ. ენის დინამიური მოდელი), თუმცა ზოგჯერ სხვა კონკრეტული შინაარსით ავსებს (მაგ. ხომსკის კომპეტენცია - რეალიზაცია).

მაშ, როგორ მოსჩანს აღწერილი პოზიციიდან სტილისტიკის ორი განშტოების კვლევის საგანი? სტილისტიკა, ბუნებრივია, სწავლობს სტილისტურ ღირებულებებს, მაგრამ რომელი სტილისტიკა — რომელს?

გავსინჯოთ ამ თვალსაზრისით წინადადებების ორი წყვილი: 1. „ლომით ღრიალებს“ და „ვირვიით ღრიალებს“ და 2. „რატომ ტირი?“ და „რას ღრიალებ?“ სტილისტური/ესთეტურ-ემოციური შინაარსი, რომელიც ამ წყვილების მეორე წინადადებებში ტრიალებს და განასხვავებს ამათ სტილისტურად პირველი, ნეიტრალური, წინადადებებისაგან, არის უხეშობა.

რამ გაგვიჩინა ეს უხეშობის განცდა? „ლომი გარეული ცხოველია, ვირი — შინაური“, „ლურჯა ვირის სახელია“ — აქ უხეშობის კვალიც არ ჩანს. მაშ, ეს სტილისტური შინაარსი არ ყოფილა დაკავშირებული უზუალურად/ენობრივი აუცილებლობით, მდგრადად იმ კონკრეტულ ენობრივ ერთეულთან, რომელსაც ამ კონკრეტულ წინადადებაში დაუკავშირდა — უხეშობის განცდა ამ ერთეულის სემანტიკის და სიტუაციის ურთიერთმიმართების შედეგია. შემოდის სტილისტური კონტექსტის ცნება. აქ მოქმედებს მისი ნაირსახეობა — სიტუაციური კონტექსტი; მსგავსი რამ ხდება სტილისტური კონტექსტის მეორე სახეშიც — ვერბალურ კონტექსტში; მაგ. სტილისტურად ნეიტრალურმა სიტყვამ შეიძლება უხეშად გაიფიქროს ამალღებული, პოეტური, ნაზი, დახვეწილი სტილისტური იერის ერთეულებს შორის; ასეთი, მეტყველებაში/ტექსტში წარმოქმნილი სტილისტური/ესთეტური შინაარ-

სები არის კონტექსტუალური / ოკაზიონალური / დინამიური შინაარსები (იხ. ზემოთ), და სწორედ ამ სახის შინაარსები და მათი წარმოქმნილი მექანიზმები შეადგენს პოეტიკის, ტექსტის ლინგვისტიკის ინტერესის ძირითად საგანს ყველა სახის მეტყველებაში, განსაკუთრებით კი მხატვრულ ფორმებში და სტრუქტურებში (რომელთა პირდაპირი გამიზნულობაა ესთეტურ-ემოციური ღირებულებების წარმოქმნა). ეს თეორიულად, პრაქტიკულად კი ესთეტურ-კონოტაციური ეფექტები მეტყველების მხოლოდ მხატვრულ ფორმებში წარმოიქმნება (ტროპებში, რიტორიკულ თუ ფონეტიკურ ფიგურებში...); წელან გასინჯული გამონათქვამიც (1) ფაქტიურად მხატვრული ფორმაა (ტროპი, კერძოდ შედარება) და სიტუაციური კონტექსტებიც ამ ფორმებში შექმნილი კონტექსტებია. არამხატვრულ მეტყველებაში არის სტილისტურ ეფექტთა გაჩენის სხვა მექანიზმიც, ძალიან ხშირი, როცა სტილისტური ეფექტი წარმოიქმნება ენის კუთვნილი უზუალური ანუ ენის სტილისტური ფუნქციის მატარებელი საგანგებო ერთეულის მიერ. სწორედ ეს ხდება მოყვანილი წინადადებების მეორე წყვილში. აქაც (მეორე წინადადებაში) იგივე უხეშობის შინაარსი ტრიალებს, მაგრამ მისი წყაროა არა კონტექსტი, არამედ სიტყვები: „რას“ „რატომ“-ის აზრით, რომელიც ნებისმიერ კონტექსტში აგდებულად, უხეშად მოისმის, „ღრიალებ“ „ტირი“-ს მნიშვნელობით, რომელიც აგრეთვე ყველგან და ყოველთვის უხეშია. სხვაგანაირად ასე შეგვიძლია ვთქვათ: ეს შინაარსები სტატიკურია მათი მატარებელი ენობრივი ერთეულების მიმართ — უზუალურად დაკავშირებიან თავიანთ აღმნიშვნელს და ქცეულან, ამგვარად, სიტყვის უზუალურ / ენობრივ, უფრო დაზუსტებით მის დამატებით / კონოტაციურ ესთეტურ-ემოციურ მნიშვნელობად, თვით ეს სიტყვები კი (რომლებიც ამგვარ მნიშვნელობას შეიცავენ), ენის სტილის მაწარმოებელ ერთეულებად და ასრულებენ სტილისტური მარკერის როლს ყველა სახის გამონათქვამში, ყველანაირ ტექსტში, ანუ სტილისტური სტიმულის როლს ნებისმიერ შეტყობინებაში, ინარჩუნებენ თავის სტილისტურ ფუნქციას კონტექსტის გარეშე - **in absentia** - ენის პარადიგმულ ასოციაციურ კრილში (იხ. ზემოთ).

ესენი წარმოადგენენ ლინგვისტური სტილისტიკის პირდაპირ ობიექტს, როგორც ენის სტილისტური რესურსების შემადგენელი ელემენტები: პოეტიკის კვლევის სფეროში ასეთი ერთეულები შემოდიან ნებისმიერი სხვა ბუნების ურიცხვ ფაქტთა და ფაქტორთა გვერდით, ერთი, მათთან საერთო მხრით — მათი სტილისტური/ესთეტური ფუნქციის თვალსაზრისით ამ კონკრეტულ ტექსტში.

კონკრეტული მხატვრული ტექსტების ანალიზი ამ თვალსაზრისით (სტილისტური ანალიზი / ინტერპრეტაცია, ინგლისურად - close reading) მდგომარეობს კონკრეტულ მიზეზ-შედეგობრივ მიმართებათა აღმოჩენაში ესთეტურ ეფექტსა და მის წარმომქმნელ ნებისმიერი ბუნების ფაქტებს შორის და არის თეორიული კვლევის და განზოგადების ერთადერთი საფუძველი პოეტიკაში, ერთადერთი გზა მისი ყველაზე ზოგადი გლობალური პრობლემისაკენ: რა განასხვავებს ესთეტური ღირებულების მქონე გამონათქვამს იმისგან, რომელსაც ეს ღირებულება არ გააჩნია? ან სხვანაირად — რა ქმნის გამონათქვამის მხატვრულობას?

ლინგვისტიკისტიკის ინტერესთა სფეროს შეადგენს პრობლემების ორი წრე: 1. ენის (როგორც ასეთის) და კონკრეტული ცალკეული ენების სტილისტური რესურსების (იხ. ზემოთ) ანუ მათი უშუალო/ენობრივი სტილის მაწარმოებელი ღირებულებების პრობლემა, რომელიც ცალკე პრობლემათა მთელ წყებად იშლება: აქვს კი ენას ასეთი სპეციფიური ღირებულებები და თუ კი აქვს, რომელი და როგორი? რა უდევს საფუძვლად თითოეული მათგანის სტილის წარმოების უნარს? როგორია მათი ენობრივი ბუნება, მათი ურთიერთმიმართებები? ხომ არ ქმნიან ესენი ენის სპეციფიურ სტილისტურ ქვესისტემას? რა მიმართებაში არიან თავისი ენის სამყაროს სურათთან? (იხ. ქვ.) რა ადგილი უჭირავთ ენობრივ ოპოზიციათა საერთო სისტემაში? ენის განვითარების რომელ ეტაპზე არიან გაჩენილი — ენის წარმომქმნისთანავე თუ უფრო გვიან? შეიძლება თუ არა ენობრივ ფაქტად, და ამდენად საკუთრივ ლინგვისტური კვლევის საგნად ჩაითვალოს ზოგი-

ერთი ამკარად ესთეტურ-ემოციური ღირებულების მქონე ვერბალური ფორ-
მა, როგორცაა რიტორიკული ფიგურები, ტროპი? თუ ეკუთვნის ბგერის
ემოციური არანეიტრალობის განცდა (რაც დღეს დამტკიცებულია ექსპერი-
მენტულად) ენას? ნიშანია ეს, თუ რაღაც სავსებით სპონტანური/უშუალო,
საერთო ყველა ენაზე მოლაპარაკისათვის? ენა არსებობს ადამიანის ცნო-
ბიერებაში. მაშ. როგორია სპეციფიურ სტილისტურ ენობრივ ერთეულთა
ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრების და არსებობის ფსიქოლოგიური მექა-
ნიზმი, დანარჩენი ენობრივი ერთეულებისაგან განსხვავებული თუ მსგავ-
სი? ამ და ზოგიერთ სხვა ამავ რიგის საკითხებზე მსჯელობა შეადგენს
სტილისტიკის თეორიის საღეჭი კურსის მნიშვნელოვან მონაკვეთს. აქ,
სამწუხაროდ, მათი მხოლოდ ჩამოთვლა ხერხდება, ისიც არასრული, იმი-
ტომ, რომ ზოგიერთი პრობლემის დასმასაც მსჯელობა სჭირდება. 2. ის,
რომ სტილი აქვს გამონათქვამს, უშუალოდ აღიქმება. მაგრამ აქვს თუ არა
სტილი ენას? ამის პასუხი უნაალიზოდ ვერ გაიციემა, იმიტომ, რომ ადამიან-
ებმა არ ვიცით შესაფერი რაკურსი, არ ვფლობთ საკმაო პერსპექტივას ამ
რთული, მრავალწახნაგოვანი, მრავალგანზომილებიანი სისტემის მთლიან-
ად და ერთბაშად დასაანახად.

ენის, როგორც მთელის, სტილის პრობლემა და მასთან დაკავშირებულ
პრობლემათა მთელი წყება ქმნის ლინგვისტიკისტიკის კომპეტენციაში
შემავალ საკითხთა მეორე სფეროს, რომლის თუნდაც უზოგადეს ხაზებში
გასაცნობად უნდა მოვიშველიოთ რამდენიმე ცნება: ერი, როგორც კოლექ-
ტიური ინდივიდი და მისი დიფერენციალური ფსიქოლოგია, ერის სული,
რომელიც ამ ინდივიდუალობას აყალიბებს და მის მიერ შექმნილი და მუდმივ
ქმნადობაში მყოფი ეროვნული ენის სულში, ენის დიფერენციალურ ფსიქო-
ლოგიაში მკლავნდება; სამყაროს სტრუქტურირების (**Weltbildung**) ენობ-
რივი მოდელი ანუ სამყაროს ერისმიერი თავისებური დანაწევრება/სე-
გმენტაცია — სამყაროს მოვლენების და მათ შორის მიმართებების თავისე-
ბური, ერის დამახასიათებელი ხედვა, ანუ თავისებური სამყაროს სურათი
(**Weltbild**), რომელიც ენის სპეციფიურ სემანტიკურ სტრუქტურაში დევს
(პუმპოლტი, ვაისგერბერი...).

ენის რომელ მხარეში ვლინდება მისი სული, ერის დიფერენციალური

ფსიქოლოგია? იქნებ ენაში გამოხატული ემოციურ-ესთეტიური შინაარსების თავისებურ ხასიათში? ან იქნებ მისი საერთო სემანტიკური სტრუქტურის, მისი სამყაროს სურათის სპეციფიკაში ან რაიმე სხვა მომენტში, ვთქვათ ენის ფონეტიკურ სახეში, სინტაქსში და სხვა ...? რა მიმართებაშია ენის სულის, მისი დიფერენციალური ფსიქოლოგიის გამომხატველი ცალკეული ენობრივი ფაქტები და მასში ჩადებული სამყაროს სურათი ამ ენის ესთეტიურ-ემოციურ იერსახესთან — მის სტილთან? რა მომენტები ქმნის ენის, როგორც მთელის, სტილისტურ სპეციფიკას? — ამ ძირითადი ზოგადთეორიული პრობლემების გვერდით აუცილებლობით წარმოიშვება პრობლემათა მეორე წრე — ცალკეული ეროვნული ენების სტილისტურ სპეციფიკასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები, რომლებიც, ბუნებრივია, ენათა სტილისტურ რაკურსში შეპირისპირების გარეშე ვერ გადაწყდება, ეს კი აჩენს ლინგვისტური სტილისტიკის ფარგლებში ცალკე განშტოებას — შეპირისპირებით სტილისტიკას.

დაბოლოს, რა მიმართებაშია სტილისტიკა მეცნიერების სხვა დარგებთან?

სტილისტიკის ობიექტი არის ესთეტიურ-ემოციური/სტილისტური ღირებულებები, რომლებიც ადამიანის აღქმაში ყალიბდება, აღქმა კი ფსიქოლოგიის სფეროა, ამიტომ ფსიქოლოგია ძლიერად იჭრება სტილისტურ კვლევაში — ფსიქოლოგიის გარეშე სტილისტიკას არსებობა უჭირს.

სტილისტიკის განშტოება, პოეტიკა, როგორც ტექსტის კონკრეტულ ესთეტიურ-ემოციურ ღირებულებათა და ესთეტიურ მიზეზ-შედეგობრივ მიმართებათა ზოგადი კანონზომიერებების შემსწავლელი დისციპლინა, შედის ტრადიციული პოეტიკის და მასთან ერთად ესთეტიკის სფეროში, როგორც მისი ერთ-ერთი კერძო დარგი.

მეორე მხრივ, არსებობს აზრი, რომ პოეტური/ესთეტიური ღირებულებების დიდი ნაწილი არის ნიშანი და ამ როლში იქცევა ზოგადი სემანტიკის ანუ სემიოტიკის/სემასიოლოგიის კვლევის საგნად ამავე არგუმენტაციაზე დაყრდნობით — ენის ნიშნობრივი ბუნებიდან გამომდინარე — სემიოტიკის დარგად შეიძლება ჩაითვალოს ენათმეცნიერება მთლიანად და მისი ცალკე დისციპლინა — ლინგვისტური სტილისტიკა.

სტილისტიკა, მისი ორივე განშტოებით შეისწავლის კონოტაციურ შინაარსებს/დამატებით მნიშვნელობებს/სუპერსემანტიურ ინფორმაციას, მოსულს, უთქმელად, შეფარვით, უხილავად, რომლის შინაარსი ადამიანის (ტექსტში — ავტორის ენაში — ერის ან ტომის) სიღრმისეული სულიერი სამყაროს ანარეკლია და ამავე დროს ადამიანისავე (მკითხველის და ენის მომხმარებლის) აღქმის თავისებურებების ქმნილებაა; ასეთ შინაარსთა დიდი ნაწილი — საგებში, მითებში, ზღაპრებში, თქმულებებში და თვით ენებში ჩაღეჭილი და შემონახული — მოედინება საუკუნეთა სიღრმიდან და მოაქვს თან სპეციფიური ინფორმაცია იმ ადამიანთა სულიერ სამყაროზე, და ესთეტიურ-ემოციური აღქმის ყველაზე იდუმალ პროცესებზე და მექანიზმებზე, რომლებმაც ეს შინაარსები დააფიქსირეს და შექმნეს.

ეს მხარე მხატვრული ლიტერატურის და კიდევ უფრო მეტად ადამიანის შემოქმედების ისედაც ყველაზე რთული, საინტერესო, საოცარი პროდუქტის (ენის) და მისი მოქმედების არანაკლებ საოცარი პროცესის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო იდუმალი მხარეა, რომლის შესწავლას (რა თქმა უნდა პერსპექტივაში) შეუძლია გავიყვანოს საკუთრივ სტილისტიკური (და საერთოდ ფილოლოგიური) კვლევის მიღმა, ადამიანის მარადიული ბუნების სიღრმეებში, მისი გრძნობა-გონების, განცდა-აზროვნების გამოუცნობი ხვეულებისკენ. აგვიხსნას ადამიანის ცნობიერების მოქმედების ზოგიერთი მექანიზმი, ამოატივტივოს ადამიანის უძველესი, თვით მისი ადამიანობის შემქმნელი ზოგიერთი არქეტიპული წარმოდგენა, დაგვაანლოვოს ესთეტიური ღირებულებების არსის შეცნობასთან, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მაღალი შინაარსია ადამიანის სულიერი ცხოვრებისა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. მ. ნათაძე, ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართული თარგმანის და შეპირისპირების ლინგვო-სტილისტიკური პრობლემები. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986.
2. Натаде М., Проблемы теории стилистики. Изд-во ТГУ. Тбилиси, 1989.

მხატვრული თარგმანის თეორია და პრაქტიკა

მხატვრული თარგმანის თეორიის და პრაქტიკის სალექციო კურსის კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო დაახლოებით ორმოცდაათიანი წლებიდან. იმხანად თბილისის უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ სამი უმაღლესი სასწავლებელიდან (მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებთან ერთად), სადაც აღნიშნული კურსი შეტანილი იქნა ფილოლოგიური პროფილის ფაკულტეტთა სასწავლო გეგმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ახალი დისციპლინის შემოღების ინიციატორი იყო ცნობილი ქართველი მთარგმნელი და თარგმანის თეორეტიკოსი პროფ. გ. გაჩეჩილაძე. მანვე შეადგინა კურსის პროგრამა და სახელმძღვანელო. თავდაპირველად სტუდენტებს ეკითხებოდათ ორსემესტრიანი სალექციო კურსი და უტარდებოდათ პრაქტიკული მეცადინეობა თარგმანის ხელოვნების დაუფლების მიზნით. ამჟამად კურსი ერთსემესტრიანია და ეთმობა მხოლოდ 16 სალექციო საათი. ამდენად, ლექციებზე უკრძალება შეჩერდება თარგმანის ზოგადი თეორიის მარტოოდენ საკვანძო საკითხებზე და მხატვრული თარგმანის თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებზე. განვიხილავთ ასევე მხატვრული თარგმანის პრაქტიკის ანუ მისი განვითარების ისტორიის ეტაპურ მომენტებს როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე ჩვენში.

ითვლება, რომ თარგმანის თეორია ახალი დარგია ფილოლოგიური მეცნიერების სხვა დარგებთან შედარებით, მაგრამ თუ თვალს გადავაკვლებთ მის ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმაოდ ხანგრძლივია და სათავეს იღებს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, როცა გაჩნდა თავად თარგმანის ფენომენი ანუ ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადაცემის პრაქტიკა, მაგრამ იმხანად ეს ჯერ კიდევ არ იყო თეორია ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით და არ იყო სისტემის რანგში აყვანილი მეცნიერების დარგი. ეს იყო პირველი ცდები, პირველი ნაბიჯები გადადგმული იმისათვის, რომ დაძვინილიყო გარკვეული კანონზომიერებანი, შემუშავებულიყო ნორმები და რეკომენ-

დაციები ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანის პროცესისათვის, რომელთა დაცვა მართებდათ მთარგმნელებს. პირველი ცდები ამ მიმართულებით გაჩნდა მაშინ, როცა დამყარდა ურთიერთობა ბერძნულსა და რომაულ კულტურებს შორის. იმ დროს კულტურულ ფასეულობათა გამცემი ქვეყანა იყო ძველი საბერძნეთი, ხოლო რომაელი მთარგმნელები (პორაციუსი, ციცრონი და სხვები) გამოთქვამდნენ თეორიულ მოსაზრებებს პოეტიკის სხვადასხვა საკითხებისა და თარგმანის ხელოვნების შესახებ. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ტრანსლაციური მეცნიერების სფერო თანდათან მდიდრდება თეორიული ხასიათის გამოკვლევებით და უფრო მეტად სისტემურ ხასიათს იღებს, მაგრამ მეცნიერების ამ დარგმა ძალზე რთული გზა განვლო იქამდე, სანამ ჩამოყალიბდებოდა დამოუკიდებელი დარგის სახით. ვფიქრობთ, აკად. ვინოგრადოვის მიერ ერთ დროს სტილისტიკასთან დაკავშირებით გამოთქმული აზრი თამამად შეიძლება გავავრცელოთ თარგმანის თეორიაზეც. როგორც ვ. ვინოგრადოვი აღნიშნავდა, სტილისტიკა, სანამ მოიპოვებდა დამოუკიდებელი არსებობის უფლებას, იზრდებოდა როგორც ჭაგნარი ფილოლოგიური მეცნიერების ორ ძირითად დარგს შუა; ეს დარგებია ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა. იგივე გზა განვლო თარგმანის თეორიამაც იქამდე, სანამ განმტკიცდებოდა საკუთარ უფლებებში როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგი. ასეთად ყალიბდება იგი მხოლოდ ჩვენი საუკუნის ორმოც-ორმოცდაათიან წლებში. თუმცა დღესაც არიან სკეპტიკოსები, ექვით, რომ ეკიდებიან თარგმანის თეორიის დამოუკიდებელ არსებობას და თვლიან, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა ნაწილი ერთი მხრივ, ლინგვისტიკისა და მეორე მხრივ — ლიტერატურათმცოდნეობისა, გააჩნია რა კუთხით შევისწავლით თარგმანს; თუ იგი გვინტერესებს, როგორც ადამიანის მხატვრული შემოქმედების ნიმუში და მისი ესთეტიკური ადექვატურობა დედანთან მაშინ იგი ლიტერატურათმცოდნეობის ნაწილია, ხოლო თუ ვუკვირდებით აზრის გამოხატვის ენობრივი ფორმების ტრანსფორმაციას ერთი ენიდან მეორე ენაზე ტექსტის გადატანის პირობებში, მაშინ იგი ლინგვისტიკის ნაწილია.

საქმე ის არის, რომ ზემომოყვანილი მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული. რადგან თარგმანის თეორია სინთეზური დარგია, სადაც თავს

იყრის მრავალი განსხვავებული რიგის პრობლემა. იგი აქტიურად იყენებს როგორც ლინგვისტიკის, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის ცნებით აპარატს, ტერმინოლოგიას და აშკარად ესაზღვრება როგორც ლიტერატურის თეორიას, ასევე ლინგვისტიკის მონათესავე დარგებს.

თარგმანის თეორიის ხანგრძლივი კანონგარეშე მდგომარეობა გამოწვეული იყო სწორედ იმით, რომ არ იყო მყარი საზღვრები, რომლებიც გამოიწვედნენ მას მონათესავე დარგებისაგან (კომპარატიული ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, სემიოტიკა). მეორე მხრივ ეს ყოველივე განპირობებული იყო იმითაც, რომ თარგმანის საკითხებზე უმეტესად წერდნენ პრაქტიკოსი მთარგმნელები, ვინც ხშირ შემთხვევაში, მთარგმნელობითი ნიჭისა და უნარის მიუხედავად, მხოლოდ ინტუიციურ დონეზე აღნუსხავდნენ და აღწერდნენ თარგმანის პროცესთან დაკავშირებულ მოვლენებს, სახავდნენ მათი დაძლევის გზებსა და საშუალებებს, მაგრამ ვერ აძლევდნენ მათ სათანადო ლინგვისტურ კვალიფიკაციას. დამახასიათებელი იყო ასევე ტერმინოლოგიური სიჭრელე. უზუსტობა, ტერმინთა დუბლეტების გამოყენება იდენტური მოვლენების სახელდებისას და საერთოდ, ყოველივეს აკლდა მწყობრი მეცნიერული თეორიის სისტემურობა.

მონათესავე დარგთა განვითარებამ ჩვენი საუკუნის ბოლო დეკადებში უფრო მკვეთრად გამოკვეთა მონათესავე დარგთა და თარგმანის თეორიის კონტურები და უფრო უხვად მიაწოდა მას ფაქტობრივი მასალა განზოგადებისათვის.

თარგმანის თეორია, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, ისევე როგორც არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს რაიმე თეორია მეცნიერების ნებისმიერ დარგში, მაგრამ იგი განაგრძობს შემდგომ სრულყოფას, იღებს უფრო მეტად სისტემურ ხასიათს და მიუხედავად იმისა, რომ თარგმანის ხანგრძლივი და უმდიდრესი პრაქტიკა ჯერ კიდევ საჭიროებს თეორიულ გააზრებას, შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს თავისი კლასიკაც; მხედველობაში გვაქვს ტიხო მომზენის, მეთიუ არნოლდის, ეტიენ დე ტოლეს, ტაიტლერის, ნაიდას. ვინერის, ნოიბერტის, ჟორჟ მუნენის, ედმონ კარის, თეოდორ სავორისა და სხვათა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ამ დარგში.

ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში შედგენილი ბიბლიოგრაფია თარგმანის საკითხებზე დაწერილი თეორიული ნაშრომებისა შეიცავს ჩუთი ათასამდე დასათაურებას და როგორც მისი შემდგენელი პენრის ვან ჰოოფი აღნიშნავს, ცნობარი არ არის ზუსტი და მასში ასახულია მარტოოდენ მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

მეცნიერებაში თარგმანის შესახებ (ანუ ტრანსლაციურ მეცნიერებაში, როგორც მას ხშირად უწოდებენ) გამოყოფენ თარგმანის ზოგად თეორიას და თარგმანის კონკრეტულ თეორიებს. ზოგადსა და კონკრეტულ თეორიებს შორის მკიდრო კავშირია. ზოგადი თეორია შეიმუშავებს ცნებით აპარატს თარგმანის აღწერისათვის, გამოავლენს თარგმანის პროცესის ზოგად კანონზომიერებებს და ინვარიანტულ ნიშნებს, რითაც ქმნის კონცეპტუალურ ბაზას კონკრეტულ თეორიათა ასაგებად. რაც შეეხება კონკრეტულ თეორიებს, ისინი გამოავლენენ თარგმანის პროცესის კონკრეტულ, ჟანრობრივ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ დეტერმინანტებს, შეაქვთ ცალკეული დაზუსტებანი თარგმანის ზოგად თეორიაში და რაც მთავარია, აწვდიან მას მასალას განზოგადებისათვის.

თარგმანის შემსწავლელ დარგებს შიაკუთვნებენ ასევე თარგმანის ისტორიას, თარგმანის კრიტიკას, ლექსიკოგრაფიას და მანქანური თარგმანის ტექნოლოგიას. კვლევის მეთოდების ორიენტაციის მიხედვით კი გამოარჩევენ თარგმანის ლინგვისტურ თეორიას და ლიტერატურათმცოდნეობითს (ტრანსლაციურ ლინგვისტიკას და ტრანსლაციურ ლიტ. მცოდნეობას).

თუ ვლაპარაკობთ მხატვრული თარგმანის თეორიაზე, როგორც თარგმანის თეორიის ერთ-ერთ ქვედარგზე, ამ უკანასკნელს, თავისი შესწავლის ობიექტის ბუნებიდან გამომდინარე (მხატვრული ნაწარმოები), უფრო მეტად ლიტერატურათმცოდნეობითი ორიენტაცია ახასიათებს და ესაზღვრება უფრო კომპარატიულ სტილისტიკას, ვიდრე სხვა მონათესავე დარგებს.

თარგმანი მხატვრული თარგმანის თეორიისათვის წარმოადგენს ადამიანის მხატვრული შემოქმედების განსაკუთრებულ სახეობას, ერის ლიტერატურული პროცესების შემადგენელ ნაწილს, მთარგმნელი კი - ამ პროცესების თანამონაწილეს. ამდენად, მხატვრული თარგმანის კვლევის ობიექტს წარმოადგენს პრობლემათა ისეთი რიგი, როგორიცაა: თარგმანი, როგორც

ერთა შორის ლიტერატურულ ურთიერთობათა საფუძველი, როგორც სალიტერატურო ენის გამდიდრების საშუალება, მხატვრული თარგმანის მეთოდოლოგიური საფუძვლები, თარგმანის განსაჯებულ მეთოდთა (თავისუფალი, ბუკვალისტური, ნატურალისტური, ადაპტირებული, ადექვატური) წარმოშობის ისტორიული განპირობებულობის პრობლემა, თარგმანი, როგორც მთარგმნელის ინდივიდუალური სამწერლო სტილის და შემოქმედებითი ანიციატივის გამოვლენის ფორმა, მისი შემოქმედებითი მეთოდის გამაპირობებელი ფაქტორები (სოციალური, ფსიქოლოგიური). ტენდენციური თარგმანის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, ნაციონალური კოლორიტის პრობლემა თარგმანში და სხვა. მეორე მხრივ, მხატვრული თარგმანის თეორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თარგმანის ლინგვისტიკური პრობლემებიდან ისეთი რიგის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ორიგინალისა და თარგმანის მხატვრულ-ესთეტიკური შესატყვისობის შეფასებისას. ეს საკითხებია: ფორმისა და შინაარსის ერთიანობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, კონცეპტუალური სიზუსტისა და მხატვრული ადექვატურობის პრობლემა თარგმანში, სახეობრივი მეტყველების გადმოცემის პრობლემა, ინდივიდუალური სამწერლო სტილის სპეციფიკის შენარჩუნების პრობლემა, ენათშორისი ასიმეტრიის ნიადაგზე აღმოცენებული უთარგმნელი ელემენტების პრობლემა, ერთა კულტურული ასიმეტრიის დაძლევის პრობლემა (ისტორიული, ეთნოგრაფიულ-ყოფითი თუ ეთნოფსიქოლოგიური რეალიების მაგალითზე), ამ უკანასკნელთან კავშირში განვიხილავთ იმ კურიოზული თარგმანის შემთხვევებს, რაც გამოწვეულია მთარგმნელთა გაუთვითცნობიერებულობით იმ ერის კულტურული და ყოფითი დეტალების საკითხებში, რომლის ენიდანაც სრულდება თარგმანი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ენარობრივი ხასიათის პრობლემები: პროზაული ნაწარმოების რიტმისა და ინტონაციის შენარჩუნების პრობლემა, პოეტური ნაწარმოების ვერსიფიკაციული ელემენტების ადექვატური ფორმის საკითხები, ლიტერატურულ ალუზიათა გადატანის საკითხი თარგმანში და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ის დებულება, რომ თარგმანის ზოგადი თეორია სინთეზური დარგია, სადაც თავს იყრის როგორც ლინგვისტი-

კის, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემები, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მხატვრული თარგმანის მაგალითზე.

რაც შეეხება სალექციო კურსის მეორე ნაწილს, თარგმანის პრაქტიკას ანუ მხატვრული თარგმანის განვითარების ისტორიას, იგი, როგორც ზემოთ იყო თქმული, მოიცავს ძირითადად მხატვრული თარგმანის პრაქტიკის ყველაზე მნიშვნელოვან, ეტაპურ მომენტებს როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე ჩვენში.

მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ვერცერთი ერის ლიტერატურა ვერ განვითარდება კარჩაკეტილად. ვერ ამალღდება მსოფლიო ლიტერატურული სტანდარტების დონეზე სხვა ერთა ლიტერატურებთან კავშირის გარეშე. ამ კავშირების დამყარება, ლიტერატურულ ურთიერთობათა საფუძვლის შექმნა, სხვა ერთა ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ზიარება კი ხდება შესაძლებელი მთარგმნელების ანუ კულტურათა შორის შუამავლების შემოქმედებითი შრომის საშუალებით. ამიტომ იყო, რომ თარგმანის ცნობილმა თეორეტიკოსმა ლორენცო ლანცა დი ტრაბიამ თავისი ერთ-ერთი წერილი, გამოქვეყნებული თარგმანის საერთაშორისო ფედერაციის ჟურნალში „ბაბილონი“, დაასაბუთა ბიბლიური ალუზიით: „სიამაყის გამოსყიდული ცოდვა“, რითაც მიგვანიშნა ის, რომ სწორედ მთარგმნელებს უწევთ იმ დიდი ცოდვის გამოსყიდვა, რისთვისაც ბაბილონის გოდოლის ამგები ამაყი ადამიანები დასაჯა ღმერთმა და სხვადასხვა, ერთმანეთისათვის გაუგებარ ენებზე აამეტყველა.

მეორე მხრივ, დიდია მთარგმნელთა წვლილი საკუთარი სალიტერატურო ენის გამდიდრების საქმეში, რადგან რაიმე ორიგინალური და სპეციფიური ლინგვისტური ერთეულის ადექვატური ფორმის ძიების პროცესში ნიჭიერ მთარგმნელებს არაერთხელ თავადაც შეუქმნიათ არასტანდარტული, მაგრამ ძლიერი გამომსახველობის ენობრივი ფორმა, რაც შემდგომ გავრცელებულა და დამკვიდრებულა თარგმანის ენის ლექსიკურ ფონდსა და სახეობრივ მეტყველებაში. მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ი. ჭავჭავაძის, ივ. მაჩაბლის, გ. ქიქოძისა და სხვათა მთარგმნელობითი პრაქტიკიდან.

ხდება ისეც, რომ თარგმანის გზით ამა თუ იმ ერის ლიტერატურაში

შემოკრილა და დამკვირებულა სხვა ერის ლიტერატურიდან გადმოღებულო
ჟანრობრივი თუ ვერსიფიკაციული ფორმა. მაგალითისათვის კმარა თუნ-
დაც, ინგლისური სონეტის გაჩენის ისტორია, რაც იტალიური სონეტის
შესაფერისი სალექსო ფორმის ძიების შედეგი იყო. იგივე უნდა
ითქვას თეთრი ლექსის დამკვიდრებაზე სხვადასხვა ერთა ლიტერატუ-
რაში ჰომეროსის თარგმანთა გავლენით.

თარგმანის აუცილებლობის განცდა, მისი მნიშვნელობის შეგნება ჯერ
კიდევ ანტიკურ ხანაში გამოვლინდა. იმ ხნიდან მოყოლებული დღემდე
ყოველმა ეპოქამ და ყოველი ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკურმა ყოფამ
აშკარა კვალი დაამჩნია არა მარტო ორიგინალურ ლიტერატურას, არამედ
მთარგმნელობითი ლიტერატურის მეთოდსაც.

იმ თვალსაზრისით, თუ რა გავლენას ახდენს თარგმანის მეთოდზე
ქვეყნის ლიტერატურული ტრადიციები როგორც გარკვეული ზედნაშენი
ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარებისა, განვიხილავთ მხატვ-
რული თარგმანის წამყვან მეთოდებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტ-
ორიის სხვადასხვა ეტაპებზე: თავისუფალი თარგმანის მეთოდს - როგორც
აღრე შუასაუკუნეების წამყვან ტრადიციას საერო ლიტერატურის თარგ-
მანებში, რაც გამოვლინდა ლიტერატურული ვერსიების და მოარული სიუ-
ჟეტების სიჭარბეში.

გვექნება საუბარი თარგმანის წამყვან მეთოდზე იმ ისტორიულ პერიოდ-
ში, როცა იწყება ევროპის ეკლესიათა გამოთავისუფლება რომის კათოლი-
კური ეკლესიის ბატონობიდან და როცა ჩნდება საჭიროება იმისა, რომ
ღვთისმსახურება წარამართოს არა ლათინურ ენაზე, არამედ მშობლიურ
ენაზე. ამას, თავის მხრივ, მოჰყვა სიტყვა-სიტყვითი ანუ ბუკვალისტური
თარგმანის მეთოდის გაჩენა, რაც პირობადებული იყო სასულიერო ხასიათის
ლიტერატურისადმი შიშითა და ძრწოლით, რადგან თვით უმნიშვნელო
უზუსტობაც კი მკრეხელობად ითვლებოდა.

განვიხილავთ ინგლისური რენესანსის პერიოდის მთარგმნელობით
პრაქტიკას, როგორც საინტერესო პერიოდს თარგმანის გზით ახალი ლი-
ტერატურული ფორმების დამკვიდრების თვალსაზრისით.

გავცნობით ფრანგული კლასიციზმის პერიოდის ტენდენციებს თარგმა-

ნის ხელოვნებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო არა მარტო ორიგინალური ლიტერატურის, არამედ თარგმანის მორგებაც საკარო არისტოკრატიის დახვეწილი გემოვნებისათვის, რაც გამოვლინდა ძლიერი გადაკეთების ტენდენციაში.

განვიხილავთ მე-19 საუკუნის გერმანული მთარგმნელობითი ლიტერატურის წამყვან მეთოდს, რაშიც თავი იჩინა (პეგელის ხალხთა ძმობის ზოგადი იდეის გამოძახილის სახით) დაინტერესებამ არა მარტო ევროპის ხალხთა ლიტერატურით, არამედ აზიური ლიტერატურითა და ფოლკლორით.

გავეცნობით წამყვან ტენდენციებს მე-20 საუკუნის მთარგმნელობით პრაქტიკაში; სამოციანი წლების ტენდენციური თარგმანის გავრცელების ფაქტს და მის გამომწვევ ფაქტორებს, რაც დაკავშირებული იყო მსოფლიოს ორ მტრულ ბანაკად დაყოფასა და ცივი ომის პირობებთან (მტრის ხატის შექმნის ცდა და ამასთან კავშირში არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება თარგმანთან). თუკი მე-19 საუკუნეს მსოფლიოში ლიტერატურის ზეობის ხანად მიიჩნევენ, მე-20 საუკუნე თარგმანის საუკუნედ ითვლება. გვექნება საუბარი ამ გარემოების გამაპირობებელ ფაქტორებზე, გავეცნობით მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის საქმიანობას და თარგმანის თეორიის ცნობილ თანამედროვე სკოლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ზემოთქმულის ანალოგიურად, თარგმანის განვითარებას საქართველოში ყველა ისტორიულმა და პოლიტიკურმა ვითარებამ დაამჩნია თავისი კვალი ისევე, როგორც ქართულ კულტურას საერთოდ. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურა და მასთან ერთად ლიტერატურული ურთიერთობანი განსაკუთრებულ წარმატებას აღწევდა ძალზე ხანმოკლე პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში. იცვლებოდა ასევე საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა არე. თავდაპირველად, აღრეჟისტიანულ ხანაში ეს იყო ბიზანტია, სომხეთი, სირია, პალესტინა, შემდგომ - ირანი, რუსეთი, ხოლო მე-17 საუკუნიდან ეს არე საგრძნობლად ფართოვდება და ემატება მსოფლიოს მრავალ ხალხთა, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის ხალხთა კულტურა.

ძველი ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკის ტენდენციათა გაცნობის მიზნით ლექციებზე სსვა თეორიულ გამოკვლევებათა გვერდით განვიხილავთ აკად. კ. კეკელიძის განმაზოგადებელ ნაშრომს: „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“.

გავეცნობით უცხოური ლიტერატურული ძეგლების ქართული ინტერპრეტაციის, ქართული რედაქტირებისა და ადაპტაციის ტრადიციულ პრინციპებს თარგმანში, რაც გულისხმობდა არა მექანიკური გადმოღების პროცესს, არამედ მასალის შემოქმედებით გადამუშავებას, ეროვნული კოლორიტის ქარბ შეტანას და მემამულეთა სულიერი მოთხოვნილებისა თუ რელიგიური რწმენისადმი ანგარიშის გაწევას. ვნახავთ, რომ ადრეული სასულიერო ლიტერატურის თარგმანებისათვის ძალზე დამახასიათებელია წარმართული საკრალური ფორმების ხშირი გამოყენება, რაც პირველყოფილ ქართულ ქრისტიანობას სინკრეტულ ხასიათს ანიჭებდა. დასავლეთ ევროპის სასულიერო ლიტერატურის თარგმანებისაგან განსხვავებით, სადაც განსაკუთრებული სიზუსტით ითარგმნებოდა ყოველივე და მკირედი ცვლილებაც კი მკრეხელობის ტოლფასი იყო, ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში ძალზე ქარბია ეროვნული ინტერპოლაცია.

ქართველი მთარგმნელები ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მკირე და სხვანი აშკარად ანიჭებდნენ თარგმანს დიდ სოციალურ-მორალურ ფუნქციას. შევეცდებით ავხსნათ ეს მოვლენა საქართველოს გეოპოლიტიკური სპეციფიკით, რომ არაქრისტიანული ქვეყნების გარემოცვაში ახალი, ქრისტიანული დოქტრინის დამკვიდრებას ბევრი სიძნელე ახლდა თან. ეს კარგად ესმოდათ როგორც ახალი სარწმუნოების გამავრცელებელ მისიონერებს, ასევე სასულიერო წიგნთა მთარგმნელებსაც, რომელნიც ახალ მოძღვრებას ამკვიდრებდნენ დიდი სიფრთხილით და არა ძველი რწმენის ხელაღებით უარყოფის გზით.

განვიხილავთ საერო ლიტერატურის თარგმანებსაც, რომლებიც უმეტესად სპარსული სამყაროდან შემოდრიოდა საქართველოში და უმთავრესად ეპიურ ჟანრს განეკუთვნებოდა. ქართველი მთარგმნელები ნაკლებად იჩენდნენ დაინტერესებას ლამაზი და კეთილბოვანი სპარსული ლირიკით. გვექნება საუბარი ამ ფაქტის განმაპირობებელ ფაქტორებზე, რაც ისევ და ისევ

ქვეყნის მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაშია საძიებელი, სადაც აშკარად არ იყო სპარსული ლირიკის შესაფერისი მელანქოლიურ-ეპიკურული და ჰედონისტური განწყობისათვის საჭირო გარემო.

გვექნება საუბარი „ვისრამიანის“, „როსტომიანის“, „ქილილა და დამიანას“ და სხვა ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებზე, გაქართულების ძლიერ ტენდენციასზე ამ თარგმანებში, ვნახავთ როგორ საგანგებოდ ინიღბება თარგმანში მაჰმადიანური რწმენის და ცხოვრების წესის შემცველი დეტალები და არა მარტო საკულტო, არამედ აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ეროტიკული სკაბრეზული ეპიზოდები, რისი ტრადიციაც არ იყო ქართულ ორიგინალურ მწერლობაში.

მე-19 საუკუნის დამდეგიდან საქართველოში გარდატეხის პერიოდი იწყება, რაც დაკავშირებულია საქართველოსა და რუსეთის კულტურული ურთიერთობებისათვის პოლიტიკური პირობების შექმნასთან. გაბატონებულ აღმოსავლურ ორიენტაციას ცვლის დასავლური ორიენტაცია და იწყება დასავლური ლიტერატურის თარგმნა თავდაპირველად რუსული, ხოლო შემდგომ - დედანთა ენებიდან.

განვიხილავთ ი. ჭავჭავაძის პრაქტიკულ მოღვაწეობას თარგმანში და მის წერილებს თარგმანის საკითხებზე. ასევე ნიკ. ავალიშვილის, ივ. მაჭავარიანის, თ. სახოკიას და სხვათა მთარგმნელობით მოღვაწეობას.

ჩვენს სალექციო კურსში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქართულ შექსპირიანას. შექსპირის ნაწარმოებთა ადრეულ თარგმანებს, რაც შემდგომ დაგვირგვინდა ივ. მაჩაბლის საუცხოო თარგმანებით. ვრცელი საუბარი გვექნება ივ. მაჩაბლის მთარგმნელობით მეთოდზე.

გავეცნობით ასევე ზოგიერთი თანამედროვე მთარგმნელის შემოქმედებას და მნიშვნელოვან წერილებს თარგმანის ხელოვნებაზე, რომლებიც გამოქვეყნდა ბოლო დროის ქართულ პრესაში.

მხატვრული თარგმანის თეორიისა და ისტორიის მოკლე კურსი მიგვაჩინა ერთ-ერთ აუცილებელ დისციპლინად უცხოური ენებისა და ლიტერატურის მომავალი სპეციალისტების პროფესიული აღზრდის პროცესში. ფაქტობრივი მასალის გაცნობა არა მარტო უფრო ღრმად ჩაახედებს ჩვენს სტუდენტებს დასავლეთ ევროპისა თუ ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული ცხოვ-

რების პროცესებში, არამედ სავარაუდოა, გაუღვივებს მათ ინტერესს და მისცემს სტიმულს ზოგიერთ მათგანს. ვისაც ამის ნაკი და უნარი აღმოაჩნდება, მოკიდოს შემდგომში ხელი ამ, ერისათვის სასარგებლო და კეთილშობილურ საქმეს.

ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავლი. გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1966.
2. კეკელიძე კ. მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი. ლიტერატურული ძიებანი. ტ. VII, თბ., 1951.
3. ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX ს მეორე ნახევარში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1979.
4. ფანჯიკიძე დ. თარგმანის თეორია და პრაქტიკა. გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1988.
5. Вопросы художественного перевода, Сб. Статей. Советский писатель, М., 1955
6. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, Сборник статей. М., „Международные отношения“, 1978.
7. Швейцер А.Д. Теория перевода. Статус, проблемы, аспекты. Наука. М. 1988
8. Чуховский К. Высокое искусство. Советский писатель. М., 1968.

· ტექსტის ლინგვისტიკა

ტექსტის* ლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების უახლესი დარგის ჩამოყალიბება არეკლავს თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერების განვითარების მთელ გზას. ცნება „უახლესი“ ტევადი ცნებაა - გარდა მეცნიერების თუ მეცნიერული დისციპლინის „ასაკისა“, იგი გულისხმობს იმ ფაქტსაც, რომ ეს დარგი ჩამოყალიბების პროცესშია, რაც, თავის მხრივ, ორი ძირითადი მოვლენის არსებობის საფუძველს იძლევა: 1. მეცნიერების ამ დარგს ჯერჯერობით არა აქვს მკვეთრად გამოხატული და ჩამოყალიბებული კატეგორიათა სისტემა და, აქედან გამომდინარე - 2. მეცნიერების ამ დარგში ძალზე ბევრია „თეორი ლაქები“, ანუ დაუდგენელი და შეუსწავლელი ნიშანთვისებები ტექსტის ლინგვისტიკის საკვლევი ობიექტისა - ტექსტისა.

ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების საფუძველი ორი ფაქტორით განისაზღვრა:

1. ამ ენათმეცნიერული დისციპლინის აღიარების „თეორიულ ბიძგად“ მიჩნეულია ემილ ბენვენისტის ცნობილი მოხსენება ლინგვისტთა IX საერთაშორისო კონგრესზე, სადაც მან წარმოადგინა ენობრივ დონეთა ვერტიკალურად ორიენტირებული იერარქიის მკვეთრი სურათი (ფონემა, მორფემა, სინტაგმა**) და უმაღლეს დონედ მიიჩნია წინადადება, რომლის მეშვეობითაც „ვტოვებთ ენის სფეროს, როგორც ნიშანთა სისტემას და გადავდივართ სხვა სამყაროში, ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, სამყაროში, რომლის გამოხატულებას მეტყველება წარმოადგენს“. ამავე კონგრესზე

* ცნება „ტექსტი“ (ლათ. *textus* - ქსოვილი; შეერთება, შეკავშირება) რამდენიმე მნიშვნელობას მოიცავს: ტექსტი, როგორც მოცემული ენის წესების მიხედვით აგებული სიტყვების და წინადადების თანამიმდევრობა; ტექსტი, როგორც მხატვრული ნ.წარმოები; ტექსტი, როგორც ისტორიული დოკუმენტი და სხვ. ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს ტექსტი, როგორც ენობრივ ნიშანთა თანამიმდევრობა, რომელიც ქმნის აზრობრივ მთლიანობას.

** სინტაგმა (ბერძ. *syntagma* - ნაერთი) - ინტონაციურ-აზრობრივი სინტაქსური ერთეული. მთლიანობა (სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი)

ბევრმა ლინგვისტმა (მათ შორის კენეტ პაიკმაც) აღნიშნა, რომ არ შეიძლება ენობრივ დონეთა გამოყოფისას წინადადებაზე გაჩერება, რადგან არსებობს კიდევ ერთი მაღალი დონის ერთეული — ტექსტი. უნდა ითქვას, რომ ე.ბენენისტის პოზიციაზე ზოგიერთი ენათმეცნიერი დღესაც დგას და მკაცრად იცავს იმ მოსაზრებას, რომ ტექსტი არ არის ენის ერთეული. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ენობრივ ერთეულთა კლასიფიკაციის კრიტერიუმის რაობა. ცხადია, ტექსტი არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც ენის ერთეული ვირტუალურად არსებულ ისეთ ერთეულთა სისტემაში, როგორცაა ფონემა, მორფემა, სინტაგმა (ე.ი. ენობრივ სისტემაში შემავალი ანუ იდეალურად არსებული ერთეულები). მაგრამ, თუ ენობრივ ერთეულთა კლასიფიკაციის კრიტერიუმად ავიღებთ მათ პოტენციალურ ინფორმატულობას (რაც ენობრივი სისტემის ნებისმიერი ერთეულისათვისაა დამახასიათებელი), მაშინ ტექსტი ამ კლასიფიკაციაში აღმოჩნდება უმაღლეს საფეხურებზე, სადაც ხდება იმ ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების ურთიერთქმედება, რომლებიც ქმნიან ენობრივი სისტემის უმაღლეს ერთეულს - ტექსტს.

2. ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების მეორე ხელისშემწყობი ფაქტორი გახლდათ ენის სისტემის კვლევისას პრაგმატული*** ასპექტის წინა პლანზე წამოწევა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბება არეკლავს თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების მთელ გზას, მის ეტაპობრივ ევოლუციას. მე-20 საუკ. შუა წლებიდან მოყოლებული ენობრივი სისტემის პრობლემატიკის მკვლევარნი განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებული იმ საკითხებით, რომლებიც ძირითადად ენის სტრუქტურას ეხებოდა, ე. ი. სწავლობდნენ სინტაქსურ მიმართებებს ენობრივ ერთეულებს შორის. შემდეგ, ენობრივი სისტემის სხვა ასპექტების შესწავლის მიზნით, დაიწყო ენობრივი ერთეულების მიმართების დადგენა აღსანიშნული ობიექტის მიმართ, რაც სემანტიკის საკვლევე ობიექტი იყო. 70-იანი წლებიდან ენათმეცნიერთა ინტერესმა გადაინაცვლა ენობრივი ფუნქციო-

*** პრაგმატიკა (ბერძ. pragma - მოქმედება, პრაქტიკა) XX ს. ფილოსოფია (ჯემსი, დილი); უარყოფს კემბარიტების ობიექტურობას და კემბარიტებად მიიჩნევს მხოლოდ იმას. რასაც პრაქტიკულად სასარგებლო შედეგები აქვს.

ნირების შესწავლაზე და ბუნებრივია, მოიძებნა ენობრივი სისტემის ამ ასპექტისათვის შესაფერისი სახელიც - პრაგმატიკა. ჩ. მორისის მიერ ენათმეცნიერებაში შემოტანილი ტერმინი „პრაგმატიკა“ სემიოტიკის**** ორ დანარჩენ ძირითად კომპონენტთან — „სემანტიკასა“ და „სინტაქტიკასთან“ ერთად მტკიცედ დამკვიდრდა ენათმეცნიერებაში (საზღვარგარეთულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ლინგვისტიკის განვითარების საფეხურები განიხილება ამ სამ ასპექტთან მიმართებაში). სემიოტიკის ზემოთ დასახელებული სამი ასპექტის მიმართება ნიშნისადმი და საერთოდ, ენისადმი, შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: სინტაქტიკა გამოპყოფს მიმართებებს ენობრივ ერთეულებს შორის; სემანტიკა ადგენს ენობრივი ერთეულების მიმართებას აღსანიშნი ობიექტის მიმართ; პრაგმატიკა იხილავს ენობრივ ერთეულებს მათ მიმართებაში იმ პირთან ან პირებთან, რომლებიც ამ ერთეულებს იყენებენ კომუნიკაციის პროცესში. ენობრივი ნიშნის ამ სამი განზომილებიდან ტექსტის შემთხვევაში (თუ ტექსტს მივიჩნევთ კონკრეტული სუბიექტის მიერ გადმოცემულ ინფორმაციად, რომლის აგება-სტრუქტურირებისას მოლაპარაკე არჩევანს აკეთებს სემანტიკურად ეკვივალენტურ გამონათქვამებს შორის) განმსაზღვრელი როლი პრაგმატულ განზომილებას უნდა მიეკუთვნოს.

ტექსტი არის სუბიექტურობის რეალიზაცია ობიექტურად არსებული ენის საშუალებით; ე.ი. ყოველი ტექსტი სუბიექტურობის პრინციპს ეფუძნება, ენობრივ ერთეულთა არჩევანი კი პრაგმატული ფაქტორებით განისაზღვრება. ამასთანავე, ამ არჩევანის საფუძვლად მოლაპარაკის მოტივი და მიზანდასახულება უნდა ჩაითვალოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაგმატული განზომილება წარმოადგენს განსაზღვრულ პირობას ტექსტის სინტაქსური და სემანტიკური პარამეტრების დადგენისას. პრაგმატული ფაქტორი არის ძირითადი საფუძველი ყველა იმ სინტაქსური და სემანტიკური თავისებურებებისა, რომელიც ამა თუ იმ ტექსტს განასხვავებს მეორე, მაგრამ ამავე ფუნქციონალური რანგის ტექსტისაგან.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ლინგვისტური პრაგმატ-

**** სემიოტიკა (ბერძ. *sema* - ნიშანი) -- მეცნიერება ნიშნებისა და ნიშანთა სისტემის შესახებ.

იკა ეყრდნობა კომუნიკაციურ საფუძველს, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია ინტერსუბიექტურობის კატეგორიით. სამეტყველო კომუნიკაცია, რა სახითაც არ უნდა წარმოდგეს იგი (ზეპირი იქნება თუ წერილობითი), ყოველთვის ეყრდნობა ინტერსუბიექტურობის პრინციპს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კომუნიკაციის ტიპი (მაგ., მხატვრული ტექსტი) არ გულისხმობს ინფორმაციის გამგზავნის (ინფორმანტის) და მიმღების (რეციპიენტის) პირად ნაცნობობას.

ტექსტის ლინგვისტიკას, რომლის საკვლევი პრობლემატიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ლინგვისტურ პრაგმატიკასთან, არა აქვს მკვეთრი კონტურები. მისი კვლევითი ინტერესები გადაკვეთენ ისეთ ლინგვისტურ დისციპლინებს, როგორცაა რიტორიკა და სტილისტიკა, აქტუალური სინტაქსი და სამეტყველო მოქმედების ფსიქოლოგია. კომუნიკაციის და ფუნქციონალური სტილების თეორია და სხვ. მაშასადამე, ზემოთქმულით შეიძლება დავასკვნათ, რომ ტექსტის ლინგვისტიკა ახდენს სხვადასხვა, მაგრამ მომიჯნავე მეცნიერული დისციპლინების ინტეგრირებას იმის საფუძველზე, რომ ამ დარგთა საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ტექსტი.

ყოველივე ზემოთქმული ეხებოდა ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების უახლესი დარგის განსაზღვრას, მაგრამ ჭერჭერობით არაფერი გვითქვამს ტექსტის ლინგვისტიკის საგანზე - თვით ტექსტზე.

ჭერჭერობით არაა გამომუშავებული „ტექსტის“ ისეთი დეფინიცია, რომელსაც ტერმინოლოგიური ხასიათი ექნებოდა. ტექსტის მრავალი განსაზღვრება არსებობს. მათგან, ვფიქრობთ, ყველაზე ტევადი შემდეგია: „ტექსტი არის აზრობრივი კავშირით გაერთიანებულ ნიშნობრივ ერთეულთა თანამიმდევრობა, რომლის ძირითადი ნიშნებია შეჭიდულობა და მთლიანობა“ („Лингвистический энциклопедический словарь“, М., 1990). მაგრამ ამ დეფინიციასაც აქვს გარკვეული ნაკლი: მასში არ არის მოცემული ტექსტის ფუნქციონალური მახასიათებელი. რაც, ფორმისა და შინაარსის აღმნიშვნელ ნიშნებთან ერთად, მოცემულ განსაზღვრებას ტერმინოლოგიურ ხასიათს მიანიჭებდა.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ლინგვისტს მიაჩნია, რომ არაა აუცილებელი ტექსტის თეორიის შექმნა და რამდენადაც წინადადების

გრამატიკა საფუძვლიანადაა დამუშავებული, მას შეუძლია აღწეროს ტექსტის ყოველგვარი გამოვლენაც. ასეთი შეხედულება, ადვილი მისახვედრია, გულისხმობს წინადადების სტრუქტურის და ტექსტის სტრუქტურის იზომორფიზმს (ერთგვარობას, ერთნაირობას) ეს მოსაზრება მცდარია თუნდაც იმიტომ, რომ მთელისა და ნაწილების გაიგივება არ შეიძლება, რადგან მთელი არ წარმოადგენს ნაწილთა მექანიკურ ჯამს (ასევე, ტექსტიც არ უნდა იქნეს გაიგივებული წინადადებათა მექანიკურ, სუმატურ ჯამთან). ტექსტი არ არის ჯაჭვისებრი მიკროსტრუქტურათა მარტივი ერთობლიობა, არამედ იგი წარმოადგენს გლობალურ მთლიანობას, მაკროსტრუქტურას. წინადადებათა ჯაჭვი, რომელსაც არ გააჩნია მაკროსტრუქტურა, არ არის ტექსტი. ი. სევბოს ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა: "Сегодня я взглянул на небо. Все оно было в горячих тучах. Горячий пар полезно выхвать при насморке. Насморк - верный признак гриппа. Грипп возбуждают вирусы. Вирусы исследуют в лабораториях и т.д."***** ეს არაა ტექსტი; ეს არის წინადადებათა გროვა, ჯაჭვისებრი მიკროსტრუქტურები, რომლებსაც არ გააჩნიათ გლობალური მაკროსტრუქტურა, აზრობრივი მთლიანობა და შეჭიდულობა.

ტექსტის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ტექსტის იდეალური (კონცეპტუალური) კონსტრუქტი; ამ ენათმეცნიერებულ დისციპლინის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ტექსტთა კლასიფიკაცია, მათი განმასხვავებელი (დისტინქციური) ნიშნების გამოყოფა-დადგენა. ტექსტთა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და ტექსტთა კატეგორიალური სისტემის შექმნა წარმოადგენს ერთი და იმავე საკვლევე ობიექტისადმი ორ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთგანმსაზღვრელ მიდგომას: ტექსტის ტიპის გამოყოფა ყოველთვის და უცილობლად გულისხმობს მისი მახასიათებელი ნიშან-თვისების დადგენას და, პირიქით, ამა თუ იმ რელევანტური (არსებითი) მახასიათებლის გამოყოფას მიყვევართ ტექსტის ტიპის დადგენის შესაძლებლობამდე. ამ ორი მიდგომის ურთიერთგანპირობებულობის საფუძველზე, ცხადია, ნებისმიერი კლასიფიკაციის

*****Севбо И.П. Структура связного текста и автоматизация реферирования. Внешние связи между предложениями.: М., 1969. с.85.

თუ ტიპოლოგიის საფუძველს წარმოადგენს დადგენილ ნიშანთა არსებობა, მათგან რელევანტურ მახასიათებელთა გამოყოფა და ამ საფუძველზე ტექსტის ტიპოლოგიის შექმნა.

ტექსტის დისტინქციურ ნიშანთა გამოყოფა უნდა წარიმართოს ორი მიმართულებით: 1. რომელიმე ტექსტობრივი ტიპის რელევანტური ნიშნის დადგენა; იმ ნიშნისა, რომლითაც მოცემული ტექსტი განსხვავდება სხვა ტიპის ტექსტისაგან - ეს ტექსტთა ტიპოლოგიის სფეროა და, 2. რომელიმე ტექსტობრივი კატეგორიის გამოყოფა, რომელიც ტექსტს განასხვავებს ენობრივი სისტემის სხვა ერთეულებისაგან - ეს საკითხი განეკუთვნება ტექსტის ზოგადი თეორიის სფეროს, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია და ჯერჯერობით არ იმსახურებს „ტექსტის გლობალური თეორიის“ სტატუსს

ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემატიკის ნებისმიერი გამოკვლევა ეფუძნება „ტექსტის“ გაგების ავტორისეულ კონცეფციას. ცნება „ტექსტის“ ინტერპრეტაციის სხვადასხვაობის მიხედვით ზ.ტურაევამ გამოყო კონცეფციათა ოთხი ჯგუფი; ყოველი ჯგუფისათვის ტექსტის ესა თუ ის ასპექტი წარმოადგენს განმსაზღვრელ, რელევანტურ ასპექტს:

1. კონცეფციები, რომლებშიც წამყვან ასპექტად მიჩნეულია სტატიკური ასპექტი; ეს კონცეფციები ტექსტს წარმოადგენენ როგორც ინფორმაციის გაგზავნის შედეგს.

2. კონცეფციები, რომლებშიაც წინა პლანზე ტექსტის პროცესუალობა წამოწეული. პროცესუალობა შეიძლება ორგვარად იქნეს გაგებული: ერთი მხრივ, როგორც ადამიანის სამეტყველო უნარის რეალიზაცია; მეორე მხრივ, ტექსტი გააზრებულია, როგორც ენა მოქმედებაში.

3. კონცეფციები, რომლებიც გამოყოფენ კაუზატურ საწყისს, ე.ი. ტექსტის წყაროს - ინდივიდის სამეტყველო ქმედებას. ამ კონცეფციებს შეიძლება ეწოდოს კომუნიკაციურიც, რადგან ისინი ორიენტირებული არიან კომუნიკაციის აქტზე. რომელიც გულისხმობს ინფორმაციის გამგზავნისა და მიმღების არსებობას.

4. სტრატეგიკაციული კონცეფციები, რომლებიც ტექსტს განიხილავენ როგორც ენობრივი სისტემის ერთ-ერთ დონეს. ტექსტის ჩართვა ენობრივ

დონეთა იერარქიაში გულისხმობს აბსტრაქტული ტექსტის და კონკრეტული ტექსტის ურთიერთმიმართებას.

ზემოთ ჩამოთვლილი კონცეფციებიდან პირველი და მეოთხე (ე.ი. სტატიკური და სტრატეგიკაციული კონცეფციები) მიეკუთვნება ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ადრეულ პერიოდს (70-იან წლებამდე). მოგვიანებით, ტექსტის უზოგადესი მახასიათებლის გამოყოფამ (M.Halliday: "Text is language in use") განაპირობა იმ კონცეფციათა ჩამოყალიბება, რომლებშიც სამეტყველო ქმედება და პროცესუალობა მიჩნეულია ტექსტის რელევანტურ ასპექტებად.

აღნიშნული კონცეფციებიდან მეორე და მესამე ჯგუფები, რომლებშიც აქცენტირებულია პროცესუალობა და ტექსტის კომუნიკატურობა, შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ ერთი თეზისის („ტექსტი არის ენა მოქმედებაში“) ორ მხარეს. უფრო ზუსტად, ტექსტის ასეთი, დინამიკური გაგება გულისხმობს ორ ურთიერთგანმსაზღვრელ ასპექტს საკვლევი ობიექტისადმი მიდგომაში: ტექსტის პროცესუალობას და ტექსტის კომუნიკატურობას. ეს ორი ასპექტი, მიუხედავად მათი სტრუქტურულ-სემანტიკური და პრაგმატული პარამეტრების განსხვავებულობისა, წარმოადგენს ენობრივი ფუნქციონირების საფუძველს, მისი არსების განმსაზღვრელს. ეს ორი ასპექტი წარმოადგენს იმ ძირითად დისტინქციურ ნიშნებს, რომლებიც ტექსტს განასხვავებენ სხვა ენობრივი ერთეულებისაგან.

თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა აღიარებულია კომუნიკატურობაზე ორიენტირებულ დისციპლინად, რაც მოწმობს ფუნქციონალური ასპექტის წინა პლანზე წამოწვევას; თუმცა ეს ფაქტი არ გამოირიცხავს იმას, რომ ზოგიერთი მკვლევარი ტექსტისათვის რელევანტურად სხვა ასპექტებს მიიჩნევს. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, საკუთრივ ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, პრაგმატული (ზ. ტურაევა), კომპოზიციური (ჰალიდეი, პასანი), სემანტური (რ. ბარტი, მ. პფიუტცე) ასპექტები. სხვა ლინგვისტები ტექსტის უზოგადეს მახასიათებლად ანუ კატეგორიად ასახელებენ დისტაქსიას - სამეტყველო ჯაჭვის თანმიმდევრული სწორხაზოვნების დარღვევას (შ. ბალი), ინფორმატულობას (ი. გალპერინი), კოპერენტულობას (მ. ჰელიდეი, ი. ბელერტი. კვ. კოჟენიკოვა, ა. ლეონტიევი),

აზრობრივ მთლიანობას და დროულ-სივრცობრივ მიმართებებს (ო. მოსკალსკაია, გ. სტეპანოვი), ნარატულობას და კონტინუუმს (ჭ. ელისი, რ. შლომითი, ნ. ლევკოვსკაია), კონტექსტს (ო. კაფკოვა) და სხვა.

ტექსტის სიღრმისეული და ადეკვატური ანალიზი, ტექსტობრივ კატეგორიათა გამოყოფა-დადგენის გარდა, გულისხმობს გასაანალიზებელი ტექსტის ტიპის განსაზღვრასაც. ტექსტთა ტიპოლოგიის შესწავლა განეკუთვნება ტექსტის ლინგვისტიკის ძირითად პრობლემათა სფეროს^{*****}. თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა ტექსტთა ტიპოლოგიზაციის საფუძვლად უმეტეს შემთხვევაში ფუნქციონალურ ასპექტს მიიჩნევს. ყოველი ტიპოლოგიური გამოკვლევა, რომელიც ტექსტობრივ ფუნქციებს აანალიზებს, ეყრდნობა სამეტყველო აქტების ფუნქციებს შორის განსხვავებს. აკად. ვ.ვინოგრადოვის ფუნქციონალური სტილების თეორია დაფუძნებულია კომუნიკაციურ ასპექტზე და მის ძირითად ფუნქციებზე (общение, общение, взаимодействие). თანამედროვე რუსულენოვან ტექსტის ლინგვისტიკაში ხშირად ვხვდებით შრომებს, რომლებშიც კვლევის საფუძველი ვინოგრადოვის მიერ გამოყოფილი ზემოქმედების და შეტყობინების ფუნქციებია (ე. ი. მხატვრული და არამხატვრული ტექსტი). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფუნქციონალური სტილები არ წარმოადგენენ ერთმანეთისგან იზოლირებულ სამეტყველო სფეროებს და ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი ფუნქციონალური სტილისათვის (ტექსტისათვის) დამახასიათებელი ნიშანი რეალიზებულია სხვა სახის სტილის (ტექსტის) სამეტყველო აქტში.

ი. გალპერინი გამოყოფს ხუთ ფუნქციონალურ სამეტყველო სტილს, რომელიც ტექსტის ხუთ სხვადასხვა ტიპს ახასიათებს:

1. ბელეტრისტული სტილი — ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქცია;
2. პუბლიცისტური სტილი — საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ფუნქცია;
3. საგაზეთო სტილი — ინფორმატული და შემფასებლური (ევალუაციური) ფუნქცია;
4. სამეცნიერო სტილი — მტკიცების ფუნქცია;
5. ოფიციალურ-დოკუმენტური — ერთ საქმეში (წამოწყებაში) ორი მოპირისპირე ჯგუფისათვის პირობათა დადგენის ფუნქცია.

კონკრეტული მიზანდასახულების მიხედვით ფუნქციონალურ სტილთა ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია, ექვევარეშა, ხელს შეუწყობს ამ პრობლემის სიღრმისეულ შესწავლას, მაგრამ იგი არ აღგენს მკვეთრად გამოხატულ საზღვრებს მოცემულ სტილებს შორის: საგაზეთო სტილის ფუნქციონალურ მახასიათებლად ი. ვალპერინი მიიჩნევს ინფორმაციას და შეფასებას, რაც არ იძლევა ამ სტილის ადექვატურ განსაზღვრებას. ვ. ვინოგრადოვი არ გამოყოფდა საგაზეთო სტილს პუბლიცისტური სტილისაგან, უთუოდ იმის საფუძველზე, რომ პუბლიცისტური სტილის წამყვან ფუნქციად ისევე, როგორც მხატვრულ-ბელეტრისტული სტილის ფუნქციონალურ მახასიათებლად მიიჩნევდა ზემოქმედებას. პუბლიცისტის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ვ. ვინოგრადოვის ეს მოსაზრება სულ უფრო მტკიცდება; მაგ. ინგლისურენოვანი პუბლიცისტიკა (და საგაზეთო სტილიც) ზემოქმედების ფუნქციას ასრულებს და ამ მიზნით ფართოდ იყენებს მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ექსპრესიულ საშუალებებსაც.

სამეტყველო სტილების (ანუ ტექსტების) ბინარული (ორწევრა) ფუნქციონალური კლასიფიკაცია საფუძვლად დაედო ბევრ გამოკვლევას, რომლებიც აწარმოებენ ორი ენობრივი სტილის შეპირისპირებით ანალიზს (მხატვრული — არამხატვრული, მხატვრული — სამეცნიერო, მხატვრული — პრაქტიკული). ორი ტიპის ტექსტის განმასხვავებელ არსებით ნიშნად ფუნქციონალობას ასახელებენ, თუმცა მხატვრული და არამხატვრული (სამეცნიერო) ტექსტების დისტინქციურ ნიშნებად სხვა მახასიათებლებსაც გამოყოფენ; მაგ. მ. პრობსტმა ასეთი 29 ნიშანი გამოყო. მათგან რამდენიმეს დავასახელებ: სამეცნიერო ტექსტში „ფაქტები ქმნიან საფუძველს“, მხატვრულ ტექსტში — „ფაქტები ქმნიან ფონს“; სამეცნიერო ტექსტში არსებობს „მარადიულ თემათა“ გადაწყვეტის შესაძლებლობა (მაგ. ატომი ითვლებოდა გაუხსლელად ნაწილაკად, შემდეგ კი მიღწეულ იქნა მისი გახსნის შესაძლებლობა), მხატვრულ ტექსტში კი — „მარადიულ თემათა“ ამოუწურაობა და მათი გადაწყვეტის შეუძლებლობა (მაგ., სიყვარულის, ღალატის, ევკვიანობის და მსგავსი პრობლემები კაცობრიობისათვის ყოველთვის გადაუჭრელი იქნება). სამეცნიერო ტექსტში ინტერპრეტაცია ყო-

ველთვის ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, მხატვრულ ტექსტში კი ინტერპრეტაციათა სიმრავლის შესაძლებლობა არსებობს. უფრო მეტიც, არის მოსაზრება, რომ რაც უფრო მეტია მხატვრული ტექსტის შესაძლებელ ინტერპრეტაციათა და ასოციაციათა რაოდენობა, მით უფრო მაღალმხატვრულია ტექსტი და პირიქით, რაც უფრო ნაკლებია მხატვრულ ტექსტში ინტერპრეტაციათა რაოდენობა, მით უფრო უახლოვდება იგი არამხატვრულ ტექსტს (რ.ბარტი, ი.ლოტმანი, მ.პრობსტი).

ზემოთ შევეხეთ ორი ძირითადი სამეტყველო სტილის — მხატვრული და არამხატვრულის გამიჯვნის პრობლემას. ცხადია, რომ ფუნქციონალური მახასიათებლის გამოყოფა არაა საკმარისი ამა თუ იმ ტექსტის სიღრმისეული ანალიზისათვის. მხატვრული ტექსტის არამხატვრულისაგან გასამიჯნავად საჭიროა ამ ტიპის ტექსტის დისტინქციური კატეგორიების დადგენა, გარდა ამისა, პირველ რიგში, ყველა სახის ტექსტისათვის დამახასიათებელი ზოგადი კატეგორიების გამოყოფა, ე. ი. იმ კატეგორიებისა, რომლებიც რელევანტური არიან საერთოდ ტექსტისათვის. ტექსტის ლინგვისტიკის საკვლევი ობიექტიც, უწინარეს ყოვლისა, ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემაა, და ამ კატეგორიების ლინგვისტური ორგანიზაციის შესწავლა სხვადასხვა ტიპის ტექსტში.

ლიტერატურა

1. Гальперин И.Р., Текст как объект лингво-стилистического исследования. М., "Наука". 1981.
2. Николаева Т.М., Лингвистика текста (Современное состояние и перспективы). В жур. Новое в зарубежной лингвистике. т.8.
3. Пробст М., Текст в системах коммуникации. В журн. Проблемы структурной лингвистики. М., 1981.
4. Тураева З.Я., Лингвистика текста. М., "Просвещение". 1986.
5. ენუქიძე რ. ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1990.

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჭიშკარიანი
კორექტორი ნ. ელიზბარაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.04.00

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16

პირ. ნაბეჭდი თაბახი 7

სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 4,92

შეკვეთა № 45 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

დაიბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის
სარედაქციო-საღებლიკაციო კომპიუტერულ სამსახურში
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.

ВВЕДЕНИЕ В СПЕЦИАЛЬНОСТЬ ЯЗЫКА

**для студентов английского отделения
(языково-теоретический аспект)**

(на грузинском языке)

**Издательство Тбилисского университета
Тбилиси 2000**